

659 /
1963 / 3

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

19263

652
1963/3

ქართული
ლიტერატურა



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
შურნალი

სამართველოს მფარველთა
კავშირის აპარის
განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ხალხის მხარდამხარ, ცხოვრების წინა ხაზზე!	3
ნ. მაღაზონია — ლექსები	5
პ. ლორია — ახალგაზრდა პროკურორი (მოთხრობა)	7
მ. მუხიანი — ლექსები	29
ნ. ძირკვაძე — ცისკარი რომ გახელს თვალეზს... (მინიატურა)	31
რ. ართილაშვილი — ლექსები	34
ლ. სეიდოშვილი — ლექსები	36
ჟ. ხოფერიძე — ბაბუა (ჩანახატი)	38
ჟ. მათაბაძე — იმ დილით (ლექსი)	40
ლ. ხიტაროვა — ვინ არის ის? (მოთხრობა)	41
ლ. ანანოძე — ოცნების ზემო (ლექსი)	46
ფ. ლუზი — ეპეი (მოთხრობა, თარგმნა ნ. გვარამაძის)	48
ი. ბეჟინი — ლექსები (თარგმნა ზ. შუბლაძის)	53

დღეები და აღმშენებელი

ნ. ბარბინა, დ. გორჩხაძე — ახმედის ქალიშვილი	55
--	----

პრიტიკა და კუბლიცისტიკა

პ. ჯორბენაძე — საზღვარგარეთული კუბლიცისტიკა დიდი ლენინის შესახებ	63
---	----

9995-

2

1963

მარტი
აპრილი



ს. ჩხაიძე — რამდენიმე სტრიქონის
შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ 69.

ი. სინბარულიძე — ტბელ აბუსერისძის
ვინაობის საკითხისათვის 73

ლიტერატურული კალენდარი

ქ. შავშულიძე — რევოლუციის
მგზნებარე მომღერალი 76

დ. ნაცვალაძე — გამოჩენილი ქართველი
პოეტი 81

ხელოვნება

მ. ხინიკაძე — ქართული თეატრის
სიამაყე 84

აჭარის წარსულიდან

ჯ. ნოღაიძელი — ფეშხუმი 87

წიგნის თარო

აღ. ჩავჭავჭავაძე — ბესიკის
თხზულებათა ახალი გამოცემა 89

საბჭო და იუმორი

ვ. თოდრაძე — ოცდამეოთხე მგზავრი 92



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),

პ. ლორია, აღ. ჩავჭავჭავაძე, ფრ. ხალვაში.



ხალხის მხარდამხარ, სსოპიკების წინა ხაზზე!

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გაიმართა; ახალი დიდი საუბარო იყო ჩვენი სოციალისტური კულტურის, კერძოდ კი ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანებზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

„საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, — განაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის ღრმადინარსიან სიტყვაში ამ შეხვედრაზე 1963 წლის 8 მარტს, — მოწოდებულია მკაფიო მხატვრული სურათებით წარმოსახოს კომუნიზმის მშენებლობის დიადი და გმირული დრო, მართლად ასახოს ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება და გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში. მხატვარს უნდა შეეძლოს დაინახოს დადებითი, მას უნდა ახარებდეს ეს დადებითი, რაც ჩვენი სინამდვილის არსია, მხარი დაუჭიროს მას და ამავე დროს, რა თქმა უნდა, გვერდი არ აუაროს უარყოფით მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ახლის წარმოშობას ცხოვრებაში“.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით, საბჭოთა მწერლები და ხელოვნების მუშაკები ყველაფერს აკეთებენ ამ უდიდესი, ეპოქალური მნიშვნელობის ამოცანათა პირნათლად შესრულებისათვის. უკანასკნელი წლების მანძილზე მათ შექმნეს არაერთი ნაწარმოები, რომლებიც დიდი სიყვარულით მიიღო ხალხმა და შევიდნენ მსოფლიო კულტურის საგანძურში. მაგრამ შეინიშნება ზოგიერთი შეცდომა თუ არაჯანსაღი ტენდენციაც, რომლებზეც სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და შეხვედრის მონაწილეებმა.

თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად მსგავსი შეცდომები და არაჯანსაღი ტენდენციები იგრძნობა აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებაშიც.

ზოგიერთი მწერალი, უმთავრესად ახალგაზრდა შემოქმედნი, ნაკლებ ყურადღებას უთმობს სოციალისტური სინამდვილის არსის — დადებითის გამოსახვას, ახლის აქტიურ დამამკვიდრებელთა მხატვრული სახეების შექმნას. შესამჩნევია ფორმალისტური გატაცებანიც, უკრიტიკო დამოკიდებულება კაპიტალისტური დასავლეთის ცალკეული მწერლების შემოქმედებისადმი და აშკარა მიმბაძველობა, კლასიკური მეგვიდროების ხელებით უარყოფის ცდები ყალბი ნოვატორობის საფარით. თვალი არ შეიძლება დაეხუჭოთ ისეთ სერიოზულ ნაკლზეც, როგორიცაა სინამდვილის გაუბრალოებული წარმოსახვა და პრიმიტივიზმი.

საბჭოთა მკითხველი, საბჭოთა ხალხი ვერ შეურიგდება ვერც ფორმალისტურ გატაცებებს. და ვერც პრიმიტივიზმს. პარტია, ხალხი მოვეციოდებენ შევქმნათ ჩვენი ეპოქის შესაფერი მაღალიდგური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ჩვენი თვითეული ნაწარმოები უნდა იყოს არა მარტო ღრმად იდეური, არამედ მაღალი მხატვრული ოსტატობითაც შესრულებული. აბსტრაქციონიზმი, ფორმალიზმი და სხვ. ანტიხალხური მოვლენებია, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინება და მათ არ შეიძლება გასაქანი მიეცეთ. ორი სისტემის — კაპიტალისტურისა და სოციალისტური სისტემების თანაარსებობა როდი ნიშნავს ორი იდეოლოგიის — ბურჟუაზიული და კომუნისტური იდეოლოგიის თანაარსებობასაც. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძალა ის არის, რომ იგი უაღრესად ხალხური, უაღრესად პარტიულია და მასებში შეაქვს ყოვლადმძლე მარქსისტულ-ლენინური იდეები. ამიტომაც ესოდენ დიდი კმაყოფილებით შეხედნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები პარტიის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა და მისი გაწმენდა ყოველგვარი უცხო მინარევისაგან.

„ჩვენ, — განაცხადა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება“. პარტიამ და ხელისუფლებამ საბჭოთა შემოქმედებით ინტელიგენციას ნაყოფიერი მოღვაწეობის ყველა პირობა შეუქმნეს. მწერლები, ხელოვნების მუშაკები გარემოსილი არიან პარტიისა და ხალხის მზრუნველობით. ახლა ჯერი ჩვენზეა — თვითეული ჩვენგანი მოვალეა დაუცხრომლად იმუშაოს, სრულყოფის მხატვრული ოსტატობა და შექმნას ჩვენი გამირული ეპოქის ამსახველი ნაწარმოებები, რომლებსაც სიყვარულით მიიღებს ხალხი.

ხალხის მხარდამხარ, ცხოვრების წინა ხაზზე! — ასეთია ამოცანა.



ნესგორ, მალაზონია

მეშვენილე

— აბა, ყვავილი... ვარდი და ია! —
გაიწკრილა ქუჩაში, გვერდით.
— აქეთ მოიტა. რა ღირს, დაია?
რა ღირსო? აი, ყვავილის ბედი!
ვაჭრობაა თუ დანაშაული?
რა ღირსო!
რა ღირს მზიანი ცვარი?
რა ღირს სტრიქონი ვაჟაფშაური?
რა ღირს ჩვენი ცის წითელი კარი?
რა ღირს თბილისის კამკამა მტკვარი,
ლამით ტივი და დუდუკი წყნარი?
— ჰო, რა ღირს-მეთქი?
— შაური ცალი.
ო, რა ყვავილი, რა ვარდია!
ნეტავი რომელ ბაღჩაში ზარდეს?
რომელ მარჯვენას,
რომელ მადლიანს...
არა, ყვავილი მინახავს ადრეც,
მაგრამ ასეთი მლოცველებს წინათ
მხოლოდ ედემში წარმოედგინათ.
და შაურიო.
გული მეტკინა.
ყელში მდუღარე სისხლი შემება,
სულის სიღრმეში სირცხვილი ღვივის:

როგორ გავციდოთ ვარდის მშვენება!
როგორ გავციდოთ სიმორცხვე იის!
ქალი კი ისევ დადის ამაყად,
მერცხლის ფრთასავით გაურბის წარბი.
ნაზი ყვავილი ფულზე გადაჰყავს,
ჩადის შაურად ქისაში ვარდი.
მინდა ვუთხრა და სიტყვა მიწყდება.
ან გამყიდველი გაიგებს ანცი,
რომ ვარდ-ყვავილი არ იყიდება,
როგორც ამ ქალის არ ითქმის ფასი?
მე მჯერა:
ზოგის გასაკვირველად
ყველა ვაჭრობა მოდიდან გადის.
ვიცი მოსპობენ.
მაგრამ პირველად
მოვსპოთ ყიდვა და გაყიდვა ვარდის!

იური გაგარინს

ალბათ,
მაშინ მოსწყდა მთვარე დედამიწას,
როცა არ იცოდნენ, თუ რა იყო სისხლი.
მაგრამ ახლა მაინც ყველა დედამ იცის,
როგორ გაიხარებს დედა შვილთან მისვლით.
და ამიტომ
გზავნის მიწა თავის შვილებს,
რას დაგიდევს ყინვას და სუსხიან ქარებს:
— მთვარევ, არ შეგცივდეს.
— მთვარევ, არ მოგშვიდეს.
— მთვარევ, არ მოსცილდე დედამიწის არეს.
— მთვარევ, დაგველოდე, გული დაიმშვიდე...
გაგარინი უბით ჩამოიტანს მთვარეს!



პარანე ლორია

ახალგაზრდა პროკურორი

დამლაგებელი ქალი ის იყო მორჩა კაბინეტის დასუფთავებას და გარეთ გამოდიოდა, რომ წინ ახალგაზრდა კაცი შეეფეთა.

— დილა მშვიდობისა. — ქუდი მოიხადა უცნობმა, იქით-აქეთ მიმოავლო თვალები და კაბინეტისაკენ გაიწია, მაგრამ დამლაგებელმა დაასწრო, გზა გადაუღობა და კაბინეტის კარი ცხვირწინ მიუკეტა.

— პროკურორი მინდა. — დამნაშავესავით გაწითლდა უცნობი.

— გიადრებია. — მკვახედ ახედა დამხვდურმა. — ჯერ არ მოსულა.

— განა რა დროა, რომ... — და ახალგაზრდამ საათს დახედა.

— ეს მე არ ვიცი. შენ გერმან მერაბიჩი გინდა თუ მდივანი? — კითხა ისევ მან.

— მდივანი სად ზის? — იკითხა უცნობმა.

— რომ იყოს, აქ იქნებოდა. — მაგიდაზე მიუთითა ქალმა. — მაგრამ შენ თუ საქმეზე ხარ, გადი და დერეფანში დაიცადე. ჩაწერილი ხარ? არა? მაშ ისე ვინ მიგიღებს? აქ ორი-სამი დღით ადრე ეწერებიან რიგში. რაო? სხვა საქმეზე ხარ? პროკურორთან სხვა რა საქმე უნდა გქონდეს, თუ საჩივარი და საკილაოზნიკო არა? ჰო, შენი საქმე შენ იცი. გადი დერეფანში და დაელოდე.

უცნობმა უხალისოდ გაიარ-გამოიარა დარბაზში და გავიდა.

— პროკურორის ნახვა მოუწინა ამ სისხამ დილით! — ჩაილაპარაკა დამლაგებელმა ქალმა.

კედლის საათმა ათჯერ ჩამორეკა. ისარმა კიდევ გადაინაცვლა, დერეფანში ჩოჩქოლი ატყდა.

— ჩემი რიგია!

— სამი დღეა ჩაწერილი ვარ!

ეს წამოძახილები ქალის წკრიალა ხმამ ჩაახშო:

— წესიერად იყავით, თორემ არც ერთს არ შეგიშვებთ!

ოთახში ტანწერწეტა, თვალციმციმა ლამაზი ქალიშვილი შემოვიდა და საამური სურნელება შემოიტანა.

— გერმან მერაბოვის ხომ არ დაუბრუნებ? — გადახედა მან დამლაგებელს, პალტო გაიხადა, კედელზე მიაკიდა, შემდეგ ხელჩანთა გახსნა, სურნელებას სურნელება მიუმატა, ტუჩებს საღებავი, წარბები შეიგრიხ-შემოიგრიხა, თმა თითებით აიჩეჩა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

— არა, — უპასუხა დამლაგებელმა, ერთხელ კიდევ გადაუსვა ჩვარი მაგიდას და ღუმელთან აიტუზა. — ძალიან ცივა. — თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— ერთი ქურჭი მაინც ჩამეგდო ხელში! — თქვა ქალიშვილმა. — მთელი ზამთარი ასე გავატარე. რამდენ გაიძვერასა და ოხერს საქმე გავუკეთე და... ტასო, გახედე, გეთაყვა, იქნება გორვალაძე მოსული. ურიგოდ შემოვიდეს.

— გორვალაძე ვინაა, აი ის მრგვალი კაცი?

— ჰო, იმ საქმეზე რომ დადის. იქნება გავუხერხო რამე.

დამლაგებელი დერეფანში გავიდა. შეკრებილთა შორის მაშინვე აღმოაჩინა სასურველი პიროვნება, თვალით ანიშნა გაჰყოლოდა და სხვების შეუმჩნეველად კარებში შეაპარა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — თავაზიანი გახდა ანგელოზის მსგავსი ქალიშვილი. — ძალიან გაგიბედნიათ ამ სიცივეში... თუმცა, თქვენ ისეთი ქურჭი გაცვიათ, რომ... საზღვარგარეთულია?

— დიახ, მოდის ხოლმე ჩვენთან ასეთები... იქნებ თქვენც გსურდეთ?..

— მსურდა რომელია! ნეილონის ქურჭი ვის არ უნდა?

— ჩვენ კარგად ვიყოთ და ეგ ადვილი მოსახერხებელია... ხომ არ მოგიხსენებიათ?

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — გაუღიმა ქალიშვილმა.

— იქნებ, დაგავიწყდათ. შესაძლებელია...

— არასოდეს! ყველაფერი რომ დამავიწყდეს... ოცნებაა ჩემი, ოცნება. — და ქალიშვილმა ნეილონის ქურჭი გაიხსენა.

— ოღონდ ამ საქმეს მშვიდობიანად გადავრჩე და... გერმან მერაბიჩის მეუღლეს, თუ იცით, რა ხიბლავს ყველაზე უფრო? — თვალი ჩაუკრა გორვალაძემ.

— თეოს? მას აღარაფერი აკლია, თუმცა ძვირფასი ნივთი ვის არ აუბამს თვალებს. გერმან მერაბიჩიც ბევრ რამეს ვერ უცქერის გულგრილად, თუ ძღვენი მოსაწონია... ქრთამის სახით ხომ ერთ კაპიკსაც ვერ ჩაუტოცებ ჯიბეში. საშინლად ეჩავრება, ვინმე რომ ფულზე ჩამოუგდებს ლაპარაკს.

ერთი-ორი პასუხისგებაშიც კი მისცა, ქრთამი შემომადგლიათ. ფულში სინდისი ვაჟკაცმა როგორ უნდა გაჰყიდოს, იცის ხოლმე თქმა... გროშებს მათხოვრებს აძლევნო.

— გასაგებია. — დაუდასტურა კლიენტმა. — თქვენ მხოლოდ მანიშნეთ, რა უფრო ესიაშვინება და... ქრთამს ვერ შევბედავ ამოდენა კაცს. ღმერთმა დამიფაროს... ძღვენს კი ისეთს გავუმზადებ, რომ...

— მეც ასე ვაგრძნობინე. — გაუმხილა ქალიშვილმა.

— მერე?

— ჩემი მდივანი კი არა, მარჯვენა ხელი ხარო.

გორვალაძე და მდივანი ქალი ჯერ კიდევ ტბილ საუბარში იყვნენ გართული, რომ კარებში ერთი მაღალ-მაღალი ვაჟკაცი შემოიჭრა და ღერეთანში მყოფთა პროტესტი და აურ-ზაური შემოიტანა.

— პროკურორი მინდა! — მკაცრად გადახედა მან მდივანს.

— კარგი სურვილი გქონიათ! — მკვახედ ახედა ქალმა მოსულს, — არ არის პროკურორი.

— როდის იქნება!

— მისი ნებაა... — და დაუმატა: — დღეს არ სცალია პროკურორს.

— მე კი მოცლილი ვარ? მითხარით, როდის მიმიღებს? — მიეძალა ახალ-მოსული.

— ხომ ვითხრეს, ამხანაგო, არ არის, არ სცალიანო. — მდივანი ქალის მაგივრად უპასუხა გორვალაძემ.

— თქვენთან საქმე არა მაქვს. — შეუბღვირა გორვალაძეს უცნობმა. — მე მინდა პროკურორი, გესმით თქვენ?

— ასე თუ მოიქცევი, ვერასოდეს ვერ ნახავ მას! — წამოსცდა მდივან ქალიშვილს.

— როგორ, მე ვერ ვნახავ მას? მე, საბჭოთა მოქალაქე? უდანაშაულოდ დასასჯელად განწირული ადამიანი? მითხარით, ვინ დამიშლის მოვძებნო სამართალი ჩვენს ქვეყანაში?! — და ისე დააბრიალა თვალები, რომ მდივანი ქალი შიშისაგან მოიკრუნჩხა.

— დამშვიდდით, მოქალაქე! — ისევ დამლაგებელი ქალი შეეცადა უცნობის დამშვიდებას. — პროკურორს ნახავ, ოღონდ ცოტა დიცადეთ. მოვა თქვენი ჯერი და...

— მე ჯერი არ ვიცი. — უფრო აუწყია ხმას უცნობმა, აღელდა, ალბათ, მალე გააფთრდებოდა, მაგრამ ამ დროს კარებში უფროსი გამოძიებელი შემოვიდა და იმას მივარდა.

— რა იყო, ადამიანო, რამ გადაგრიო? — მშვიდად უთხრა გამოძიებელმა. — რა მოხდა ასეთი?! რა დიდი სასჯელი შენ მოგელის, რომ ასე აღშფოთებულხარ!

— როგორ, განა ამაზე მეტი სასჯელი შეიძლება მიაკუთვნო უდანაშა-

ულო ადამიანს? — კვლავ აზოზოქრდა უცნობი. — შენ ხომ დარწმუნებული ხარ ჩემს სიმაართლეში? ხომ იცი, რაშია არის საქმე?

— მერე?

— მერე, რად მაძლევ პასუხისგებაში, რას მერჩი?

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! — კვლავ მშვიდად უთხრა გამომძიებელმა. — 137 მუხლი რა ისეთი რამაა, რომ ნაწყენი იყო. თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, ან ჯარიმა, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება. შენზე შეგვიძლია უკანასკნელი გამოვიყენოთ. შეიძლება უფრო სასტიკად მოგპყრობოდნენ, მაგრამ...

— უფრო სასტიკად? უფრო მკაცრად?! — იფეთქა უცნობმა. — რატომ, რისთვის? იმისათვის, რომ გაიძვერა და ხალხის ქონების მიმთვისებელი გამხილე? იმიტომ, რომ...

— პატიოსან კაცს ცილი დასწამე. — შეუსწორა გამომძიებელმა.

— პატიოსან კაცს? შენ ამბობ, რომ ხლართიაშვილი პატიოსანია?

— დიახ, დიახ. — არ დააყოვნა გამომძიებელმა. — მე ვამბობ და ამხანაგი პროკურორიც ამ აზრის არის. ჩვენ ეს დადასტურებულად მიგვაჩინია და ჩემი რჩევა იქნებოდა...

— ენა ჩამეგდო და თავი დამნაშავედ მეცნო? — შეაწყვეტინა უცნობმა. — ბოდიში მომეხადა და ციხეში დავმჯდარიყავი? ვაფურობე მე შენს გულკეთილობას! გესმის?! ვაფურობე! — და ისე დაეჭიმა სახეზე ძარღვები, რომ ესაა კანი გასკდება და სისხლის შადრევანი გადმოხეთქსო.

— მაშ ასე?! ძალიან კარგი! — ნაბიჯით უკან დაიხია გამომძიებელმა. — ახლა კი 137 მუხლს სანატრელად გაგიხდი! — მუქარით დაუმატა მან და უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

— რომელი მუხლიც გინდა, ის გამოიყენე, მაგრამ გახსოვდეს, სანამ იმ მუხლებით გამასამართლებდეთ, საკუთარ მუხლებს დაგამტკრევთ. თქვენ გგონიათ თქვენს იქით სამართალი არაა? კარგი, ამასაც ვნახავ... როდის მოვა პროკურორი? — კვლავ მდივან ქალს მიუბრუნდა კლიენტი.

— არ ვიცი. შეიძლება დღეს არც მოვიდეს. — ახლა უფრო თავაზიანად უპასუხა ქალიშვილმა.

— ჰო, რა ენაღვლება, როცა მოისურვებს, მაშინ მოვა. — ბრაზით წარმოთქვა უცნობმა. — მე და ჩემისთანებს კი თვეობით აცდევინებს აქ. — სწრაფად მიტრიალდა და გავიდა.

— მხეცი, ნადირი! — გააყოლა უკან გამომძიებელმა. — ხომ გაიგონეთ, რა მითხრა? როგორი შეურაცხყოფა მომაყენა? მე მაგას ვუჩვენებ კიბოების საბუდარს. ნახოს რა დაუჯდება თანამდებობის პირის შეურაცხყოფა.

— თქვენაც ერთი! — გამოეჭომაგა დამლაგებელი წასულს. — რასაც

გაბრაზებული კაცი იტყვის, ყველას რომ მისდიოთ...

— მერე, ჩვენი ბრაღია მისი გაბრაზება? — შეწრიალდა გამომძიებელი. — თავს დააბრალოს.

— კი, დასასჯელია, ბატონო, დასასჯელი! — ახლა ამოიღო ხმა აქამდე დამუწვებულმა გორვალაძემ. — მასეთებია, რომ ამღვრევენ წყალს და მართალ ადამიანებს ჩირქს სცხებენ. მეც მაგათი მსხვერპლი არ ვავხდი?

გამომძიებელმა ახლა მიაქცია ყურადღება ამ ჩამრგვალებულ კაცს და გაუღიმა.

— აა, ეს თქვენ ხართ? ვიცით, ვიცით. გერმან მერაბიჩი მეუბნებოდა. მე მგონია, თქვენ...

— სრულიად უსაფუძვლოდ, ჩემო ბატონო. ერთი ბეწო დანაშაული არ მიმიძღვის. თქვენ რომ ჩემი საქმე იცოდეთ... არა, ისეთ ბაღანას, გვარამაძე რომაა, კაცი მიანდობს ამოდენა საქმეს? მას ხომ არა აქვს ცხოვრების გამოცდილება.

— გასაგებია. — თქვა გამომძიებელმა. — როგორც ვიცი, გერმან მერაბიჩმა არასწორად მიიჩნია გვარამაძის ნაწარმოები საქმე და...

— ნეტა თქვენ გადმოგცემდეთ! — ჩაუბნო მდივანმა.

— შეიძლება. — მიუგო გამომძიებელმა. — თუმცა ძალიან დატვირთული ვარ, მაგრამ...

— აი თქვენ გიშველათ ღმერთმა, — სახე გაებადრა გორვალაძეს. — კანონი მანახეთ, ბატონო, და... მეც არ ვარ ისეთი უნამუსო კაცი, რომ ადამიანს სიკეთე არ დაუფასო. თქვენ, ალბათ, მე არ მიცნობთ, მაგრამ აგერ პატივცემული ცაცა კი გეტყვით ჩემს ამბავს. არა, დამნაშავე რომ ვიყო, ვინ მამაძალი, მაგრამ უდანაშაულო კაცის სულის წვის ამბავი ხომ მოგესვენებათ.

— გასაგებია, გასაგები! ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

— სიმართლეს ნუ დამიკარგავთ, ჩემო ბატონო, და სხვას არაფერს გეხვეწებით. — ფეხქვეშ გაეგო გორვალაძე. შემდეგ მდივან ქალს ყურში რაღაც წასჩურჩულა და ფეხაკრეფით გავიდა.

— კარგი საქმეა. — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, როცა მდივანთან მარტო დარჩა. — თუ გერმან მერაბიჩი ისტურვებს და მე მომანდობს...

მაგრამ ამ დროს ის უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა, დილით რომ იყო. მას ყურადღება არავისთვის მიუქცევია, პირდაპირ პროკურორის კაბინეტის კარებს მიაღდა.

— ვინ გინდა? — მიიძახა მდივანმა ქალიშვილმა და შეუბღვირა.

— პროკურორი. — შემობრუნდა ახალგაზრდა კაცი.

— პროკურორი რა შენი ამხანაგია, ასე უკითხავად რომ დაადირე თავი და მიდიხარ? — მდივნის მაგივრად მიახალა გამომძიებელმა.

— მე რომ არ ვიცი, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ახლა გამომძიებელს შეხედა უცნობმა.

— თუ არ იცი, უნდა იკითხო. — შეენაცვლა გამომძიებელს მდივანი. — უფროსი გამომძიებელია, გაიგე ახლა?

— ბოდიში. — და უცნობმა ორივე ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. — პროკურორი მალე მოვა?

— რად გინდა პროკურორი? — უგემურად შეეკითხა გამომძიებელი.

— ნება მიბოძეთ, მაგ შეკითხვაზე არ გიპასუხოთ. — უცნობი მიბრუნდა და სწრაფად დატოვა იქაურობა.

— არ აგვატირო! — გადაიხარხარა გამომძიებელმა. — ნახე, როგორი ნაწყენი წავიდა?! ალბათ, ფეხს აღარ შემოადგამს აქ.

— კისერიც უტეხია. გიჟია ვიღაც. — და მდივანმა ქალიშვილმა ხელჩანთიდან სარკე ამოიღო, საკუთარ თვალებს გაეთამაშა.

უფროსი გამომძიებელი კარგა ხანს იდგა ეშხიანი ქალიშვილის მახლობლად. ბოლოს, ველარ აიტანა უიმედო ტრფიალი და უხალისოდ გავიდა.

კარებს იქით, საიდანაც განუწყვეტელი დუდუნი და ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა, უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს პროკურორის მოსვლის ნიშანი იყო და მდივანი ქალიშვილი შესახვედრად მოემზადა. კაბინეტის კარი გააღო, მაგიდაზე დალაგებული წიგნები და ქაღალდები მისწი-მოსწია და თავისი ადგილი დაიკავა.

კარი ნელა გაიღო. შემოვიდა მაღალი კაცი. კაცი კი არა, ქანდაკება, ქვისაგან ან სხვა რაიმე ლითონისაგან ჩამოსხმული ქანდაკება. ცივი, მიუკარგები, გოროზი, მრისხანე, გრძნობასა და სიცოცხლეს მოკლებული. ასეთი სახე შემოიტანა, მაგრამ უეცრად იცვალა ფერი. მდივანს სალამი უთხრა და ღიმილიც ესროლა.

— მიკითხა ვინმემ?

— ის გახლდათ. — და ქალიშვილმა დანარჩენის თქმა უუუუნა თვალებს მიანდო.

— გასაგებია. — ღიმილი აღებეჭდა ქანდაკებას სახეზე.

— უნდა დაეხმაროთ, გერმან მერაბიჩ! როგორც თქვენი... გულითადი მეგობარი და პატივისცემელი, ისე გეხვეწებით.

— კარგი, კარგი. — ნიკაპზე შეუსვა ხელი ქალიშვილს პროკურორმა და კეთილად გაუღიმა. — შენც თუ რამე გხვდება...

— შეპირებულია, გერმან მერაბიჩ!.. თუ ეს საქმე გაკეთდება...

პროკურორი კაბინეტში შევიდა და კარი ჩაიკეტა.

კარებს მთხოვნელების ლაშქარი მიაწყდა.

— ჩემი რიგია!

— მე უნდა შევიდე!

— გადაუდებელი საქმე მაქვს!

მაგრამ მდივანი ქალიშვილი შესვლის ნებას არავის აძლევდა. — ჯერ არ ღებულობს, გაიგეთ, არ ღებულობს. — იძახდა იგი და შესვლის მსურველებს ორივე ხელით იგერიებდა.

ერთი კარგად ჩაცმულ-დახურული ქალი და კაცი ყველას გამორჩა მხედველობიდან, ისე შევიდნენ პროკურორთან და კაბინეტის კარი კვლავ ჩაიკეტა.

— აკი არ ღებულობსო? — განაცხადა ვილაცამ პროტესტი.

— აკი არავის უშვებდით? — აჰყვა მეორე.

საყვედურები საყვედურებს აეკიდა და ხმაური გაძლიერდა.

მდივანმა ქალიშვილმა ხომ უნდა იმართლოს თავი და...

— ქალი პროკურორის მეუღლეა... კაცი? კაცი ვინმე ნათესავი იქნება... დამშვიდდით, ყველას მიგიღებთ...

მაგრამ პროკურორმა კარი გამოაღო, მდივანს უბრძანა, არავინ შემოუშვა, დღეს მიღება არ მექნებაო, და საკითხიც გადაწყდა. მთხოვნელები უკმაყოფილოდ დაიშალნენ.

მდივანმა ქალიშვილმა თავისუფლად ამოისუნთქა, აჩეჩილი თმა უფრო აჩეჩა და კარგ გუნებაზე დადგა.

ოთახის კარი კვლავ უცნობმა ახალგაზრდამ შემოაღო.

— არ მოსულა? — იკითხა მან.

ქალიშვილმა უკმაყოფილოდ ახედა.

— მოვიდა, მაგრამ არ ღებულობს.

— მოახსენეთ, რომ საჭირო საქმეზე ვარ.

— მართლა? აქ უსაქმოდ არავინ მოდის. მაინც რა საქმე გაქვს ისეთი? იქნება შემძლია რამე გირჩიო, დაგეხმარო.

— დარწმუნებული ვარ, დახმარებას არ დაიზარებთ, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, არ შეგაწუხოთ.

— გასაგებია. — გაიღიმა ქალიშვილმა. — გაჰყლიტე ვინმე?

— ვერ გავიგე!

— მანქანა დააჯახე?

— ასეთი აზრი საიდან მოგივიდათ?

— ზედვე გეტყობა, შოფერი ხარ. ალბათ, ვინმე გაიტანე, ან ავარიის ში მოხვდი და პასუხისგებაში მიგცეს.

— ასე ფიქრობთ?

— მაშ გამფლანგველი და და მექრთამე რომ არ ხარ, ზედვე გეტყობა.

— მართლა? — გაეღიმა სტუმარს. — თქვენი აზრით, მძღოლი ვარ, ლოთი ან ხულიგანი, არა?

— შენისთანები ასეთ საქმეზე მოდიან ჩვენთან. თუმცა იქნებ წესიერიც ხარ, მაგრამ ფათერაკი ყველას სდევს.

უცბათ კაბინეტის კარი გაიღო, პროკურორმა მეუღლე და მისი მხლე-

— სამი დღეა ჩაწერილი ვარ!

ეს წამოძახილები ქალის წკრიალა ხმამ ჩაახშო:

— წესიერად იყავით, თორემ არც ერთს არ შეგიშვებთ!

ოთახში ტანწერწეტა, თვალციმციმა ლამაზი ქალიშვილი შემოვიდა და საამური სურნელება შემოიტანა.

— გერმან მერაბოვის ხომ არ დაურეკავს? — გადახედა მან დამლაგებელს, პალტო გაიხადა, კედელზე მიაკიდა, შემდეგ ხელჩანთა გახსნა, სურნელებას სურნელება მიუმატა, ტუჩებს საღებავი, წარბები შეიგრის-შემოიგრისა, თმა თითებით აიჩეჩა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

— არა, — უპასუხა დამლაგებელმა, ერთხელ კიდევ გადაუსვა ჩვარი მაგიდას და ღუმელთან აიტუზა. — ძალიან ცივა. — თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— ერთი ქურქი მაინც ჩამეგდო ხელში! — თქვა ქალიშვილმა. — მთელი ზამთარი ასე გავატარე. რამდენ გაიძვერასა და ოხერს საქმე გავუქეთე და... ტასო, გახედე, გეთაყვა, იქნება გორვალაძეა მოსული. ურიგოდ შემოვიდეს.

— გორვალაძე ვინაა, აი ის მრგვალი კაცი?

— ჰო, იმ საქმეზე რომ დადის. იქნება გავუხერხო რამე.

დამლაგებელი დერეფანში გავიდა. შეკრებილთა შორის მაშინვე აღმოაჩინა სასურველი პიროვნება, თვალით ანიშნა გაჰყოლოდა და სხვების შეუმჩნევლად კარებში შეაპარა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — თავაზიანი გახდა ანგელოზის მსგავსი ქალიშვილი. — ძალიან გაგიბედნიათ ამ სიციფეში... თუმცა, თქვენ ისეთი ქურქი გაცვიათ, რომ... საზღვარგარეთულია?

— დიახ, მოდის ხოლმე ჩვენთან ასეთები... იქნებ თქვენც გსურდათ?..

— მსურდა რომელია! ნეილონის ქურქი ვის არ უნდა?

— ჩვენ კარგად ვიყოთ და ეგ ადვილი მოსახერხებელია... ხომ არ მოგიხსენებიათ?

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — გაუღიმა ქალიშვილმა.

— იქნებ, დაგავიწყდათ. შესაძლებელია...

— არასოდეს! ყველაფერი რომ დამავიწყდეს... ოცნებაა ჩემი, ოცნება. — და ქალიშვილმა ნეილონის ქურქი გაიხსენა.

— ოღონდ ამ საქმეს მშვიდობიანად გადავრჩე და... გერმან მერაბიჩის მეუღლეს, თუ იცით, რა ხიბლავს ყველაზე უფრო? — თვალი ჩაუკრა გორვალაძემ.

— თეოს? მას აღარაფერი აკლია, თუმცა ძვირფასი ნივთი ვის არ აუბამს თვალებს. გერმან მერაბიჩიც ბევრ რამეს ვერ უცქერის გულგრილად, თუ ძღვენი მოსაწონია... ქრთამის სახით ხომ ერთ კაპიკსაც ვერ ჩაუცოცებ ჩიბეში. საშინლად ეჯავრება, ვინმე რომ ფულზე ჩამოუგდებს ლაპარაკს.

ერთი-ორი პასუხისგებაშიც კი მისცა, ქრთამი შემომადგლიათ. ფულში ნი-
დისი ვაჟკაცმა როგორ უნდა გაჰყიდოს, იცის ხოლმე თქმა... გროშებს
მათხოვრებს აძლევდნენ.

— გასაგებია. — დაუდასტურა კლიენტმა. — თქვენ მხოლოდ მანიშ-
ნეთ, რა უფრო ესიამოვნება და... ქრთამს ვერ შევებდავ ამოდენა კაცს.
ღმერთმა დამიფაროს... ძღვენს კი ისეთს გავუმზადებ, რომ...

— მეც ასე ვაგრძნობინე. — გაუმხილა ქალიშვილმა.

— მერე?

— ჩემი მდივანი კი არა, მარჯვენა ხელი ხარო.

გორვალაძე და მდივანი ქალი ჯერ კიდევ ტკბილ საუბარში იყვნენ გა-
რთული, რომ კარებში ერთი მაღალ-მაღალი ვაჟკაცი შემოიჭრა და ღერე-
ფანში მყოფთა პროტესტი და აურ-ზაური შემოიტანა.

— პროკურორი მინდა! — მკაცრად გადახედა მან მდივანს.

— კარგი სურვილი გქონიათ! — მკვანხედ ახედა ქალმა მოსულს, —
არ არის პროკურორი.

— როდის იქნება!

— მისი ნებაა... — და დაუმატა: — დღეს არ სცალია პროკურორს.

— მე კი მოცლილი ვარ? მითხარით, როდის მიმიღებს? — მიეძალა ახალ-
მოსული.

— ხომ გითხრეს, ამხანაგო, არ არის, არ სცალიანო. — მდივანი ქალის
მაგივრად უპასუხა გორვალაძემ.

— თქვენთან საქმე არა მაქვს. — შეუბღვირა გორვალაძეს უცნობ-
მა. — მე მინდა პროკურორი, გესმით თქვენ?

— ასე თუ მოიქცევი, ვერასოდეს ვერ ნახავ მას! — წამოსცდა მდივან
ქალიშვილს.

— როგორ, მე ვერ ვნახავ მას? მე, საბჭოთა მოქალაქე? უდანაშაულოდ
დასასჯელად განწირული ადამიანი? მითხარით, ვინ დამიშლის მოვებნო
სამართალი ჩვენს ქვეყანაში?! — და ისე დააბრიალა თვალები, რომ მდი-
ვანი ქალი შიშისაგან მოიკრუნჩხა.

— დამშვიდდით, მოქალაქე! — ისევ დამლაგებელი ქალი შეეცადა
უცნობის დამშვიდებას. — პროკურორს ნახავ, ოღონდ ცოტა დაიცადეთ.
მოვა თქვენი ჯერი და...

— მე ჯერი არ ვიცი. — უფრო აუწია ხმას უცნობმა, ადელდა, ალბათ,
მალე გააფთრდებოდა, მაგრამ ამ დროს კარებში უფროსი გამომჩიებელი
შემოვიდა და იმას მივარდა.

— რა იყო, ადამიანო, რამ გადაგვრია? — მშვიდად უთხრა გამომჩიე-
ბელმა. — რა მოხდა ასეთი?! რა დიდი სასჯელი შენ მოგელის, რომ ასე
აღშფოთებულხარ!

— როგორ, განა ამაზე მეტი სასჯელი შეიძლება მიაკუთვნო უდანაშა-

ულო ადამიანს? — კვლავ აბობოქრდა უცნობი. — შენ ხომ დარწმუნებული ხარ ჩემს სიმართლეში? ხომ იცი, რაშია არის საქმე?

— მერე?

— მერე, რად მადლევ პასუხისგებაში, რას მერჩი?

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! — კვლავ მშვიდად უთხრა გამომძიებელმა. — 137 მუხლი რა ისეთი რამაა, რომ ნაწყენი იყო. თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, ან ჯარიმა, ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება. შენზე შეგვიძლია უკანასკნელი გამოვიყენოთ. შეიძლება უფრო სასტიკად მოგპყრობოდნენ, მაგრამ...

— უფრო სასტიკად? უფრო მკაცრად?! — იფეთქა უცნობმა. — რატომ, რისთვის? იმისათვის, რომ გაიძვერა და ხალხის ქონების მიმთვისებული გამხილე? იმიტომ, რომ...

— პატიოსან კაცს ცილი დასწამე. — შეუსწორა გამომძიებელმა.

— პატიოსან კაცს? შენ ამბობ, რომ ხლართიაშვილი პატიოსანია?

— დიახ, დიახ. — არ დააყოვნა გამომძიებელმა. — მე ვამბობ და ამხანაგი პროკურორიც ამ აზრის არის. ჩვენ ეს დადასტურებულად მიგვაჩნია და ჩემი რჩევა იქნებოდა...

— ენა ჩამეგლო და თავი დამნაშავედ მეცნო? — შეაწყვეტინა უცნობმა. — ბოდიში მომეხადა და ციხეში დავმჯდარიყავი? ვაფურობე მე შენს გულკეთილობას! გესმის?! ვაფურობე! — და ისე დაეჭიმა სახეზე ძარღვები, რომ ესაა კანი გასკდება და სისხლის შადრევანი გადმოხეთქსო.

— მაშ ასე?! ძალიან კარგი! — ნაბიჯით უკან დაიხია გამომძიებელმა. — ახლა კი 137 მუხლს სანატრელად გაგიხდი! — მუქარით დაუმატა მან და უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

— რომელი მუხლიც გინდა, ის გამოიყენე, მაგრამ გახსოვდეს, სანამ იმ მუხლებით გამასამართლებდეთ, საკუთარ მუხლებს დაგამტვრევთ. თქვენ გგონიათ თქვენს იქით სამართალი არაა? კარგი, ამასაც ვნახავ... როდის მოვა პროკურორი? — კვლავ მდივან ქალს მიუბრუნდა კლიენტი.

— არ ვიცი. შეიძლება დღეს არც მოვიდეს. — ახლა უფრო თავაზიანად უპასუხა ქალიშვილმა.

— ჰო, რა ენაღვლება, როცა მოისურვებს, მაშინ მოვა. — ბრაზით წარმოთქვა უცნობმა. — მე და ჩემისთანებს კი თვეობით აცდევინებს აქ. — სწრაფად მიტრიალდა და გავიდა.

— მხეცი, ნადირი! — გააყოლა უკან გამომძიებელმა. — ხომ გაიგონეთ, რა მითხრა? როგორი შეურაცხყოფა მომაყენა? მე მაგას ვუჩვენებ კიბოების საბუღარს. ნახოს რა დაუჯდება თანამდებობის პირის შეურაცხყოფა.

— თქვენაც ერთი! — გამოექომაგა დამლაგებელი წასულს. — რასაც

გაბრაზებული კაცი იტყვის, ყველას რომ მისდიოთ...

— მერე, ჩვენი ბრალია მისი გაბრაზება? — შეწრიალდა გამომძიებელი. — თავს დააბრალოს.

— კი, დასასჯელია, ბატონო, დასასჯელი! — ახლა ამოიღო ხმა აქამდე დამუწვებულმა გორვალაძემ. — მასეთებია, რომ ამღვრევენ წყალს და მართალ ადამიანებს ჩირქს სტებენ. მეც მაგათი მსხვერპლი არ ვავხდი?

გამომძიებელმა ახლა მიაქცია ყურადღება ამ ჩამრგვალეზულ კაცს და გაუღიმა.

— აა, ეს თქვენ ხართ? ვიცი, ვიცი. გერმან მერაბიჩი მეუბნებოდა. მე მგონია, თქვენ...

— სრულიად უსაფუძვლოდ, ჩემო ბატონო. ერთი ბეწო დანაშაული არ მიმიძღვის. თქვენ რომ ჩემი საქმე იცოდეთ... არა, ისეთ ბაღანას, გვარამაძე რომაა, კაცი მიანდობს ამოდენა საქმეს? მას ხომ არა აქვს ცხოვრების გამოცდილება.

— გასაგებია. — თქვა გამომძიებელმა. — როგორც ვიცი, გერმან მერაბიჩმა არასწორად მიიჩნია გვარამაძის ნაწარმოები საქმე და...

— ნეტა თქვენ გადმოგცემდეთ! — ჩაუბნო მდივანმა.

— შეიძლება. — მიუგო გამომძიებელმა. — თუმცა ძალიან დატვირთული ვარ, მაგრამ...

— აი თქვენ გიშველათ ღმერთმა, — სახე გაებადრა გორვალაძეს. — კანონი მანახეთ, ბატონო, და... მეც არ ვარ ისეთი უნამუსო კაცი, რომ ადამიანს სიკეთე არ დაუფასო. თქვენ, ალბათ, მე არ მიცნობთ, მაგრამ აგერ პატივცემული ცაცა კი გეტყვით ჩემს ამბავს. არა, დამნაშავე რომ ვიყო, ვინ მამაძალი, მაგრამ უდანაშაულო კაცის სულის წვის ამბავი ხომ მოგესვენებათ.

— გასაგებია, გასაგები! ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

— სიმართლეს ნუ დამიკარგავთ, ჩემო ბატონო, და სხვას არაფერს გეხვეწებით. — ფეხქვეშ გაეგო გორვალაძე. შემდეგ მდივან ქალს ყურში რაღაც წასჩურჩულა და ფეხაკრეფით გავიდა.

— კარგი საქმეა. — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, როცა მდივანთან მარტო დარჩა. — თუ გერმან მერაბიჩი ისურვებს და მე მომანდობს...

მაგრამ ამ დროს ის უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა, დილით რომ იყო. მას ყურადღება არავისთვის მიუქცევია, პირდაპირ პროკურორის კაბინეტის კარებს მიაღდა.

— ვინ გინდა? — მიიძახა მდივანმა ქალიშვილმა და შეუბღვირა.

— პროკურორი. — შემობრუნდა ახალგაზრდა კაცი.

— პროკურორი რა შენი ამხანაგია, ასე უკითხავად რომ დაადირე თავი და მიდიხარ? — მდივნის მაგივრად მიახალა გამომძიებელმა.

— მე რომ არ ვიცი, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ახლა გამოვიდეთ
შეხედა უცნობმა.

— თუ არ იცი, უნდა იკითხო. — შეენაცვლა გამომძიებელს მდივანი. —
უფროსი გამომძიებელია, გაიგე ახლა?

— ბოდიში. — და უცნობმა ორივე ცნობისმოყვარეობით შეათვალიე-
რა. — პროკურორი მალე მოვა?

— რად გინდა პროკურორი? — უგემურად შეეკითხა გამომძიებელი.

— ნება მიბოძეთ, მაგ შეკითხვაზე არ გიპასუხობ. — უცნობი მიბრუნ-
და და სწრაფად დატოვა იქაურობა.

— არ აგვატირო! — გადაიხარხარა გამომძიებელმა. — ნახე, როგორი
ნაწყენი წავიდა?! ალბათ, ფხს აღარ შემოადგამს აქ.

— კისერიც უტეხია. გიჟია ვილაც. — და მდივანმა ქალიშვილმა ხელ-
ჩანთიდან სარკე ამოიღო, საკუთარ თვალებს გაეთამაშა.

უფროსი გამომძიებელი კარგა ხანს იდგა ეშხიანი ქალიშვილის მახ-
ლობლად. ბოლოს, ვედარ აიტანა უიმედო ტრფიალი და უხალისოდ გავიდა.

კარებს იქით, საიდანაც განუწყვეტელი დუდუნი და ხმამაღალი ლაპა-
რაკი მოისმოდა, უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს პროკურო-
რის მოსვლის ნიშანი იყო და მდივანი ქალიშვილი შესახვედრად მოემზა-
და. კაბინეტის კარი გააღო, მაგიდაზე დალაგებული წიგნები და ქაღალდე-
ბი მისწი-მოსწია და თავისი ადგილი დაიკავა.

კარი ნელა გაიღო. შემოვიდა მაღალი კაცი. კაცი კი არა, ქანდაკე-
ბა, ქვისაგან ან სხვა რაიმე ლითონისაგან ჩამოსხმული ქანდაკება. ცივი,
მიუკარები, გოროზი, მრისხანე, გრძნობასა და სიცოცხლეს მოკლებული.
ასეთი სახე შემოიტანა, მაგრამ უეცრად იცვალა ფერი. მდივანს სალამი
უთხრა და ღიმილიც ესროლა.

— მიკითხა ვინმემ?

— ის გახლდათ. — და ქალიშვილმა დანარჩენის თქმა ჟუჟუნა თვა-
ლებს მიანდო.

— გასაგებია. — ღიმილი აღებეჭდა ქანდაკებას სახეზე.

— უნდა დაეხმაროთ, გერმან მერაბიჩ! როგორც თქვენი... გულითადი
მეგობარი და პატივისმცემელი, ისე გეხვეწებით.

— კარგი, კარგი. — ნიკაპზე შეუსვა ხელი ქალიშვილს პროკურორმა
და კეთილად გაუღიმა. — შენც თუ რამე გხვდება...

— შეპირებულია, გერმან მერაბიჩ!.. თუ ეს საქმე გაკეთდება...

პროკურორი კაბინეტში შევიდა და კარი ჩაიკეტა.

კარებს მთხოვნელების ლაშქარი მიაწყდა.

— ჩემი რიგია!

— მე უნდა შევიდე!

— გადაუდებელი საქმე მაქვს!

მაგრამ მდივანი ქალიშვილი შესვლის ნებას არავის აძლევდა.

— ჯერ არ ღებულობს, გაიგეთ, არ ღებულობს. — იძახდა იგი და შესვლის მსურველებს ორივე ხელით იგერიებდა.

ერთი კარგად ჩაცმულ-დახურული ქალი და კაცი ყველას გამორჩა მხედველობიდან, ისე შევიდნენ პროკურორთან და კაბინეტის კარი კვლავ ჩაიკეტა.

— აქი არ ღებულობს? — განაცხადა ვილამ პროტესტი.

— აქი არავის უშვებდით? — აპყვა მეორე.

საყვედურები საყვედურებს აეკიდა და ხმაური გაძლიერდა.

მდივანმა ქალიშვილმა ხომ უნდა იმართლოს თავი და...

— ქალი პროკურორის მეუღლეა... კაცი? კაცი ვინმე ნათესავი იქნება... დამშვიდდით, ყველას მიგიღებთ...

მაგრამ პროკურორმა კარი გამოაღო, მდივანს უბრძანა, არავინ შემოუშვა, დღეს მიღება არ მექნებაო, და საკითხიც გადაწყდა. მთხოვნელები უკმაყოფილოდ დაიშალნენ.

მდივანმა ქალიშვილმა თავისუფლად ამოისუნთქა, აჩეჩილი თმა უფრო აიჩეჩა და კარგ გუნებაზე დადგა.

ოთახის კარი კვლავ უცნობმა ახალგაზრდამ შემოაღო.

— არ მოსულა? — იკითხა მან.

ქალიშვილმა უკმაყოფილოდ ახედა.

— მოვიდა, მაგრამ არ ღებულობს.

— მოახსენეთ, რომ საჭირო საქმეზე ვარ.

— მართლა? აქ უსაქმოდ არავინ მოდის. მაინც რა საქმე გაქვს ისეთი? იქნება შემოძლია რამე გირჩიო, დაგეხმარო.

— დარწმუნებული ვარ, დახმარებას არ დაიზარებთ, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, არ შეგაწყუბოთ.

— გასაგებია. — გაიღიმა ქალიშვილმა. — გაჭყლიტე ვინმე?

— ვერ გავიგე!

— მანქანა დააჯახე?

— ასეთი აზრი საიდან მოგივიდათ?

— ზედვე გეტყობა, შოფერი ხარ. ალბათ, ვინმე გაიტანე, ან ავარიაში მოხვდი და პასუხისგებაში მიგცეს.

— ასე ფიქრობთ?

— მაშ გამფლანგველი და და მექრთამე რომ არ ხარ, ზედვე გეტყობა.

— მართლა? — გაეღიმა სტუმარს. — თქვენი აზრით, მძღოლი ვარ, ლოთი ან ხულიგანი, არა?

— შენისთანები ასეთ საქმეზე მოდიან ჩვენთან. თუმცა იქნებ წესიერიც ხარ, მაგრამ ფათერაკი ყველას სდევს.

უცბათ კაბინეტის კარი გაიღო, პროკურორმა მეუღლე და მისი მხლე-

შელი გამოაცილა, გაისტუმრა, მობრუნდა და, უცნობი კაცი რომ დაინახა, უკმაყოფილოდ შეათვალიერა.

— დღეს მიღება არა მაქვს! — უთხრა მკაცრად.

— დიახ. მითხრეს.

— მაშ შემდეგ შემოიარეთ. — და კაბინეტში შესვლა დააპირა.

— დიახ, ასეც შეიძლება, თუმცა... — უცნობმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა.

— ეს რა არის? — მაგრამ ერთი თვალის მოვლებით ჩაიკითხა და უცნობი კაბინეტში შეიპატიჟა.

— პროტექცია, პროტექცია. — ჩაილაპარაკა მდივანმა ქალიშვილმა და თვალი კაბინეტისაკენ გაექცა.

* * *

მეორე დილით დამლაგებელი ჩვეულებრივ გვიან, მაგრამ სხვაზე ადრე გამოცხადდა სამსახურში. ღუმელი აანთო, მოსაცდელი ოთახი დაალაგა, შემდეგ კაბინეტისაკენ წავიდა და მჭიდროდ მიხურული კარი შეაღო.

— ჩემი სიკვდილი! — უცებ აღმოხდა ქალს და უკან დაიხია.

ამ შეძახილზე უცნობი კაცი, პროკურორის მაგიდასთან რომ იჯდა ქაღალდებში თავჩარბული, უნებლიეთ შეკრთა, თავი ასწია და დამლაგებელს შეხედა.

— მობრძანდით! — კეთილად გაუღიმა და წამოდგა. — თქვენი ნებართვის გარეშე შემოვედი. — და ხელი გაუწოდა.

დამლაგებელმა გაკვირვებით შეათვალიერა ეს უცნაური ადამიანი და გაიფიქრა:

„ვითომ ახალი პროკურორია? ასე უბრალო და ასე ახალგაზრდა?! ეს ხომ ის არის, გუშინ რომ რამდენჯერმე მოვიდა პროკურორის სანახავად?“

ქალს ფერი ეცვალა. ნუთუ მართალი გამოდგა ის ხმები, აქამდე ჭორად რომ დადიოდა გერმან მერაბიჩის სამსახურიდან მოხსნაზე? ეს ხომ კარგახნის ამბავია? მას შემდეგ თითქოს ყველაფერი მიუყვანდა. ყველამ ჭორად მიიღო. ამბობდნენ, გერმან მერაბიჩის ისეთი წელი აქვს, ვაგლახათ ვერვინ დაძრავსო. ხომ არ გამოეშალა საყრდენი?

— დღეიდან ერთად მოგვიწვეს მუშაობა და, იმედია, გავუგებთ ერთმანეთს. — ხელის ჩამორთმევის შემდეგ უთხრა ახალმა უფროსმა დამლაგებელს.

ტასოს სახე აუჭარხალდა.

— თქვენ გერმან მერაბიჩის...

— დიახ, მის ადგილას კი დროებით... ვნახოთ, თუ დამეხმარებით... არ მინდა შერცხვენილი წავიდე...

ტასო შეწრიალდა.

— მაპატიეთ. მე თქვენ გუშინ... არა, არ ვიცოდი ვინ ბრძანდებოდათ, თორემ... იქნებ, გეწყინათ კიდეც! მაპატიეთ. ხომ იცით, ყველასთან ერთ-ნაირად ვერ მოიქცევი. რომ მცოდნოდა, ვინ ბრძანდებოდათ...

— დიახ, გასაგებია. — თქვა პროკურორმა. — საერთოდ, ჩემი თხოვნა იქნება, ყველასთან ისე მოიქეცით, როგორც წესიერსა და ღირსეულ ადამიანს დაშვენდება. თანამდებობითა და ჩაცმულობით ნუ განასხვავებთ დაწესებულებაში მოსულთ.

— გასაგები გახლავთ, ბატონო. ამდენი მიხვდენა კი მაქვს, მაგრამ ყველაფერი წაბაძულობით ხდება. როგორც ჩემი უფროსები...

— არა! — შეაჩერა უფროსმა. — შეცვლილი უფროსის ძაგება საკადრისი არაა. უმჯობესი იქნება, თუ ერთად სამსახურის პერიოდში ვიქნებით ერთმანეთთან პირუთვნელი და პირდაპირი... ჰო, ამის შესახებ ჩვენ მოგვიხდება საუბარი... ახლა მე ცოტას გავივლი, მანამდე თქვენ აქ დალაგებას მორჩით, ხვალიდან კი უთუოდ უფრო ადრე უნდა მოხვიდეთ. დაწესებულება ცხრა საათისათვის დალაგებული უნდა იყოს.

— გასაგებია, ბატონო... თქვენი სახელი და მამის სახელი?

— სერგო. — მიუგო ახალგაზრდა უფროსმა.

პროკურორი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. ტასოს კაბინეტი დაეღაგებინა და მისაღებში მდივნის მაგიდასთან ჩამომჯდარიყო.

— მდივანი არ მოსულა?

— არა, ბატონო! — შეწუხდა ტასო. — არ იცის ახალი უფროსი რომ გეყავს, თორემ აქამდე როგორ არ მოვიდოდა.

— ჰო, როცა მოვიდეს, მნახოს. — და პროკურორი კაბინეტში შევიდა.

თორმეტის შესრულებას ბევრი არ აკლდა, მდივანი ქალი რომ მოვიდა. ჯერ თავისთავს მიხედა, მოშილიფდა, სარკესთან წაივარჯიშა და მაგიდას მიუჯდა.

— უფროსმა თქვა, მნახოსო. — ხმადაბლა უთხრა მას დამლაგებელმა ქალმა.

— უფროსმა?! აქ არის? — გაიკვირვა მდივანმა.

— დილა ადრიან მოსულა. რომ იცოდე, როგორი კაცი ყოფილა, ჩვენ კი... — მაგრამ მდივანს ტასოსათვის ყურადღება არ მიუქცევია, სწრაფად წამოხტა და კაბინეტში შეიჭრა.

— თქვენ მკითხულობდით, გერმან მერაბიჩ?! — მაგრამ მერაბიჩის ნაცვლად რომ გუშინდელი უცნობი ახალგაზრდა შეეფეთა, შეკრთა.

— დიახ, მე მსურდა თქვენი ნახვა. — წამოდგა ახალი პროკურორი. — გამარჯობათ. — და ხელი გაუწოდა.

— ცაცა. — თითქოს მისი სახელის გაგება სურდა უფროსს, ხელის ჩამორთმევისას მიაგება მდივანმა ქალიშვილმა.

— სასიამოვნოა. რამდენი ხანია აქ მუშაობთ, ამხანაგო ცაცა?

— მესამე წელიწადია. ინსტიტუტი რომ დავამთავრე...

— გასაგებია. მაშასადამე, თქვენ ჩვენი დაწესებულების ავ-კარგი ძალიან კარგად იცით. განათლებაც შესაფერი გქონიათ. სიტყვა-პასუხსაც უთუოდ ვერავინ დაგიწუნებთ; ზრდილობა, კეთილშობილება—ეს ხომ საბჭოთა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა და თქვენც არ იქნებით გამო-ნაკლისი.

— რასაკვირველია. — ფერი ეცვალა ქალიშვილს. — თუმცა აქ, ჩვენ-თან...

— მაგრამ ჩვენ ყველასთან თავაზიანი უნდა ვიყოთ.

— დამნაშავეებთანაც?! — გაკვირვებით იკითხა ქალიშვილმა.

— ჰო, იმათთანაც. დამნაშავეს კანონი სჯის. ჩვენ კი მოვალენი ვართ არ დავამახინჯოთ იგი, ზედმეტად არავინ დავსაჯოთ, არც უღირსსა და გა-იძევრას მივცეთ შეღავათი და მოქმედების თავისუფლება. სიტყვა-პასუ-ხი კი...

— მაპატიეთ. — თვალები აუცრემლდა მდივანს. — აბა როგორ წარ-მოვიდგენდი, რომ თქვენ... დამნაშავე ვარ.

— არა უშავს. იმედი მაქვს, განმეორება არ დამჭირდება. შორს ცხოვ-რობთ? არა? ძალიან კარგი. მაშ, სამსახურში ნუ დაიგვიანებთ. ამით დავამ-თავროთ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა. თავისუფალი ბრძანდებით.

და ქალიშვილი შეტრუსული ვაშლივით შეფერადებული გამოვიდა.

— რაო? — არ დააყოვნა ტასომ შეკითხვა.

— ზრდილობიანად გამომლანძლა. — სკამზე მოწყვეტით დაეშვა და თავი ჩაკიდა. — არა, მაგასთან მუშაობა არ შემიძლია. გერმან მერაბიჩი კი მომაწყობს თავის დაწესებულებაში.

— რასაკვირველია, თუ. თვითონ მოსაწყობად არა აქვს საქმე, მაგრამ... ხომ გახსოვს რაებს ამბობდნენ მასზე?

— ამბობდნენ! ამბობდნენ! — ზედიზედ გაიმეორა ცაცამ. — შენ და-რდი ნუ გაქვს! ვისზე არ ამბობენ?! მალე ამაზედაც ასე იტყვიან. ვისაც კუ-ჭი და მუცელი აქვს...

და რამდენიმე წუთის შემდეგ განცხადებით ხელში ეახლა ახალ პრო-კურორს.

— ეს რა არის? — განცხადებას დახედა უფროსმა.

— ძალიან გთხოვთ. — თვალები აუცრემლდა ქალიშვილს.

— ეს როგორ გავიგოთ, ჩემთან არ გსურთ, თუ... — განცხადება გამო-ართვა პროკურორმა.

— რას ბრძანებთ, ოჯახური მდგომარეობა არ მაძლევს საშუალებას. დიახ, აღარ შემიძლია მუშაობა... თუნდაც შემეძლოს... — თვალები ამო-იწმინდა და თავი დახარა.

— კარგი. დატოვეთ. — განცხადება მაგიდაზე დადო უფროსმა ვისუფალი ბრძანდებით. მოვიფიქრებ.

— მე გთხოვთ დღესვე, — თხოვა ქალიშვილმა და კაბინეტი სასწრაფოდ დასტოვა.

— ცუდად მოქცეულხარ. — გაუშტყუნა ტასომ, როცა შეიტყო, ცაცამ გათავისუფლება ითხოვა და ახალი უფროსიც დათანხმებულაო. — აბა ამაზე უკეთესი სამსახური სად უნდა იშოვო? ასე თავისუფალი სად იქნები?

ცაცამ ძალიან კარგად იცოდა, რომ შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ თითქოს სხვანაირად არ შეეძლო მოქცევა. იუკადრისა განებივრებულმა ქალიშვილმა, ახალმა უფროსმა შენიშვნა რომ მისცა და დარიგება დაუწყო. როგორ, ვილაც ახალგამომცხვარმა იურისტმა უნდა დაუწყოს ჭკუის სწავლება?! სამი წელიწადია მუშაობს და ერთხელაც არ მიუციათ შენიშვნა სამსახურში დაგვიანებისათვის. გერმან მერაბიჩს არაფერი უკადრებია ამ ხნის განმავლობაში და ეს ვინღაა ასეთი?

მეორე დღეს ახალგაზრდა პროკურორი რამდენიმე წუთით ადრე მივიდა სამსახურში, მაგრამ ყველაფერი რიგზე დახვდა. კაბინეტი გამთბარი და დალაგებული. ტასო გაზეთების კომპლექტებს აკერებდა. მდივანი ქალიც ადგილზე იყო და რაღაც ქალაღებს ათვალღიერებდა. ახალმოსული მიესალმა მათ და თავის კაბინეტში შევიდა.

უცბათ მისაღების კარები გაიღო და ოთახში შეიჭრა მაღალი ტანის გამხდარი კაცი, წინაღობით რომ ისე გაბრაზებული ედავებოდა უფროს გამომძიებელს, და პროკურორთან შესვლის ნება ითხოვა.

— დაბრძანდით. ახლავე მოვახსენებ და თუ... — უთხრა მას მდივანმა. — არავითარი თუ! — იყვირა კაცმა. — უთხარი, ახლავე მიმიღოს, თორემ... — და სანამ მდივანი კაბინეტიდან გამოვიდოდა, სკამზე ჩამოისვენა.

— შებრძანდით. — ანიშნა მდივანმა და უცნობი ვეფხივით შეიჭრა კაბინეტში.

— გამარჯობათ! — ქუდი მოიხადა მან.

• — გაგიმარჯოთ. დაბრძანდით. რაზე შევწუხებულხართ? — და პროკურორმა დაკვირვებით შეათვალღიერა მისული.

— შევწუხებულვარ?! ახლა მეკითხებით რაზე შევწუხებულვარ?! სად უნდა იპოვოს კაცმა სამართალი, თუ ჩვენში არა?! მითხარით ერთი, ვის მიემართო, სამართალი რომ გამიჩინოს?! თქვენ გეკითხებით! — აღელვებას ვერ ფარავდა უცნობი.

— მაპატიეთ, მაგრამ არ ვიცი თქვენ ვინ ბრძანდებით და რას ითხოვთ ჩემგან? — მშვიდად შეეკითხა პროკურორი.

— არ იცით? მაშ, მე ვიცი? ბრალდებული ვარ, დამნაშავე, ცილისმწამებელი, პასუხისგებაში მიცემული, მოლაყბე, ყალბი ცნობების მიმწოდებელი, პატიოსანი კაცის შეურაცხმყოფელი. დიახ, პატიოსანი გამფლანგვე-



ლის დამსმენი. გაიგეთ ვინცა ვარ? სახელმწიფო ქონების გამწვანებელი
ხეინად ბრძანდება და მე...

— გთხოვთ დაბრძანდეთ და ისე მელაპარაკოთ. — შეაჩერა პროკუ-
რორმა. — მე ჯერჯერობით თქვენს საქმეს არ ვიცნობ და წინასწარ არაფე-
რი შემძლია ვითხრათ, მაგრამ თუ ხვალამდე მადროვებთ...

— ასეთი ხვალეები ბევრი დავკარგე აქ სიარულში. — აუწია ხმას
უცნობმა. — ხან აქ არ ხართ, ხან სხვა საქმით ხართ დაკავებული, ხან შე-
მოსვლის ნებას არ იძლევი.

— ნუ ლელავთ, ამხანაგო. — წამოიწია სავარძლიდან პროკურორი. —
ხომ გეუბნებით, მობრძანდით ხვალ ათ საათზე... თუმცა როდესაც თავი-
სუფალი დრო დაგირჩეთ, მაშინ შემოიარეთ. როდის შეგიძლიათ მოხვიდეთ?

— როდესაც მეტყვით. სხვა რა საქმე მაქვს სამუშაოდან გადაყენე-
ბულს. — ოდნავ დამშვიდდა სტუმარი.

— სამუშაოდან ვინ დაგითხოვათ?

— ვინ? იმ პატიოსანმა ხელმძღვანელმა, რომელსაც სახელმწიფო ქო-
ნების განიავება დავწამე, რომელსაც ბრალდებას ვუყენებ. გასაგებია
თქვენთვის?

— ხანამ საქმეს არ ვავეცნობი, ვერაფერს გეტყვით დამამშვიდე-
ბელს, — დინჯად უთხრა პროკურორმა.

— გასაგებია. — ნაღვლიანად თქვა უცნობმა. — დამამშვიდებელს
ისეთებს ეუბნებით, რომლებსაც ქვეყნის ცოდვა კისერზე აძევთ. დიახ,
ასეა, მაგრამ... იცოდეთ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. თბილისამდე ფეხით
ჩავალ, მოსკოვს მივმართავ და სიმართლეს აღვადგენ. ნუ გგონიათ, რომ
ჩალით იყოს დახურული ქვეყანა.

პროკურორს შეებრაღა მეტისმეტად აღელვებული ვაჟკაცი. პაპიროსი
ამოიღო და მიაწოდა.

— მოსწიეთ, ნუ გერიდებათ... სიმართლის საძებრად შორს არ გაგიშ-
ვებთ. საბჭოთა კანონ-სამართალი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხესა და კუნ-
ჭულში თანაბარი სხივით აშუქებს.. თქვენი სახელი და გვარი?

— ალექსი კირთაძე, — და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა. — მუშა-
ცილისმწამებელი, დამსმენი, პატიოსანი ხელმძღვანელის შეურაცხყოფისა-
თვის პასუხისგებაში მიცემული.

— გასაგებია, ამხანაგო ალექსი. — გაუღიმა პროკურორმა. — ხვალ
მობრძანდით. მიიღებთ პასუხს. ნახვამდის! — და ხელი გაუწოდა.

— ნახვამდის. — კირთაძე გაბრუებული გავიდა კაბინეტიდან და
წუთით მდივანთან შეჩერდა. — ეტყობა, ეს ბიჭი ჭკვიანი უნდა იყოს. —
ჩაილაპარაკა და გავიდა.

ცოტა ხანი და მისაღებში გორვალაძე შეგორდა.

— დილა მშვიდობისა, ქალიშვილო ცაცუნი. — მიესალმა იგი მდივანს.

— სალამი.

— აქ ბრძანდება? — კაბინეტისაკენ გაიხედა მოხოვნელმა.

— გახლავთ.

— შეიძლება?

— მოგახსენებ. — მიუგო ქალიშვილმა, კაბინეტში შევიდა და გამობრუნებულმა, გორვალაძეს შესვლის ნება მისცა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო! — ორად მოიკეცა გორვალაძე; მაგრამ სრულიად უცნობ კაცს რომ შეეფეთა, უნებლიეთ წელში გასწორდა და კარებთან აიტუზა.

— გაგიმარჯოთ. — ახედა პროკურორმა. — მობრძანდით, დაბრძანდით. — სავარძელზე ანიშნა პროკურორმა.

— მაპატიეთ, ძალიან დიდი ბოდიში. — უხერხულად შეწრიალდა გორვალაძე. — თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ... — სავარძელზე ნახევრად ჩამოჯდა. — ხომ მოგეხსენებათ უსამართლოდ დაჩაგრული კაცის საქმე...

— დიას, გასაგებია. რას გვეტყვით?

— მე თქვენ რა უნდა გითხრათ ისეთი, რომ... — და მოყვა თავისი გასაჭირი: ათი წელიწადი მუშაობდა საწყობში. ერთი უბრალო შენიშვნაც არ მიუღია. ერთი კაპიკი დანაკლისი არ ჰქონია... მუდამ აქურში ჰქონდა შემოსავალ-გასავალი. მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა მოვალეობას, მაგრამ...

— შემდეგ რა მოხდა? — შეეკითხა პროკურორი.

— რა უნდა მომხდარიყო, ჩემო ბატონო! ცაი და ქვეყანა რომ ერთ კაცს კრიჭაში ჩაუდგება და ჭვრეტას დაუწყებს... არა, რევიზიისა და კონტროლის წინააღმდეგ ენის დაძვრა როგორ შეიძლება, მაგრამ... ერთი სიტყვით, თქვენ მიმიხვდებით... სულ კერძო ინტერესების გამო მომიწყვეს ყველაფერი. რატომ ცხოვრობს, სულს რატომ ითქვამსო. გაუფრთხილებლად დამესხა თავზე რევიზია და...

— დანაკლისი აღმოგაჩნდათ?

— ისე, რაღაც გროშები. არა, დროზე რომ მცოდნოდა, ადრევე რომ შემეტყო, ყველაფერს მოვაგვარებდი, მაგრამ... კაცნი ვართ, ბატონო. უფროს-უმცროსობა ვიცი. სხვანაირად არ შეიძლება. თქვენ რამე გაკლდეს და მე ეს არ შევნიშნო... ყველაფერი როგორც არ იქმევა, არც ითქმებაო, ნათქვამია... — ოფლში გაიწურა გორვალაძე.

— მაინც, რამდენი აღმოგაჩნდათ დანაკლისი? — თითქოს გულკეთილად იღიმება ახალგაზრდა პროკურორი.

— ხომ მოგახსენეთ, სულ რაღაც გროშები, ათი თუ თორმეტი ათასი მანეთი... იგი იმავე დღეს დავფარე, მაგრამ...

— უკვე დაფარეთ?!

— მაშინვე, ბატონო, მაშინვე... სახელმწიფოს ქონებას როგორ შე-

გირჩენდი. ყველაფერი რიგზეა, ჩემო ბატონო, ერთი კაბიკი დაგვალბიანებდა...
ალარ ითვლება ჩემზე, მაგრამ...

— მაგრამ?

— მე მგონია, უსამართლოდ ადამიანს არ დასჯით.

— მაინც რას მოითხოვთ?

— უბრალოდ რატომ უნდა დაეჩივრო, ჩემო ბატონო?! ათი წლის ნამუშევარი რატომ უნდა დამეკარგოს?! თქვენს ზელშია ჩემი ბედი. ერთი თქვენი განკარგულება და აღმადგენენ... მუშაობა მიყვარს, ჩემო ბატონო, უსაქმოდ გაჩერებას ჩვეული არა ვარ. ერთი და ორი შეცდომა ვის არ მოსვლია. კაცნი ვართ. ხომ მოგახსენეთ, ყველაფერს თავისი ანგარიში აქვს. თუ ადამიანურად შევხედავთ საქმეს... არა ვარ, ბატონო, ისეთი უსინდისო კაცი, ვინმეს რომ სიკეთე და პატივისცემა არ დავუფასო. ზეციდან ჩამოფრენილი ანგელოზი არავინაა, ბატონო. შეცდომა ყველას მოუვა.

— გასაგებია, გასაგები. — აუღელვებლად უთხრა პროკურორმა. — სულ რაღაც ათი თუ თორმეტი ათასი მანეთის დანაკლისი აღმოგაჩნდათ და დაფარეთ კიდეც, ასეა არა?

— დიახ, დიახ, მაშინვე შევიტანე, ჩემო ბატონო!

— ოცი ათასი რომ დაგკლებოდათ? — გაუღიმა პროკურორმა.

— სხვა რა გზა მქონდა, უნდა შემეტანა, ჩემო ბატონო.

— კარგი საქმეა. მაგრამ ხომ ვერ მეტყვი, ასე სწრაფად სად მოასწარი ადენი ფულის შოვნა?

ამ კითხვამ წელში გაწყვიტა გორვალაძე და შეიშმუშნა.

— ნღობა მაქვს, ბატონო ჩემო, ამიანაგები მიცნობენ, ნათესავები მყავს, მასესხეს, მომიხერხეს.

— მაგრამ ვალს რომ მოითხოვენ?

გორვალაძე კვლავ შეწრიალდა და დაიგრიხა.

— ხომ მოგეხსენებათ, ბატონო... ჩვენი პროფესიის კაცი... თქვენ სხვანაირად არ მიიღოთ და... შეუცდომელი და უცოდველი ანგელოზიც არ არისო, ნათქვამია. ხომ ასეა, ბატონო ჩემო?

— რა მოგახსენოთ, — გაუღიმა პროკურორს. — ბიბლია არ მისწავლია, მაგრამ გამიგონია, ღმერთმა დასაჯა ცოდვილი ანგელოზები და ეშმაკად ქცეული ჯოჯოხეთში ჩაჰყარაო.. ხომ ასეა?

— დიახ, გცოდნიათ, ბატონო! — უგემურად გაიღრიჭა გორვალაძე.

— ჰოდა, რა გასაკვირია, შეცოდებისათვის თქვენც თუ იმ ანგელოზების ხედრი გერგოთ?

გორვალაძეს თავზარი დაეცა. აქ მოსვლამდე იმედიანად იყო, სამსახურში დაბრუნებაზე ფიქრობდა, ახალ გეგმებს აწყობდა, ახალი სურვილები ებადებოდა... დანაკლისის დაფარვის შემდეგ თავი მართალ კაცად მოჰქონდა, სამუშაოზე აღდგენა საეჭვოდ არ მიაჩნდა, მაგრამ... ეს რა უთხ-

რა ამ ახალმა პროკურორმა? ჯოჯოხეთი შესთავაზა. არა, ახლა დროა კარგვა არ შეიძლება. როგორმე უნდა მოახერხოს თავის დადწევა. სამუშაოზე აღდგენა კი არა, აქ სხვანაირი ქსელი იბმება.

— თქვენ მე არ მიცნობთ, ბატონო! — გადაწყვიტა გაბედული ნაბიჯის გადადგმა გორვალაძემ. — არა ვარ ხელძღვნი და ხარბი კაცი, უბრალო პატივისცემასაც არ დავუკარგავ ადამიანს, ერთიორად ავუნაზღაურებ. ვიცი სიკეთის დაფასება და სამაგიეროს გადახდა.

— ეს ძალიან კარგი თვისებაა, პატივცემულო გორვალაძე, მაგრამ მე ჯერჯერობით თქვენს საქმეს არ ვიცნობ და ვერც ვერაფერს გეტყვით...

— დიახ, დიახ, თქვენ ახალი კაცი ბრძანდებით და... რასაკვირველია, არც მე მიცნობთ, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, მოკლედ მოგიყვებით...

— არ არის საჭირო. — შეაჩერა პროკურორმა. — თქვენი საქმის გაცნობასთან ერთად თქვენს პიროვნებასაც გავეცნობი... ნახვამდის. თავისუფალი ბრძანდებით.

— ნახვამდის. — გაიმეორა გორვალაძემ. — თუ ორიოდე წუთს მაჩუქებთ და მომისმენთ...

— ხვალ მობრძანდით. ნახვამდის.

— ნახვამდის. — გალახული ძაღლივით მიუხედა პროკურორს გორვალაძემ და კაბინეტიდან მუხლებმოკვეთილი და გაფითრებული გავიდა.

— ის ვინ დაუნიშნავთ, თქვენი ჰირიმი?! — შესჩივლა მან მდივან ქალიშვილს და ღონის მოსაყრებად ცოტა ხნით სკამზე ჩამოისვენა. — სადაურია?

— აქაურია. — მოკლედ მიუგო მდივანმა და კვლავ ქალაღებში ჩარგო თავი.

— ცოლ-შვილიანია?

— გახლავთ. — მოესწრო ამის გაგება მდივან ქალიშვილს. — ნახვამდის.

— დიახ, ნახვამდის... შენ, მგონია, ნეილონის ქურქი...

— მაპატიეთ. — წამოდგა ქალიშვილი. — საქმეზე მეჩქარება. — და მეორე კარში გავიდა.

— ღმერთო, ეს რაღა უეცრად შეცვლილა ყველაფერი. — ჩაილაპარაკა იმედგაცრუებულმა გორვალაძემ, ძლივძლიობით წამოდგა და გაიპარა.

* * *

ახალგაზრდა პროკურორი რომ მუშაობას მორჩა, კარგად შელამებული იყო, მაგრამ მდივან ქალიშვილს ჯერ კიდევ არ მიეტოვებინა სამუშაო. შემოსულ მიმოწერებს ალაგებდა საქმეებში და თარიღებს ასვამდა.

— რატომ არ წაბრძანდით? — ღიმილით გადახედა უფროსმა.

— საქმეებს შევრჩი, პატივცემულო სერგო!

— ჰო, მოამზადეთ, მოამზადეთ. ვნახოთ, იქნებ ამ დღეებში შეგისრუ-
ლოთ თხოვნა. — უთხრა სერგომ, პალტო ჩაიცვა და სწრაფად გავიდა.

ქალიშვილმა ნაღვლიანი თვალებით კარებამდე მიაცილა იგი. როცა
მარტო დარჩა, თავი მაგიდაზე ჩამოდო და ბავშვივით აქვითინდა.

ქუჩაში გამოსული პროკურორი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შინისაკენ.
მთელი დღე არაფერი ეჭამა და შიოდა. სუსხიანი საღამო იდგა, ცივი ქარი
უბერავდა და დასავლეთიდან წამოშლილ ორუბლებს მოერეკებოდა.

— ამხანაგ ვაშაკიძეს გაუმარჯოს! — მოესმა ამ ღროს და სწრაფად
მოტრიალდა. — ველარ მცნობ, ბიჭო? — მიუახლოვდა მას ერთი მაღალი
ვაჟკაცი და მკლავში ხელი გამოდო.

— დათიკო! — შესძახა პროკურორმა, მოეხვია და მხურვალედ გადა-
კოცნა. — საიდან სადაო, ბიჭო?! რამდენი ხანია არ მინახიხარ. მითხარი
სად ხარ, სად მუშაობ, ოჯახში ხომ კარგად? — ბეჭებზე ხელი შეავლო და
მოესიყვარულა.

— აბა აქ რომელ კითხვაზე გავცე პასუხი. შემოდი აგერ, დავსხდეთ,
თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, ცოტა წავიხემსოთ და ვისაუბროთ კიდევ.
მთელი დღეა არაფერი ჩასულა ჩემს პირში.

— სადილზე მეც არ ვიტყოდი უარს, მაგრამ... მოდი, წავიდეთ ჩემსას.
მართალია, დარიბულად ვცხოვრობ და თავს ვერაფრით მოგაწონებ, ჯერ-
ჯერობით მამაჩემის კმაყოფაზე ვიმყოფებით მე და ჩემი ცოლ-შვილი, მა-
გრამ...

— სიღარიბე დროებითი მოვლენაა, ჩემო სერგო! — გაუღიმა ამხანაგ-
მა პროკურორს. — ყველაფერს მოვესწრებით. მომავალი წინა გვაქვს. კარგი
ახლა, ნუ მალაპარაკებ ამ ქუჩაში, წავიდეთ.

ძველი ამხანაგისა და მეგობრის ხათრმა და სიყვარულმა დაიყოლია
ახალგაზრდა პროკურორი და რესტორანში შევიდნენ.

მაგიდა მყუდრო კუთხეში დაიჭირეს. ჩამოსხდნენ, სადილი დაუკვეთეს
და, სანამ დაკვეთილს მიიღებდნენ, თითო ჭიქა კონიაკი გადაკრეს.

ორივე კმაყოფილი იყო ამ უცაბედი შეხვედრით, მაგრამ ახალგაზრდა
პროკურორის მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.

სადილის მოტანამდე ბევრი რამის თქმა მოასწრეს.

— მაშ მიაღწიე შენს მიზანს, ჩემო სერგო, არა? — წამოიწყო ისევ
დათიკომ. — თავიდანვე გიზიდავდა შენ ეს დარგი. ძალიან კარგი საქმეა,
ჩემო ძმაო! ემსახურო მართლმსაჯულებას, იყო მიუდგომელი და სამართლი-
ანი, ამას რა შეედრება! — და შემდეგ თანდათან მიძალეზულ კონიაკთან
ერთად სხვა რამეც შეაპარა:

— არა, მართალი რომ არ იყოს და რაიმეში ბრალი მიუძღოდეს, მაშინ
კი არ იქნება დასაზოგავი, მაგრამ ცამდე მართალია. მერე როგორი კეთი-

ლი გულის ადამიანია. კაცისათვის თავს გადადებს. ასე რომ არ იყოს დათქმული კო გვიშიძე თავს არ შეიწყუბებდა. მადლობა ღმერთს, სერგო კარგად იცნობს მის ხასიათს. ბავშვობიდანვე ერთად შეზრდილი არიან. გაიძვერასა და თა-
ღლითს სიახლოვეს არ გაიკარებს...

— ეს ჩვენი ოჯახების სადღეგრძელო იყოს. — სწრაფად შესცვალა თემა დათქომ, როცა შენიშნა, რომ ახალგაზრდა პროკურორი ვერ შეხვდა სიამოვნებით წამოწყებულ ამბავს.

ეს სადღეგრძელო უხალისოდ შეისვა. ახალგაზრდა პროკურორმა გუ-
ლის ტკივილი მოიმიზეზა და მესამე ჭიქაზე უარი თქვა, ხოლო როცა ამ-
ხანაგმა შეწყვეტილი ამბავი გაიხსენა, უსამართლოდ დაჩაგრული ადამი-
ანის საცოდავი სურათი დახატა და მისი შველა ითხოვა, ახალგაზრდა პრო-
კურორს მკვდრის ფერი დაედო.

— ვინ არის იგი? რა მოხელეა? — იკითხა მან.

ამხანაგმა რომ მისი გვარი ახსენა, პროკურორმა შუბლი შეიკრა და
წამოღდა.

— მაბატიე, საჩქარო საქმე მაქვს. სულ გადამავიწყდა, რომ შვიდ სა-
ათზე რაიკომში ვარ მისასვლელი... ნახვამდის. ოდესმე შეგხვდებით კი-
დევ. — ხელიც არ ჩამოუერთმევია, ისე დატოვა გაკვირებული ამხანაგი და
ხელუხლები სადილი.

— აი ბრიყვი და სულელი! — ჩაილაპარაკა მარტოდ დარჩენილმა და-
თქომ და კარებისაკენ გაიხედა.

ახალგაზრდა პროკურორი გაბრუებული მიდიოდა შინ. ფეხი ეშლებო-
და, გულზე რაღაც საშინელი ლოდი მოწოლოდა და მისი სიმძიმე სულს
უხუთავდა. მიდიოდა შეურაცხყოფილი, დამცირებული. ასე ეგონა, თით-
ქოს ყველა მას მისჩერებოდა და დასცინოდა, როგორც უნამუსო დედა-
კაცს.

შინ რომ მივიდა, ცოლმა შვიდი თვის ვაჟი მიაჩეჩა ხელში და გაუღიმა.
მხოლოდ მაშინ მოეცა ძალა და ცოლ-შვილის ღიმილს ღიმილითვე უბასუხა.

— მამა არ მოსულა? — კითხა ცოლს.

— დარეკა, კრებაზე ვარ და შემაგვიანდებაო. არ ისადილებ?

— ბარემ დაუტყალოთ. — სერგო დივანზე ჩამოჯდა და ბავშვი წინ
დაისვა.

— რომ იცოდე, რა კარგი საჩუქარი მოგვიტანეს, სერგო... — გვერ-
დით მიუჯდა ცოლი ახალგაზრდა პროკურორს.

— საჩუქარი?

— საკოსტუმე. სწორედ ისეთი, შენ რომ ოცნებობდი ერთ დროს.

— მერე, ვინ გამოგვიჩინდა ასეთი მოკეთე?

— შენი ერთ-ერთი ნათესავი. მეტად კეთილი და სათნო ქალი. — უფ-
რო ახლოს მიუჩოჩდა ცოლი ქმარს.

— ქალი?

— დიახ, ქალი, მოხუცი ქალი. თქვენი ნათესავი ყოფილა, დედაშენის კარგი მეგობარი. შენი დაბადების მოწამე. კატოა მისი სახელი. გვარად კნაბაძე.

— კატო კნაბაძე! — გაიმეორა სერგომ. — აზრზე არა ვარ. ასეთი ვინმე არც კი მსმენია.

— თვითონაც ასე თქვა. სერგო ვერ მიცნობს, მაგრამ ამ ოჯახის დიდი მოკეთე და მოყვარული ვარო. რამ გაახსენა ჩვენი თავი? ახალდაოჯახებული ხართ, ახალდასახლებული და მოგინახულებთო. ბოდიში მოიხადა, ასე მცირე ძღვენით არ უნდა მოვსულიყავი, მაგრამ შემდეგისათვის იყოსო.

— მერე? მერე? — დაინტერესდა ახალგაზრდა პროკურორი.

— შეგვიბრალა, ბინაზე ვიწროდ ყოფილხართ, მაგრამ თუ ჰკუთხით იქნებით, ბინასაც შეიძენთ და ქონებასაცო...

— კიდევ რაო იმ სძაგელმა? — ბრაზი მოერია სერგოს.

— რატომ სძაგელი? ძალიან გულკეთილი ქალია, სერგო! ნათესავზე როგორ შეიძლება ასე თქვა ადამიანმა?

— არა, ვიხუმრე, — გაიღიმა სერგომ. — კეთილია და ღმერთმა სიკეთე მისცეს. სხვა რა თქვა კიდევ?

— სხვა? ერთი ნათესავი ჰყოლია იმ საცოდავს, კარგი; შეძლებული, მდიდარი. უბრალო რამეზე ჩავარდნილა. სულ ერთი სიტყვის წამოშველება იხსნის თურმე. ამ საქმეს თუ მისი ჭირიმი სერგო მოავგარებს, ჩემი ლოცვა მის ოჯახს ააშენებსო. ისიც კი თქვა, ასეთ საკოსტუმეს კი არა, ისეთ რამეებს მოვართმევ, რომ მტერს თვალები დაეცოსო. თურმე საწყობში მუშაობდა ის კაცი. გვარიც კი ჩამაწერინა.

— ელიკო!

— მითხრა ჩაწერეო და... ჰო, მეც ჩავწერე. მართლა, კაცს თუ უშველი და დაეხმარები...

— ელიკო!

— შესანიშნავი ადამიანია, სერგო, ის ქალი... რომ იცოდე, როგორი საკოსტუმეა, რა ნაჭერია...

— ელიკო, არ შემშალო!

— რატომ უნდა შეიშალო, ადამიანო? მოიტანეს, ხომ არ წაუერთმევიათ?! ყველას აქვს უფლება მეგობარსა და ნათესავს მიუძღვნას რამე. ერთი საკოსტუმე, დიდი რამ...

ახალგაზრდა პროკურორი ბრაზით აცახცახდა, ბავშვი მიატოვა და განრისხებული წამოვარდა.

— სად არის ის საკოსტუმე? — აელვარებული თვალები შეანათა ცოლს პროკურორმა. — რა უყავ? სად შეინახე?

— არ შემინახავს. — მშვიდად მიუგო ელიკომ.

— მაშ?

— უკანვე გავატანე... — და ღიმილით დაუმატა: — პროკურორის ცო-
ლი რომ არ ვყოფილიყავი, ასეთ სისულელეს არ ჩავიდენდი.

— ელიო, შენ შემოგველე! — დაცხრა აღელვებული ვაჟკაცი. — მი-
უხედი ხომ ბოროტ სულს ავი განზრახვა! ამის შესახებ შენთან არ მისაუბ-
რია, არ გამიფრთხილებიხარ და ყოჩაღ, რომ სწორად მოქცეულხარ!

— მაგრამ მეც ხომ მაქვს საკუთარი აზრი და მოფიქრება? მამამაც რამ-
დენჯერ გამაფრთხილა. ჩემი მამამთილი ჭკვიანი კაცია. შვილო, არავისაგან
არავითარი ძღვენი არ მიიღო, არავითარი დავალების შესრულება არ იკის-
რო, რომელიც შენი ქმრის სამსახურთან იქნება დაკავშირებულიო.

— მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მადლობელი! — ზე-
ლი მოხვია სერგომ ცოლს და აკოცა.

* * *

სანამ პროკურორი მთხოვნელების მიღებას შეუდგებოდა, უფროსი
გამომძიებელი გამოიძახა.

— ამხანაგო გივი, რა ბრალდება აქვს მოქალაქე ალექსი კირთაძეს? —
შეეკითხა იგი.

— ცილისწამება, ყალბი დასმენის შედგენა, პატიოსანი კაცის შეუ-
რაცხყოფა, ამხანაგო სერგო! — მიუგო გამომძიებელმა.

— კაცს ოცი ათასი მანეთის ქონება გაუჩნიავებია და პატიოსანია? —
იკითხა პროკურორმა.

— ძიებით არ დამტკიცებულა, ამხანაგო სერგო!

— კარგად გადახედეთ საქმეს? ბეჯითად შეამოწმეთ დოკუმენტები? მე
მგონია, აქ ან თაღლითობას აქვს ადგილი ჩვენი მხრივ, ან შეცდომა დაგ-
ვიშვია. ჩვენ ეს შეცდომა უნდა გამოვასწოროთ.

— როგორ, ამხანაგო სერგო?!

— ის გაიძვერა დაუყოვნებლივ უნდა დავაპატიმროთ და ძიება განვა-
ახლოთ.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო სერგო, ძველი ზელმძღვანელი მუშაკია,
პარტიის წევრი, ცნობილი...

— ვინც არ უნდა იყოს! — შეაჩერა პროკურორმა. — თუ პარტიის
წევრია, მით უფრო სასტიკად უნდა დაისაჯოს. კომუნისტია მამაჩემი, ორ-
მოცდაათი წელიწადი რომ ზეინკლად მუშაობს, კომუნისტები არიან მანქა-
ნებთან და ჩარხებთან რომ დგანან და სახალხო დოვლათს ქმნიან, კომუნის-
ტები არიან, კომუნიზმს რომ აშენებენ. დიახ, ისინი არიან კომუნისტები და
არა ისინი, რომლებიც მანდატს ამოფარებულნი საქვეყნო დოვლათს ანია-
ვებენ... დღესვე დააპატიმრონ ის გაიძვერა.

— მაგრამ ზოგიერთი ამხანაგის მითითებით... — ამოღერდა გამოძიებული ბელმა.

— ამ შემთხვევაში ჩემს მითითებას ემორჩილებით! გასაგებია?

— გასაგებია! — და გამოძიებული გავიდა.

პროკურორმა ახლა გამოძიებული კოტე გვარამაძე გამოიძახა. ახალგაზრდა იურისტი გაბედულად შევიდა უფროსთან.

— გორვალაძის საქმეს თქვენ აწარმოებდით?

— დიახ. — მიუგო გვარამაძემ.

— რა მდგომარეობაშია?

— მე ჩემი დასკვნა დავწერე, ამხანაგო პროკურორო, შემდეგ ვილაშქრე შეატრიალ-შემოატრიალა, ვაკრა-გამოკრა და ახლა... აქეთ გვედევნა, სამუშაოზე აღდგენას მოითხოვს.

— მერე, თქვენ რა აზრის ხართ?

— თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, აშკარად გეტყვით. სასტიკად დასასჯელია.

— მაგრამ ხომ შეიძლება... ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ვართ, კაცს შეეძლოა მოუვიდა, გადაცდა, ვერ გაართვა თავი, შემოეხარჯა...

— გასაგებია, ამხანაგო პროკურორო, — უადგილოდ შეაწყვეტინა გამოძიებელმა. — დასაშვებია ერთიც და მეორეც, მესამეც, ისიც დასაშვებია, რომ გორვალაძე შეცდა, მოტყუვდა, თავი ვერ გაართვა, მაგრამ რაღა მაინცდამაინც საზოგადოებრივი ქონებისადმი გამოიჩინა ასეთი უყარათობა; რატომ აქ მოტყუვდა და არა მაშინ, როცა საკუთარ სასახლეს აგებდა? თქვენ როგორც გნებავთ, ისე მიუდევით ამ საქმეს, რეგორი მუხლი გსურთ, ის მიუყენეთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ გორვალაძე სასტიკად დასასჯელია.

— დაბეჯითებით ადგიხართ მაგ აზრს?

— მტკიცედ!

— პარტიის წევრი ხართ?

— ჯერჯერობით კომკავშირის წევრჩი, მაგრამ ამ დღეებში მივიღებ რეკომენდაციას პარტიაში შესასვლელად.

პროკურორმა კეთილად შეათვალთქა ახალგაზრდა იურისტი.

— ერთ-ერთ რეკომენდატორად მეც მიგულე! — უთხრა და ხელი ჩამოართვა. — დამძავრეთ გორვალაძის საქმე. იმოქმედეთ ისე, როგორც ფიქრობთ, როგორც საჭიროა.

ახალგაზრდა პროკურორის საქმიანობა ბევრს არ მოეწონა, განსაკუთრებით გორვალაძის დამცველებს აეწვათ ზურგი. რაიონის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირდაპირ დაავალა პროკურორს, გორვალაძეს დაეხმარეო.

— არ შემიძლია, ამხანაგო გურამ, — კატეგორიულად უთხრა მანამდე ზრდა პროკურორმა. — გორვალაძეს მუხლს ვერ შევუცვლი. პატიმრობიდან ვერ გავათავისუფლებ.

— როგორ, კაცო, აქ მე...

— მესმის, ამხანაგო გურამ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. — ეწყინა უფროსს. — ისეთი კანონი არ დაწერილა, რომ არ შეცვლილიყოს.

— სავსებით გეთანხმებით, ამხანაგო გურამ, მაგრამ კანონი, რომელიც ამჟამად მოქმედებაშია, არც ჩემი დაწერილია და არც თქვენი. იგი ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს მიერაა დამტკიცებული და მისი შეცვლა — შესწორებაც მას შეუძლია.

— შენ ვერ მასწავლი, ამხანაგო, მე ასეთ რამეებს. — გაჯავრდა უფროსი. — მე მგონია ვიცი, ვინც წერს და ამტკიცებს კანონებს.

— მაპატიეთ. თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ საკითხი. ჩემი მოხსნის შესახებ, მაგრამ კანონის საწინააღმდეგო საქმეს ვერ გამაყენებინებთ! — უკან არ დაიხია ახალგაზრდა პროკურორმა.

— აგრე?! ძალიან კარგი, ვნახოთ ვის სასარგებლოდ გადაწყდება საკითხი. — და აუღიენცია დამთავრდა.

საკითხი მართლაც დაისვა, მართლაც გაირჩა და მართლაც გადაწყდა, მაგრამ გორვალაძესა და მის დამცველებს შეღავათი არ მისცემიათ. პირიქით, უფრო დამძიმდა და გაძლიერდა ბრალდება, რომელიც ზოგ სხვასაც გაუნაწილდა.

* * *

ერთ დღით პროკურორმა მდივანი ქალიშვილი იხმო და ქაღალდში ფაქიზად შეხვეული ნივთი გადასცა.

— რვა მარტის აღსანიშნავად გაინაწილეთ თქვენ და ტასომ. — უთხრა მას და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა.

— მაღლობელი ვართ, პატივცემულო სერგო, რატომ წუხდებით!

— მცირეა, მაგრამ... ხომ გაგიგონიათ, სულითა და გულით მოძღვნილს რა ფასი აქვს?

— გმაღლობთ, მეტად სასიხარულოა ჩვენთვის თქვენი ყურადღება. — და ქალიშვილს სახე აუღაჟღაჟდა.

— თქვენთვის კიდევ უფრო სასიხარულო ამბავიც მაქვს. — გაუღიმა მას უფროსმა.

— უფრო სასიხარულო?

— ჰო, მეტად კარგი სამსახური გამოგიძებნეთ,

— ჩემთვის?

— აკი შეპირებული ვიყავი.

ქალიშვილმა თავი ჩაიღდა.

— თქვენი განცხადების მიხედვით... აქამდეც დავაგვიანე... მე ვფიქრობ, იქ უკეთესი პირობები გექნებათ, მეტი თავისუფალი დრო.

— თავისუფალი დრო... — გაიმეორა ქალიშვილმა. — რახან თქვენ არ გსურთ თქვენთან მამუშაოთ... — ბავშვივით აუჩუყდა გული...

— განა მე მოგახვиеთ თავზე ჩემი სურვილი? განცხადება ხომ ძალად არ დამიწერინებია? — გაუღიმა პროკურორმა.


— მაშინ მე... მაშინ... თქვენ ხომ... თვითონ მიხვდებით... მე მაშინ...

— გასაგებია, გასაგები. იქნებ უარს ამბობთ იმ განცხადებაზე? წაიღებთ უკანვე?

ქალმა მხოლოდ თავის დაქნევით მისცა დასტური.

— და ვიმუშავებთ ერთად?

— დიახ. თქვენისთანა მართალ და პატიოსან ხელმძღვანელთან სამსახური საამაყო და სასურველია. — უპასუხა მდივანმა და კაბინეტიდან თავაწეული და კმაყოფილი გავიდა.



ქსენია მუჟიკა

დაგელოცა ქალობა

ამ ბილიკით უთენია
საით მიგეჩქარება?
ქარი ხარ თუ ელვა ცისა —
ქალო მაყვლისთვალემა!
მზის ღიმილში გაიზარდე,
ნაკადულის ჰანგებით,
ბალიც გიყვარს,
ვაზიც გიყვარს,
იებიც და ვარდებიც,
მობიბინე ჩაის-ბუჩქებს
ხომ სულ თავზე ევლები!
დაგელოცა ქალობაო, —
მოგძახიან ველები.
მაგრამ იცის ამ ბუჩქებმა,
იცის ხეთა რტობემაც,

შეგიყვარდა მდუმარება —
ფიქრთან განმარტოება,
ფიქრმა ბევრჯერ გაგახარა,
ბევრჯერ გული გატკინა,
გიკვირს: გულში ერთი სახე
ასე რაღამ ჩაკირა?..
და გეგონა სიყვარულში
ბედი არა გწყალობდა.
...ის კი ჩუმად, ჩუმად გლოცავს:
დაგელოცა ქალობა!
ხან ამ მიწის ყვავილად გოვლის,
ხან აჰყავხარ ცათამდე...
და შენ მაინც
ვერ მიუხვდი საწაღელს.

კვლავ იმ დღეების ცაცხლი მიწითა

ძლივს დავარწმუნე გული, რაც მოხდა,
(ხან ვეფერე და ხანაც ვედავე),
რომ ჩვენი გზები ისე დაშორდა,
აღარასოდეს შეხვდეს ერთმანეთს.
ახლა რა ვუთხრა ობოლ სტრიქონებს,
შენს ლოცვაში რომ თვალებს ახელენ?

დიდხანს გეძახდი, ვერ გაგაგონე,
არ იქნა, ჩემკენ ვერ მოგახედე...
რა ვუყოთ... ესეც ჩემი ხვედრია,
ხომ არ ვიჩივლებ ბედის წინაშე?
რა ვუყოთ, ესეც ჩემი ხვედრია,
ხან მზეში ვივლი და ხან წვიმაში!
დარდიც, ეჭვებიც, ცრემლიც ტკბილია,
როცა სინათლის დგახარ კარებთან;
დღეს ყველა გზები ჩაკეტილია,
შენკენ რომ ღელვით მომაქანებდა.
ოცნება ჩუმი, სხივთა მთოველი,
ქარს გაგატანე მსუბუქ ფრთებიანს,
აღბათ, დამცინის წუთი ყოველი,
შენზე ფიქრში რომ მითენებია.
დაე დამცინოს,
დაე დამცინოს,
ბრძოლა წავაგე, გზა დამითმია...
მაინც იმედად,
მაინც სალხინოდ
მე იმ დღეების ცეცხლი მინთია!



ნოღარ ქირკვეამ

ცისკარი რომ გაახელს თვალეზს...

გარეთ ბნელოდა.

თოვდა.

ბარაქიანად თოვდა. ზამთრის ქარი ხან შემზარავად დაიწვივლებდა, ხანაც აქვითინდებოდა და სადღაც შორს იკარგებოდა. მაშინ წამით სიჩუმე ისადგურებდა სახლში. აღარ ჭრიალებდნენ კედლები. ფანტელები აღარ ასკდებოდნენ ფანჯარას. ოთახში ღუმელს საამო ღუმლუნი გაჰქონდა.

ღედის საწოლთან ვიჯექი. ჩვეულებად დამჩემდა ეს. დავჰაბუკდი და მაინც ღედის კალთას ვერ ვცილდებოდი.

ღღებმა და წლებმა დიდი ხანია თქვეს თავიანთი სათქმელი. დამიბერეს ღედა. თმებზე თოვლის ფანტელები დააყარეს. თვალები, კეთილი და საყვარელი თვალები დაუსევდიანეს. ხმაში ბზარი გაუჩინეს. მუხლებში ღონე გამოაცალეს. შუბლი, მაღალი და ნათელი შუბლი დაუღარეს. დამიბერეს მშობელი. მისი ცხოვრებისა თუ სიცოცხლის ზამთარიც დადგა.

ო, როგორ არ მიყვარს ზამთარი! როცა თოვს, ასე მგონია, თმებზე ათოვს-მეთქი ღედას. ყველაფერს გაზაფხული მირჩევნია. მიყვარს ჩემი სოფლის ამღერებული გოგო-ბიჭები. მიყვარს გამოღვიძებულ ხეებზე აფეთქებული კვირტები და მტრედისფერი ცა. მაშინ ღედაც სხვანაირია. თითქოს ახალგაზრდავდება. სულ გადიმებული ღედის. თვალებიდან მზის ელვარება გამოუკრთის. ხმასაც ძალა ემატება.

ჰო, ღედასაც უყვარს გაზაფხული. უყვარს აპრილის შემოდოენება, მაისის წვიმა და ყვავილები.

ვიცი, დედას უყვარს ყვავილები.

ჰოდა...

განთიადისას, ცისკარი რომ გაახელს თვალებს, ჩემი საწოლი ოთახის ფანჯარასთან რომ აჩურჩულდება ცელქი ნიავე, მაშინ ვიღვიძებ. ისე, პერანგისამარა ჩავრბივარ ეზოში. ვკრეფ ნამიან ვარდებს და მერე დედის საწოლი ოთახის კართან მივდივარ. დედას ძინავს ამ დროს. ძინავს ღრმა, მშვიდი ძილით. ის ვერ გრძნობს, როგორ იღება მისი საწოლი ოთახის კარი, ვერ ხედავს, როგორ დებს მისი შვილი ლარნაკში ნამიან, სურნელოვან ვარდებს, ვერ ხედავს, როგორ იხურება კარი, ვერ გრძნობს ოთახში გამეფებულ მყუდროებას და არ ესმის ხეებზე შემომგდარი ფრთოსნების მზიარული ჭიკჭიკ-გალობა.

...მაგრამ ახლა ზამთარია, ღამეა. ეს ერთი ხანია მიჩუმდა ქარის ცივი ხმა. თოვით კი ისევ ხვავიანად თოვს. დიდ ღუმელში საამოდ ღუღუნებს მუხის ჯირკები. თვლელა მერევა. მეძინება, მაგრამ დედა?!

ავადაა დედა. ველარ გაუძლო წლების სიმძიმეს. წაიქცა. მაგრამ მაინც ცოცხლობს, მაინც კიაფობს ჩემს ცაზე იმედის ვარსკვლავად.

შუალამე კარგა ხანია გადავიდა. ჩვენმა ნაცარა მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და იყივლა. სადღაც ძალი აყმუვლდა და სახლის კედლებს ქარმა ფრთები შეაღწწა.

ჩამთვლიმა. ბურანში წავედი, მაგრამ გონს დედის სუსტმა ხმამ მომიყვანა.

დედა მიხმობდა.

ახლოს მივუჯექი. წამალი მივაწოდე, მაგრამ არ დალია, იუარა და მითხრა:

— ეჰ, შვილო! ვიცი, გაზაფხულს ველარ მოვესწრები, ვიცი, ეს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ზამთარია. ჰოდა... მომისმინე, შვილო! აი ის სურათი, მაგიდაზე რომ დევს, კარგად შეინახე. საკუთარ თავზე უფრო უყვარდი, შვილო, მამაშენს... ეჰ, ის რომ გყოლოდა...

თვლებში ცრემლი მომეძალა, მაგრამ არ აგტირებულვარ. მამის სურათი ფრთხილად ავიღე მაგიდიდან და დედას მივაწოდე.

დედა თითქოს ცოტათი დამშვიდდა, ჩაეძინა კიდევ.

მე თავი მოხრილ მკლავზე დავდე და... ერთი კვირის ღამენათევს მის საწოლთან მკვდარივით ჩამეძინა.

...რომ გამომეღვიძა, კარგა ხნის გათენებული იყო. ავდექი და ფანჯარასთან მივედი. აღარ თოვდა. ქარი აღმოსავლეთისაკენ მიაქანებდა მორუხო ღრუბლებს. ოთახში ციოდა.

ღუმელს შეშა შევუკეთე. დედის საწოლთან დავიხარე და...

არა, დედა ასეთი ფერმკრთალი არასოდეს ყოფილა, მერედა ეს სურათი

თიც რა უცნაურად ჩაუყრავს გულში, რა უცნაურად მოუხვევია ხელი
აქი ასე არ იცოდა? ეჭვმა გამიკაწრა გული...

დედის წმინდა მკერდს ხელით შევეხე. გული აღარ ფეთქავდა. მივხვდი,
დედის თვალებიდან აღარასოდეს გამოაშუქებდა მზე.

ო, ომი! ომი რომ არ ყოფილიყო, მამა ცოცხალი მეყოლებოდა. აღარც
დედის კეთილი თვალები დაიბინდებოდა ნაადრევად. წლები ველარ იტ-
ყოდნენ ასე ადვილად თავიანთ სათქმელს. უფრო ხანგრძლივი და ლამაზი
იქნებოდა მისი სიცოცხლე, ჩემი ცხოვრებაც.

დედას უყვარდა ყვავილები.

ჰოდა...

განთიადისას, ცისკარი რომ გაახელს თვალებს, ჩემი საწოლი ოთახის
ფანჯარასთან რომ აჩურჩულდება ცელქი ნიავი, მაშინ ვიღვიძებ. ჩავრბი-
ვარ ეზოში, ვკრეფ ნამიან ყვავილებს და მის საფლავზე ვაწყობ სათუთად.

იძინე, კეთილო დედა! იძინე... იძინე... შენს მყუდროებას მე დავუღვე-
ბი ღარაჯად.



ჩვევს აკთილავს

შენ ახლა...

შენ ახლა ისე გშვენის დედობა,
როგორც გვირგვინი შვენის დეიოფალს,
ეს სიხარული, ეს სიყვარული,
ალბათ, ას დედას ერთად ეყოფა.

და შვილის ბედით გული გვიღელავს.
ასე ვართ მუდამ, ასე ვართ დღემ,
მან გაგვახსენა ტკბილი სიმღერა,
რომელიც ერთ დროს გვიმღერა დედამ.

და დავალ ასე შუბლწარბახსნილი,
თან სიხარული მუდამ დამყვება,
ვამაყობ, როცა ვინმე მახსენებს,
ვამაყობ, რადგან მეამაყება.

ჩემი სიცოცხლე გზა არის გრძელი,
ჩემი სიცოცხლე ცა არის წმინდა,
ჩემთვის სიკვდილიც არ არის ძნელი,
მაგრამ სიცოცხლე მე თქვენთვის მინდა.

და ასე მუდამ ჩვენ ერთად ვუმღერო
სიხარულს უღევს, სიცოცხლეს უღლეღს
და რომ გამართოს ოჯახმა წელი,
ლომა ხარივით ვეწევი უღელს.

შენ ახლა ისე გშენის დედობა,
როგორც სიმორცხვე შვენის დედოფალს,
ეს სიხარული, ეს სიყვარული,
ალბათ, ას დედას ერთად ეყოფა.

* * *

მე ასე ვიგრძენი
ცხოვრების ავ-კარგი:
კაცობის ძეხნაში
ბავშვობა დავკარგე.

ვიარე მთა-ველად,
შევძარი ქვეყანა,
კაცობა ვიპოვე,
ბავშვობა ველარა.



ლალ სილინგილი

ბავშვები

ბავშვებს წარმოსახვის ნიჭი აქვთ დიდი —
სახლობანას თამაშობენ მორიდებით...
ვზივარ ტრამვაიში. ბილეთებს ჰყიდიან,
ბავშვები ჰყიდიან მორიგეობით.
მეც ბედნიერი ბილეთის ნახევით
ჩემს ბავშვობაში მივემგზავრები...
და რეკენ საოცრად წკრილა ხმებით
გამოგონილი ტრამვაის ზარები.


ფრესკები წვიმაში

როგორც ოცნებას ყვავილი ნაზი,
ისე მოუცავს სიზმრები ნათელს;
მე შენ მაგონებ ყინწვისის ტაძრის
ფეხშიშველა და ფერწასულ ხატებს.
დაეხეტები ამ ბნელ ღამეში
და წვიმის წვეთებს ითვის თითებით.
ო, შენ არ სცოლავ ღამის წინაშე,
შენ მხოლოდ თბილი წვიმით ითვრები.
როგორც ეს წვიმა, წმინდა რამ ნაზი,
მოდის ჩვენში და ღამეებს ათევს...
მე შენ მაგონებ ყინწვისის ტაძრის
ფეხშიშველა და ფერწასულ ხატებს.

ო, ყვავილები კვდებიან ნაზად,
ზოგჯერ ვედრებით და აღმატებით...
მე შენ მაგონებ ყინწვისის ტაძარს,
გაცოცხლებული მკრთალი ხატებით.

რუ და ია

რუ სურდა იას,
ია სვამდა რუს.
რუ სულ დაილია,
იას სხვა არ სურს.
რუ სულ დუმს,
რუს უნდა ია;
მაგრამ რა ქნას რუმ —
რუ სულ დაილია.



ჯეჟალ ხოუარია

გ ა გ უ ა

შუადღისას თოვა შეწყდა. ციდან ღრუბელი გადაიკრთა და მზემ გა-
მოაჭყიტა. მზის სხივებზე ნარინჯისფერი დასდებია თოვლს, ბრწყინავს,
თვალს სჭრის ადამიანს.

ორღობეში პატარა ბიჭი ძროხას მიდენის. ძროხა იცოხნის და ზღაზ-
ვნით მიაბიჯებს გაუკვალავ თოვლში. ბიჭი ჯოხით აჩქარებს, მაგრამ ამაოდ.
შემდეგ იგი იხრება, თოვლის გუნდებს აკეთებს და ხეებსა და ღობეებზე
ჩამომჯდარ ბელურებს ესვრის. შეშინებული ბელურები ფრთხილად იშ-
ლებიან და სიცივისაგან აბუზულები ახლა სხვა ხეებისაკენ მიფრინავენ
ქლურტულით.

ძროხა ჭიშკართან ჩერდება. ბიჭი ჭიშკარს ალებს და ძროხა ეზოში
შედის.

ეზოს ბოლოში მოზრდილი ოდა-სახლი დგას. ბუხრის საკვამურიდან
კვამლი ამოდის, ცისკენ მიიწევს და მის უსაზღვრო სივრცეში თანდათანო-
ბით იკარგება.

ფანჯარასთან ფერმკრთალი მოხუცი ჩამომჯდარა. ნაავადმყოფარია.
დღეს წამოდგა ძლივძლიობით... მოხუცი უხარმაზარ ყალიონს დინჯად
აბოლებს და ეზოში იცქირება. ეზოში მისი შვილები და შვილიშვილები
ტრიალებენ. ერთი ვაჟიშვილი ღობისათვის სარებს ამზადებს, მეორე შემას
აპობს, მესამე თოხსა და ბარს ლესავს... ერთი შვილიშვილი მოშეშულ
ბოჩოლას თივას უყრის, მეორეს ჭიდან წყალი ამოაქვს, მესამე დაპობილ
შემას სახლში ეზიდება.

მოხუცი უცქერის მათ, უცქერის და უხარია, უხარია, რომ მისი შვი-
ლები და შვილიშვილები მასავით შრომისმოყვარენი და დაუხარებელი
არიან. თვითონ ორმოცდაათი წელიწადი იმუშავა აი ასე. ახლა ძველებუ-

რად აღარ შეუძლია, მოხუცდა, მოტყდა. შვილებიც არ აძლევენ ნებას, რად რომ ღროს შენი მუშაობაა, გეყო, რაც იმრომე, ახლა დაჯექი და დაისვენე. მაგრამ ერთი მასაც დაეკითხეთ, თქვე დალოცვილებო, სანამ ცოცხალია, უსაქმოდ როგორ გაძლოს?

„არა, არა, ღონე და ძალა დამავლდა თუ არა, გამოცდილებით მაინც გაჯობებთ“. — გუნებაში ეკამათება მოხუცი შვილებს. — ხომ გაგიგონიათ, ბებერი ხარი რქებითაც ხნავსო. ის ხარი მე ვარ, ბაბა, მე. თქვენზე მეტი მიცხოვრია ამ ქვეყანაზე, თქვენზე მეტი მინახავს და თქვენზე ბევრი ვიცი-მეთქი, რომ ვთქვა, მაი ნუ გეწყინებათ“.

მოხუცი დგება, თავზე ყაბალახს იხვევს, ქურთუკს იხურავს და ნელი ნაბიჯით აივანზე გადის... აქ რამდენიმე წუთს დგას და თოვლიან, ნისლით დაბურულ მთებს გასცქერის.

„ისეა მოშკარიანებული, რომ ნამდვილად კიდევ მოთოვს“, ამბობს თავისთვის, შემდეგ კიბეზე ნელა ჩადის და შვილიშვილთან მიდის, რომელმაც ეს-ეს არის ძროხა მოდენა.

— სად იყო მაი სამგლე, ბაბუ? — ეკითხება და ძროხაზე ანიშნებს, რომელიც თვალვდასუქული ზანტად ახრამუნებს ხმელ თივას.

— გადაღმა გაპარულიყო, ბაბუ, სათბურებთან.

— ზარალი ხომ არ უქნია რამე?

— არა, ბაბუ, ღროზე მივუსწარი.

— ყოჩაღ, ბაბუ, ყოჩაღ! ასე უნდა. — თავზე გადაუსვა კოჟირიანი ხელი. — ღობეს უნდა შეკეთება, კიდევ არ გაიპაროს აი სამგლე სადმე.

შვილიშვილი უხიტყვოდ უქნევს თავს.

მოხუცი ქვემოთ დაუყვია ფრთხილი ნაბიჯით, ჯოხს იშველიებს.

— სად მიხვალ, მამა? — ეკითხება მოხუცს უფროსი შვილი.

— აგერ ბაღში გადავალ, ვნახავ მანდარინის ტოტები ხომ არ დაუმტვრევია თოვლს.

— რა დამტვრევდა, ამ დილით არ დავთოვლეთ?! — ამბობს შუათანა ვაჟი. არ უნდათ შვილებს მოხუცის გაშვება ქვევით.

„არა, ნამდვილად დამემსგავსნენ, ნამდვილად შრომა უყვართ, იციან მიწის ყადრი, იციან რა ღროს რა გააკეთონ“, — თავისთვის ფიქრობს მოხუცი და ხმამაღლა ამბობს:

— გადავალ მაინც, გულს გადავატან.

— შენ იცი, მამა...

მოხუცი იღიმება და გაკვალულ თოვლში მიაბიჯებს ბალისაკენ.





ჯეჟალ ქათაგაჟი

იმ დილით

დილით მწვანე ბალახები
ბიბინებდა რარიაგად.
მზე მთებიდან ამოცურდა,
სითბო ჩამოარიგა.
ხევში ცვარის ნისლი დადგა
და ატირდა უმაღლ ტყე.
ვარდს ტუჩები გაეპო და
სითამამე შევატყე,
იებს თავი მოეყარათ,
ქორწილობდნენ, — ვინ იცის.
გაზაფხულზე რას შეატყობ
ვინ ხარობს და ვინ იწვის.
ნიაგ-ქარი ქროდა ბაღში,
თოვდა ტყემლის ფანტელი

და არხევდა ქარი ატმებს,
ნაკვერჩხლებით გატენილს.
ზღვა ისევ, როგორც გუშინ,
უთამაშებს ნაპირებს
და გგონია სანაპიროს
ჩახუტებას აპირებს.
უხარია ტყესაც, მზესაც,
ზღვა ღელავს, არ მშვიდდება.
ეს ხალხი რამ გადარია,
ქუხს „ვამა“ და დიდება.
ჰა, შეიკრა ყველა ხელი,
ტაში დაჰკრეს მაგარი...
გულში, სულში საბჭოეთი
იხუტებდა გაგარინს.



ლიანა ხითაროვა

ვინ არის ის?

ქვაფენილზე პროთეზის ჭრიალით მიაბიჯებს და თითქოს მიწაც ირყევა მის ფეხქვეშ. გამვლელნი გზას უთმობენ მას.

ვინ არის ის?

გუშინდელი ჯარისკაცი. მრავალჭირნახული? დიახ! მაგრამ მან დღეს წერილი მიიღო და ერთბაშად ყველაფრისადმი გულგრილი გახდა...

მაშინ, როცა მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ფრონტზე იყო და ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი ხედებოდა.

— მარჯვენა ფეხის მწვავე განგრენა! ამბუტაცია! — ასეთი იყო ჰოსპიტლის ექიმის დიაგნოზი.

მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ძლიერები არ კვდებიან.

— ავადმყოფო, როგორ გრძნობთ თავს? — ეკითხებიან ექიმები მას.

— გმადლობთ. ვატრევ სულს.

და წევს პირადმა, გაშეშებული. ხელები მკერდზე უწყევია. თეთრ ზეწარში მისი შავი სახე კიდევ უფრო მკვეთრად მოჩანს. ხუჭუჭი თმა შუბლზე აყრია. ხშირი წარბები და სქელი წამწამები ხნოვანებას მატებს, მაგრამ წამოზურცულ ტუჩებსა და ახლად აშლილ უღვავებზე ეტყობა, რომ სრულიად ახალგაზრდაა. მართლაც, ის ხომ ჯერ ოცდასამი წლისაა.

— ავადმყოფო, როგორ გრძნობთ თავს?

მას უნდა ჩვეულებისამებრ უპასუხოს: „გმადლობთ, ჯერჯერობით ვატრევ სულს“, მაგრამ... მის წინ დგას ახალგაზრდა, ოციოდე წლის კაფანდარა გოგონა.

— მე მეძინა... თქვენ...

— ბოდიში, გაგაღვიძეთ.

— არა, არა... თქვენ გავხართ ზმანებას.

— რას ამბობთ!... — გაწითლდა და დასძინა: — ფეხები როგორ გაქვთ?

— ჰმ! ფეხები?! მე მხოლოდ ერთი ფეხი მაქვს.

ეს იყო მათი პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ არ შეეძლო არ ეფიქრა მასზე. — თამარ! თამარიკო! — იმეორებდა დღენიადაგ იგი. ლურჯოვალა ექთანმა მასში შეიტანა ახალი სიცოცხლე. აღარ ფიქრობს თავის თავზე. უნდა მხოლოდ თამარზე იფიქროს. ისინი ლაპარაკობენ ომზე, ბავშვობაზე, იგონებენ მშობლიურ მხარეს.

ძლიერნი იმარჯვებენ.

ავადმყოფმა მეორედ დაიწყო ფეხის ადგმა. თამარი ასწავლიდა მას სიარულს.

და აი იგი საავადმყოფოს მოსაცდელ დარბაზშია. ემუშავებოდა ექიმებს, ექთანებს, ყველას, ვინც კი აქ გაიცნო. ოხუნჯობს, წასვლას აპირებს, მაგრამ რატომღაც ფეხს ითრევს. იგი ელოდება ვიღაცას.

„თამარ, თამარ! სად ვიყავი აქამდე? რატომ ერთხელაც არაფერი მითქვამს შენთვის?“

მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა. კოჭლობით შივიდა კარებამდე.

— ბორის! ბორის! — ეძახიან მას.

გული აუფანცქალდა.

— თამარიკო, გენაცვალე! — სისხლი მოაწვა საფეთქლებზე. უნდა კიდევ ბევრი რამ თქვას, მაგრამ ძალა წაერთვა, სათქმელი სიტყვა თითქოს ყელში გაეჩხირა.

— მიბრძანდებით?

— დიახ. დღეს მოსკოვში. მერე — შინ.

— დარჩით. მხოლოდ რამდენიმე დღით დარჩით! გაეცანით ჩვენს ქალაქს. ბინად ჩვენთან იქნებით. შინ მე და დედა ვართ.

ჯარისკაცს ყველაფერი ეს მოჩვენება ჰგონია.

— დარჩით, ძალიან გთხოვთ!

და ისინი მიბიჯებენ ნანგრევებად ქცეულ ქალაქში. ტალახი, ხარაჩოები. ღრუბლები გაფენილა ქალაქის თავზე. თამარი პატარა ბავშვივით ლაპარაკობს. ყვება თავის ქალაქზე, დედაზე. თამარის მამა და ძმა ომში დაიღუპნენ. მოუკვდა უმცროსი დაც.

ომის კვალი ეტყობა თამარის ოთახს. დიდ ფანჯრებზე მინის დამცველი ქაღალდის ზოლებია. ეზოში სახლის ნანგრევები ჰყრია. იქით მთიანს ჩონჩხად ქცეული შენობა. თამარის ოთახი პატარა, მაგრამ ნათელია. ორი საწოლი, სუფთა ზეწარგადაფარებული. მაგიდაზე დგას წყლიანი გრაფინი, კედელთან წიგნის თაროები.

ბორისი დაჯდა წიგნებთან ახლო — ოსტროვსკი, გორკი, ბლოკი, პა-

უსტოვსკი, — ლამაზადაა ჩარიგებული მათი ტომები. თამარი დაფიქრდა და ოსტროვსკის წიგნი გამოიღო, მაგრამ... „რატომ უნდა შევეცნობის გრძნობებს“, — გაფიქრა მან და ახლა გორკის „დედა“ შეარჩია. თანაც რაღაცას ყვებოდა, ტიკტიკებდა, მაგრამ ვაჟი ვერ არჩევდა სიტყვებს, მას მხოლოდ თამარის ხმა ესმოდა. იგი იჯდა და ფიქრობდა ქალიშვილზე. მის სახესა და თმაზე. მის ლამაზ თვალებზე.

შეუმჩნევლად გავიდა დღეები. თამარი და ბორისი სულ ერთად იყვნენ. ჯარისკაცი თხოვდა მას, ერთად წავიდეთო შინ, მაგრამ თამარს რატომღაც ეშინია ამ მხრებგანიერი, ჭროლათვალეზიანი ჭაბუკისა. იგი იმიტაც კმაყოფილია, რომ დღეს ერთად არიან. იგი არ ფიქრობს მომავალზე.

ერთ საღამოს ჯარისკაცყოფილი თამარის ოთახში შევიდა. ქალიშვილი გრუბელის სურათთან იდგა დაფიქრებული.

— თამარ, გენაცვალე, რატომ მოგიწყენია?

— ისე, რატომღაც „დემონზე“ დავფიქრდი.

ბორისს მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია სურათისათვის. იგი საერთოდ ცუდად ერკვეოდა ფერწერაში.

— გრუბელი! — თქვა თამარმა და, თითქოს ოცნებობსო, დასძინა: — გრუბელის სურათები ცოცხლობენ გაღერებათა დარბაზებში თავისი უმშვენიერესი სიცივითა და თავისი მაღალი ადამიანური განცდებით.

— ფილოსოფოსობ?

— რატომ? — იწყინა თამარმა. — ეს პაუსტოვსკის სიტყვებია. — და იგი მოჰყვა ლერმონტოვისა და გრუბელის „დემონის“ შესანიშნავ სახეებზე. იგი ჰყვებოდა მთელი გატაცებით და სურათი, რომელსაც ჭაბუკი აქამდე ვერ ამჩნევდა, თითქოს გასულიერდა, გაცოცხლდა და ახლა იგი მას ხედავდა მთელი თავისი სიმშვენიერით. იგრძნო, რომ მასში დაიბუღდა რაღაც ძლიერმა უჩინო ძალამ, რომელიც მთელ სხეულზე ცეცხლს უკიდებდა და რომლის ჩაქრობა არ შეეძლო თვით წლებსაც კი. იგი ერთსა და იმავე დროს გრძნობდა სურათის მომხიბვლელობასა და ქალიშვილის მსუბუქ სუნთქვას. მას უკვე აღარ შეეძლო ლოდინი. ნელა მიიწია ქალიშვილისაკენ და მათი ტუჩები ნაზი ამბორით შეეხნენ ერთმანეთს.

პირველი გამარჯვება.

ბორისი დაწყნარდა. სჯეროდა, რომ თამარის გული მას ეკუთვნოდა. მას იგი მთელი გატაცებით უყვარს, და არ შეიძლება ამ დიდ გრძნობას ცივად უპასუხონ.

ძლიერები იოლად რწმუნდებიან თავის თავში.

ერთ საღამოს ჯარისკაცი წვერს იპარსავდა. ტკებოდა თავისი სახის გამომეტყველებით. არასოდეს მის ჭროლა თვალებს არ ჰქონია ასეთი თბილი, ნაზი და ნაღვლიანი იერი. სარკეში მხოლოდ მისი უნაკლო ზედატანი მოჩანდა.

ოთახში თამარი შემოიჭრა მომხიბვლელი სიცილით.

— მომიახლოვდი, ძვირფასო!

ქალიშვილი ფრთხილი ამბორით შეეხა მის ლოყას.

მერე ისინი დივანზე დასხდნენ. ვაჟმა მიიზიდა ქალიშვილი და, თამარი მწარედ აქვითინდა. ეს ისე მოულოდნელი იყო, ვაჟმა არ იცოდა როგორ დაემშვიდებინა იგი. ქალიშვილი ქვითინებდა, ბალიშზე პირდამხობილი ქვითინებდა, ვერხვის ფოთოლივით უცახცახებდა პატარა, სუსტო მხრები.

ვაჟმა ფანჯარა გამოადო. ოთახში გაზაფხულის სურნელი შემოიჭრა. მაგრამ სულ მალე ცა პირს იკრავს, ისმის ჭექა-ქუხილი. ზეცა თვალის მომჭრელად ელავს. არც ერთმა იცის და არც მეორემ რამდენ ხანს გასტანა პირშეკრული ცის ამ დგანდგარმა. ღია ფანჯარაში ჯერ შავი, გაბზარული ღრუბლები გამოჩნდა, მერე მზემ გამოანათა.

ქალი აღარ ქვითინებდა. იგი იჯდა და სველ ლოყებს იწმენდდა. ვაჟი გაოგნებული უცქერის — მან იგი თავისი სურვილით შეურაცხყო. მერე მის გვერდით ჯდება. ქალიშვილი არ იძვრის.

— გიყვარვარ? — ჩუმად ეკითხება ქალი.

— რატომ მეკითხები?

ქალიშვილმა თვალი შეავლო ვაჟს.

— მამაკაცები სიყვარულს მხოლოდ სარეცელში ხედავთ?

— ძვირფასო! ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ. მე მინდა, რომ შენ ჩემი იყო, მთლიანად ჩემი. მინდა დავტყბე შენი ალერსით, შენი ამბორით, შენთან ყოფნის ყოველი წუთით. მაშინ ჩვენ გვეცოდინება, რომ ერთმანეთს ვეკუთვნით.

— და ეს არის ბედნიერება?

— ჰო, ჩვენ ერთმანეთის სუნთქვით ვიცხოვრებთ.

და ჭაბუკს აღარ ემჩნევა ომის კვალი — მის ძარღვებში ძალუმად ჩქეფს სისხლის ნაკადი, ასკდება გულს, საფეთქლებს. „დემონი“. ის ვნების მონაა და ყველაფერი თავდავიწყებას ეძლევა. სიჩუმე, იდუმალება და უფესკრული დასტრიალებთ მათ თავზე.

...ისინი დაღლილნი, გაბრუებულნი დუმან. ძლიერია პირველი შთაბეჭდილება. თამარს აწუხებს თავისი სისუსტე. ვაჟი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. მოატყუა. რატომ ერთი სიტყვაც კი არ უთხრა?! ოჰ! პირველი ვინ შეეხა მის უწმინდეს სულს! თამარის სახე ახლოს მოსწია და თვალებში ჩახედა. „ეს ისეთი ქალია, თუ ვინმეს თავი დაუთმო, ძნელია შემდეგ მოშორდე მას“, — გაიფიქრა.

მაგრამ ხალხი?

...ძლიერები მეტად თავმოყვარენი არიან.

ველი ვინ
ოიბოი გიყვარ! გაქცევა! და რაც შეიძლება მალე.

ვაჟი არ ემშვიდობება ქალს.

იგი შინ ბრუნდება, მაგრამ გრძნობს, რომ გული სადღაც დატოვა. უნდა გაამართლოს თავისი მოქმედება... თამარიც. დიახ, თამარი! ომი იყო, საშინელი, მძვინვარე ომი. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ძლიერები სასაცილონიც არიან.

მეორე ფეხიც დაკარგოდა, ოღონდ გვერდით ჰყოლოდა სასურველი არსება. ეცქირა და ეცქირა მისთვის.

მას უნდა დაბრუნდეს.

მაგრამ ძლიერები გადაწყვეტილებას ყოველთვის როდი ასრულებენ.

გადის დრო. ჯარისკაცყოფილი ბარათს სწერს. კიდევ ცოტა ხანი და თამარი ჩამოვა მასთან. დაუბრუნდება ბედნიერება.

და აი ჯარისკაცმა დღეს მიიღო პასუხი:

„ჩემო დემონო! მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვეკუთვნოდით. როცა ჩემი საიდუმლოება გაიგე, ისე წადი, არც კი მკითხე, სად და როგორ წარმოიშვა იგი. მძვინვარე და სასტიკ ომს საშინელი ოკუპაცია მოჰყვა. ასეთ დროს მოძალადე ბევრია და ადვილი როდია დაიცვა პატიოსნება, ქალის ღირსება. მართალია, შენამდე სხვა მიყვარდა, მაგრამ შენც ძლიერ შემოიყვარდი. შეიძლებოდა ჩვენ ბედნიერი ვყოფილიყავით, შენ რომ... მაგრამ ახლა ჩამოვიდა ის ადამიანი, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, და მან უკეთ გამიგო მე, ვიდრე შენ. მე და ის ომმა დროებით დაგვაშორა. არ გამიბრაზდე. მე ხომ არასოდეს გაგბრაზებდით შენ!

ნახვამდის, ჩემო დემონო. თამარ.

P. S. იქნებ შენ უფრო მიყვარდი?“

ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. დარჩა მხოლოდ მოგონება.

და ჯარისკაცყოფილი ქვაფენილზე პროთეზის ჭრილობით მიაბიჯებს. თითქოს მიწაც ირყევა მის ფეხქვეშ. გამვლელნი გზას უთმობენ მას.



ლევან ანანიძე

ოცნების გემი

ნათელი აზრით
უსაზღვროა, ისე ვით წიგნი,
ჩემი ოცნება,
სიამეს რომ უხვად მანიჭებს.
დედის რძესავით
მეც მომწყურდა, რომ ვიყო იგი,
ყველაზე ადრე
ვინც მთვარეზე ფეხს დააბიჯებს.

რამდენი ნატვრა
არ მქონია ვინ იცის გულში,
მომჭარბებია,
ვით მდინარეს ტალღა მედგარი,
მაგრამ ეს ნატვრა,
პირველად რომ აღმეძრა გუშინ,
მერწმუნე, ძმაო,
არის სხვაგვარი.

ციურ ზომალდის
საჭე ხელში მსურს მეპყრას მედგრად,
ძალას მამულს
მეც შემმატებს, თუ არ მეყოფა,
თუკი სამშობლოს
სიკეთისთვის ვიქცევი ფერფლად.

ერთხელ სათქმელად
მშობელს, ვიცი, მაინც ეყოფა.

ერთხელ ზომ მაინც
გამიხსენებს საწყუთრო ჩემი
და მის თვალეზზე
ცრემლის მძივად გადავიქცევი...
შორს მიმაქანებს
მთვარისაქენ ოცნების გემი,
გული ბიძგს მაძლევს,
— რაც ინატრე, ბიჭო, მიჰყევი!

ჰეი, ვარსკვლავნო!
გამინათეთ ციური გზები,
მსურს არ ჩამოვრჩე
ნათელ მიზანს და დიად დროსა,
მინდა მთვარეზე
ავიტანო ჭაბუკურ გზნებით
საბჭოთა დროშა!



შაგიო ლუზი

ეჭვი

მე და გუსტავი უბრად ვიჯექით სამზარეულოში. როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაშინაც ვერ ვახერხებდით ღუმილი გაგვეტეხა. დროდადრო ვიწმენდით ოფლიან შუბლს. ეზოდან ბავშვების ყრიაშული შემოდით.

ნიავე არ იძროდა.

ფანჯრიდან მოჩანდა მაღალი სახლი, აივანზე გასაშრობად გაკიდებული ჩერები. ცოტა ზემოთ კი ტაძრის ქონგურები. ყოველივე ეს ერთობ ამძიმებდა ჩვენს განწყობილებას.

ავგისტოს პაპანაქება სალამო იდგა.

ქმრისაყენ გავაპარე მზერა. მისმა გაწამებულმა სახემ გული მატკინა.

— გუსტავ, — მივმართე ხალისიანად, — ის მალე დაგვიბრუნდება, გულში ჩავიკრავთ და ერთად ვიქნებით.

— მართალია, ჯინა, მაგრამ...

გუსტავი დადუმდა. ჩემთვის ნათელი იყო, რა იგულისხმებოდა ამ მაგრამში და რის თქმაც არ მიაჩნდა საჭიროდ. განა მეც ასევე არ მიღრღნიდა იგი სულსა და გულს მას შემდეგ, რაც ჩვენი ერთადერთი ასული ასუტინა სახლიდან გაიპარა? მას შემდეგ არაფერი ვიცოდით, გარდა იმ პატარა ბარათისა, რომელიც, ჩემი ცრემლებით სველი, ახლაც მიდევს წინსაფრის კიბეში.

„სწავლა აღარ მსურს, იმიტომ რომ გამოცდებზე ჩაჭრის მეშინია. გადავწყვიტე მიგატოვოთ... სხვა ქალაქში ვიცხოვრო საკუთარი შრომით. მაპატიეთ“... აი სტრიქონები, რომლებიც გვაწამებს და ვერ შევკრიგებიათ ამ სინამდვილეს. ასე ადვილად როგორ გადაწყვიტა ჩვენი მიტოვება, როგორ დაივიწყა ჩვენი სიყვარული და ამაგი... არა, ეს მისი მოჩმახული სი-

ცრუება, რომლის მიღმა უფრო მძიმე და საშინელი რამ იმალება. მისივე პარვის მიზეზი სულ სხვა საიდუმლოებით უნდა ყოფილიყო მოცული, რომელსაც ადვილად გაიფიქრებს კაცი და ძნელად იტყვის. როგორ დაეუფებოთ ჩვენს ასუტინას, როცა გაზეთებში ასე მრავლად წააწყდები ათასგვარ ამბავს, რომლებიც ცხადყოფენ თანამედროვე ზნეობის დაცემას. განა არ ვგრძნობდი, გუსტავის სულშიც ეს აზრები რომ ბოროტად დნენ? იგი ახლაც ცდილობდა დაემალა ისინი, როცა რამდენიმე წუთის წინ პოლიციიდან ამბავი მოგვივიდა — ქალიშვილმა შინ დაბრუნება ითხოვაო.

— ჯინა! — უცებ შემაკრთო გუსტავის შეძრწუნებულმა ხმამ. — იცი თუ არა მე რა უნდა ვუთხრა მას?

ქმრის სიტყვებმა ამაფორიაქეს. ახლაც საჭირო ისე მოვიქცეთ, რომ მისი უგნური საქციელი მანვე დაგმოს, არ აპატიოს თავის თავს, რომ სახლიდან გაქცევა ეს იყო მისი დიდი შეცდომა.

— ჰო, გუსტავ, რა უნდა ვუთხრათ მას?

— ძალიან კარგად ვიცი, რაც უნდა ვუთხრათ, ვიცი, რაც ეკუთვნის. მთელი ღამე არ მიძინია. ისე სასტიკად უნდა დაისაჯოს, რომ მთელ სიცოცხლეში ახსოვდეს. ორი მაგარი სილა სამუდამოდ ჰკუთნებ მოიყვანს მაგ ქალბატონს. რას გავს ეს?! მოესურვა—გაიქცა, მოუნდა—ბრუნდება. სწავლა თუ არ უნდოდა, სად ეშმაკებში გარბოდა მერე... არა, ეს არ არის მიზეზი. შენ გჯერა თუ? იგი ნამდვილად ვილასს გაეყიდა... ასე ადვილი წარმოსადგენია. სად იყო ამდენი ღამე? რომ გავიფიქრებ, ჰკუთნებ გაღვაწივარ. არ მინდოდა ესენი მეტქვე შენთვის, მაგრამ სადაცაა უნდა მოვიდეს და საჭიროა შევხვდეთ ისე, როგორც დაიმსახურა. განა იგი უმწიკვლო იქნება?! რა ეჩქარებოდა ღედაკაცობა.

მე გული ამიჩუყდა, მაგრამ ტირილი ვერ გავბედე.

— გეყოფა! — ვუთხარი, როცა ძალა მოვიკრიბე. — ნუ დაგავიწყდება, რომ ის ჩვენი ქალიშვილია და როგორ ვზრდიდით. რაკი გაიბარა, მაინც დამაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მამაკაცთან იყო? განა შეიძლება ასე ერთბაშად დაწვამოთ ყველაფერი და დაუუკარგოთ ნდობა?..

ამ სიტყვებმა მე უფრო მეტი შვება მომცეს, ვიდრე გუსტავს. ისინი მე, მე უფრო მესაჭიროებოდა, მკერდზე დაწოლილი ეჭვის სიმძიმე რომ მომეხსნა, რომელზეც ასე მტანჯავდა.

— არა, ჩვენ არაფერსაც არ ვეტყვი! — ვთქვი და ამოვისუნთქე. — დიახ, ისე მოვაჩვენებთ თავს, თითქმის არაფერი მომხდარა. არ არის საჭირო არც საყვედური, არც დაცინვა. მტკივნეული ადგილის შეხება არ იგარგებს. დაეუშვათ, თუნდაც ასეთი რამ მომხდარიყო... ეს შეცდომა მანვე უნდა შეიგრძნოს და დაგმოს. ჩვენი ძველებური სიტბო მისდამი ყოველივე ამას გაუადვილებს. ჩვენმა გულისწყრომამ და ეჭვმა არ უნდა ატყინოს გუ-

ლი. გუსტავ! თუ ღმერთი გწამს, ეს საქმე მე მომანდე. ასე აჯობებს თუ იმიტომ, რომ მე დედა ვარ და მართალსაც ვამბობ. იგი ახლა უკვე დიდი ქალია და, რაც მთავარია, რა უფლება გვაქვს მის ბარათს არ დავუჯეროთ?!

— კარგი, რა გაეწყობა! შენ წაუძეხი ამ საქმეს, მაგრამ რა გიყო, თუ შენი სიტყვებისა არ მჯერა? მე კი მგონია ორი სილის გაწნა...

ზარის ხმამ საუბარი შეგვაწყვეტინა.

სკამიდან მძიმედ წამოვდექი და შუბლი მოვიწმინდე.

კარის ზღურბლზე მაღალი კარაბინერის ლანდი აიჭიმა.

— გუსტავ მეღბორი აქ ცხოვრობს?

— დიხ, — ვუბასუხე და კისერი წავიგრძელე, რათა კიბეზე ჩემი ასუნტინა დამენახა. შეხედვაც ვერ მოვასწარი, რომ იგი კისერზე ჩამომეკიდა. სიხარულმა ყველაფერი დამავიწყა. იგი ისევ ჩემთან იყო.

ასე მომეჩვენა, გუსტავი განზრახ აგვიანებდა კარაბინერის გასტუმრებას, რომ ჩვენთვის განმარტოების საშუალება მიეცა.

როცა კარგად შევთვალე, გული მატკინა მისმა ფერმკრთალმა სახემ. არც ჭუჭყიანი გაწეწილი თმები მომეწონა.

— მოდი, ვახშმის მომზადებაში მომეხმარე, — ვთხოვე და მაგიდას მივუჯექი. ჩვენ კარტოფილის ფცქენას შევუდექით.

ლამპის ირგვლივ ფარვანები დაფრინავდნენ, შორიდან მუსიკის ხმები მოდიოდა.

გუსტავი გაზეთის კითხვას შეუდგა.

— როგორ ცხელა, ასუნტი, არა? — კითხა ქალიშვილს.

ასუნტმა ვერაფერი უთხრა, თავი ჩაჰკიდა.

მე ძალა მოვიკრიბე და ყბედობა დავიწყე. ვინ იცის რას არ ვლაპარაკობდი, ისიც მოვიგონე, ჩვენს მეზობელ ჩეზირას ტყულები რომ შეეძინა. როგორ ფიქრობთ, მისი ქმარი გასულელელებული დადის. რა ქნან საბრალოებმა, რძის ფული არ გააჩნიათ. ხომ გაგიგონიათ, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო. შემდეგ ჩვენი ბაზრის ამბავი მოვყევი, მერე ისიც დავსძინე, პირობა განსაკუთრებით მოგიკითხა-თქო და, ბოლოს, ვთხოვე: ხომ არ წამყვები ჩვენს დუქანში სავაჭროდ? იგი მისმენდა თუ არა, არ ვიცი. რა მექნა, სხვა ვერაფერი ვერ მოვიგონე. ხშირად გავაპარებდი მისკენ მხერას. ოჰ, როგორ მსურდა მოვეფერებოდი შუბლზე ჩამოყრილ კულულებს, მაგრამ თავს ვიკავებდი. ყელში მაწვებოდნენ კითხვები: რაზე ფიქრობ, ჩემო გოგონი? რა იყო, სად გამექეცი? სად იყავი, ვისთან იძინე, რას ჭამდი... განა ვერ ვხედავ, უგუნებოდა ხარ? სად იყავ, სად ჩემთვის უსასრულო ორ კვირას? მაგრამ თავს ვიჭერდი. თურმე ასე სჯობდა.

მეორე დღეს ბაზარში, სადაც ჩვენ პატარა მწვანე სავაჭრო გვაქვს, ძველი ქოლგის ქვეშ ორივემ მოვიკალათეთ. ქაღალდის პატარა ტომრებში ხილი და ბოსტნეული ჩავუწყვეთ გუსტავს, რომლებიც ბინებში წაუღო

მუშტრებს. ჩემს ასუნტინას მყიდველები უღიმოდნენ, თუმცა არ ეცნობდნენ. ცოტა მოშორებით პიერო ყასბობდა. იგი დილით ადრე მოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა. გოგონას ისეთი საყვედურით სავესე თვალებით ჩახედა, რომ ვიცოდი რას ამბობდნენ ისინი. მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს. ბავშვური მეგობრობა აკავშირებდათ მათ, მაღავედნენ გაუმხელელ გრძნობებს.

ჩვენ ვდუმდით და ვმუშაობდით.

არ მსიამოვნებდა მისი დაუდევრობა. თმები ძველი ნაჭრით წაეკრა, წინ ჩემი ნახმარი ჭუჭყიანი წინსაფარი გაეკეთებინა. ნუთუ ეს ის კოხტა, ფაქიზი ასუნტინა არის, გავივლე გულში.

შუადღე გახდა. ჩვენთან ერთი ვულგარულად მორთული ქალიშვილი მოვიდა — ასუნტინას მეგობარი ლუიზა. სახე გაეტყუვნა, ისეთი მოკლე ქვედა კაბა ეცვა, რომ მუხლის თავები მოუჩანდა. იგი დამცინავი ღიმილით გრეხდა ტუჩებს და ნაბავდა თვალებს.

— აჰ, ასუნტი, დაბრუნდი, არა? მოგვიყევი, აბა როგორი დრო ატარე, ვინ იყო იგი — ქერა თუ შავგვრემანი, მანქანაც ხომ არ ჰყავდა? რა იყო ვითომ, რომ უკადრისობ, შეურაცხყოფას ხომ არ გაყენებთ?..

ასუნტინა დუმდა და ემსახურებოდა მყიდველებს.

თავსახვევიდან კულული გადმოუვარდა და თვალზე დაეფარა. მე მშვიდად აღარ შემეძლო მეცქირა შვილისათვის.

ლუიზა ისევ გამომწვევად ლაყბობდა, ქალიშვილები შემოემატნენ, დახლთან ხალხი შეგროვდა.

ლუიზამ ახლა ვილაცას გასძახა:

— ალბათ, გაიფხვლით — ეს სინიორინა ორი კვირა სახლიდან გაქცეული იყო. წარმოიდგინეთ, როგორ გაერთობოდა, რამდენი რამ აქვს სათქმელი და არ უნდა გვითხრას...

ასუნტინამ ცრემლიანი თვალებით შემომხედა.

— გააგდე, დედიკო, ლუიზა, გააგდე! ოი, რას ჩმახავს!

მე მინდოდა ქალიშვილი დამეცვა, მაგრამ როგორ — არ ვიცოდი. ამ ბინძურმა კითხვებმა გამომაფხიზლეს, ჩემს სულში მბორგავი ეჭვი ისე გაშიქრეს, როგორც თოვლი დნება ხოლმე მცხუნვარე მზისაგან. ახლა ისეთი განცდა მქონდა, თითქმის ცუდი რამ თვით მე ჩამედინოს. როცა ასეთი რამ გავივლე გულში, უკვე მევე მრცხვენოდა საკუთარი თავისა.

ჩვენს ირგვლივ ისმოდა დამცინავი სიტყვები, იზრდებოდა ცნობის-მოყვარეთა ბრბო.

პიეროც მოვიდა და დაჟინებით დააცქერდა ასუნტინას.

საიდანღაც ორი უცნობი მამაკაცი გაჩნდა. ფოტოაპარატები მოიმარჯვეს და მთხოვეს:

— ბოდიში, რეპორტიორები გახლავართ, ნება გვიბოძეთ ვესაუბროთ სინიორინას.

ღმერთო ჩემო, ეს რა სირცხვილში ჩავცვივდით! ამდენი ხანია ვეცდით, გუსტავიც არ ჩანს. რა უნდა ვქნათ? ფოტოაპარატის ჩხაკუნი გაისმა. ასუნტინამ სახე ხელეზში ჩამალა და ტირილი დაიწყო.

ისევ ისმის კითხვები: სად გაიქცით, რატომ, რამ გაიძულათ პოლიცისათვის მიგემართათ, რატომ დაბრუნდით. განა ეს ყველა ის კითხვა არ იყო, რომლის დასმასაც მე ვაპირებდი? სირცხვილის განცდა თანდათან მეზრდებოდა სულში. მრცხვენოდა, რომ ჩემს თავშიც ტრიალებდნენ ასეთი ბინძური ფიქრები. ასუნტინა ღუმდა. ეს მათთვის ცოტას ნიშნავდა. შეეძლოთ თავად შეეთითხნათ ათასი ჭორი გაწბილებულ სიყვარულზე, ღალატზე, გაქცევაზე. ბოლოს და ბოლოს, გონს მოვედი, გასაოცარი ძალა მომეცა.

— წაეთრიეთ აქედან! — მთელი ძალით დავიყვირე. — წაეთრიეთ ყველანი! გესმით თუ არა?

ერთ რეპორტიორს უბის წიგნაკი გამოვგლიჯე და მივაყვირე:

— ყველა ეს ბინძური შეთითხნილი ჭორი თქვენთვის შეინახეთ. გასაგებია, არა? თქვენს გაზეთებში მარტო ამას წერთ და მეტს არაფერს. თქვენ საგანგებოდ დაეძებთ ჩხუბსა და ჭორს. თუ მართალი გასურთ, დასწერეთ ის, რასაც მე თქვენ მოგახსენებთ:

— ჩემი ქალიშვილი უმწიკვლო გახლავთ. იგი დაბრუნდა იმიტომ, რომ არ სურდა იმ წუმბეში დარჩენა, რომელშიც თქვენ იმყოფებით. მან დროზე გაიგო თავისი შეცდომა. მისი ადგილი ჩვენს ოჯახში იყო და მეტი არსად. ასეა არა, ჩემო კარგო? უთხარი მათ ეს სინამდვილე, რომ შერცხვეთ ბინძური ცილისწამებისა და წაეთრიონ აქედან, ნურავის სვრიან.

მერე აღარ მახსოვს რა მოხდა.

ჩემს მკლავებში ასუნტინა თრთოდა. ახლა უკვე მჯეროდა: იგი ის იყო, ვისაც ასე სასოებით ვზრდიდი და ვისიც მჯეროდა.

ის კი მეზუტებოდა და ქვითინით მეუბნებოდა:

— მაღლობთ, დედიკო!

მისმა ცრემლებმა მე დამიბრუნეს სიწმინდე მისი.

ჩვენ ორივე ავმადლდით და ვიგრძენით, როგორ დამარცხდა ჩემს სულში გამაჯდარი ეჭვი.

ბიერო ასუნტინას კინოში წასვლას თხოვდა.

მე ცრემლი და ღიმილი მომერია.

თარგმნა ნანა გვარიშვილმა.





იოჰანეს ბუჰარი

მინაწერები ბუჰარაგაღდის ჟოფილ ტყვეთა საკონსენტრაციო ბანაკის ბარელიეფებზე

ბანაკის მუშაობა

აქ გაეშალა შავი ფრთები სიკვდილის ბანაკს,
შემოერაგვთ ეკლიანი მავთულხლართუაით.
ბარაკებიდან ტანჯულთ კვნესა ისმოდა მარად.
პროექტორები თვალებს თხრიდათ შუქთა ნათებით.
და სახრჩობელა: აი, არსი „ხელისუფლების“...
იმ დღეთა სირცხვილს დრო იოლად წარეცხავს განა?
და ვერც ბუჰარაგაღდს დაგვაფიწყებს ჟამი სრულებით

ბანაკში მოსვლა

ვინ მოგიყვანათ, შემოგრეკეს აქ ნეტა რათა?
ვინც ვერ იცრუა, ის საეჭვო პირია მათი.
ვინც მოახია კაცის თვალებს სიცრუის ფარდა, —
ტანჯვა ელოდა, უღვთო ტანჯვა და კაზემათი.
ო, ვერ მოდრიკეს მარყუებით და ხიშტის ტრილით,
„თავისუფლების ცეცხლი ვისიც გულში ელავდა...“
რა სიმტკიცეა! რა დიდია ადამიანი!

მუშაობა ჟვის სამბახლოში

ამხილეთ, ქვებო, თვითნებობა უსასტიკესი!
ქვის სამტეხლოში თუ რარიგად ეწამა ხალხი.
ამ ქვებმა როგორ დაფქვეს კაცის ჩონჩხი და ლეში...
მერვე წელია, უღმობელი რაც ბრუნავს ჩარხი...
ან იქნებ სრბოლა დრომ თავისი აქ შეაჩერა?

მაინც როდისღა მოგვშორდება ეს გლოვის თაღი?
ო, გერმანია, გაიდგიძებ ოდესმე შენა?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლიდარობა

ბედს წინ აღუდგენ, ეყოთ ტანჯვა, რაც დღემდე თმინეს.
ბრძოლის კავშირში გამარჯვების რწმენამ იმატა.
წითელი დროშა ბრძოლისაკენ უხმობდა გმირებს:
„გამაგრდით! გწამდეთ, ჩვენც მივუზღავთ მალე იმათა
იმ ვაებისთვის, რაც წილად გვხვდა ძალისძალადა!“
ჩურჩული იგი აიზვირთა და ახმინდა:
„იარაღს ხელი! გამარჯვების დაჰკრა საათმა“.

იაბაჰჰეჰეთუშიც ზეიმობენ ტელმანს


ჩვენი ტელმანი — გერმანიის შვილია ღვიძლი.
წინ გვიდგას მისი დიდებული სახის იერი.
და თითქოს ყველა გონიერი ამ დედამიწის
„ინტერნაციონალს“ — ჩვენს საყვარელ ჰიმნს მოიმღერის.
ჩაუქსოვია დიდებული შიგ აზრი დრო-ჟამს:
დიად კავშირში „ვპოვებთ შევბას...“ ეს კარგად გვჯერა.
და ერნსტ ტელმანმა ზე აღმართა უძლევი დროშა.

განთავისუფლება

დრომ დაამტკიცა ერნსტ ტელმანის აზრის სიმართლე.
„მომეზადენით ბრძოლისათვის!“ — განგაშის ხმაზე
სიკვდილმისჯილნი საფლავიდან წამოიმართნენ.
ხელებგაწვდილნი რიგში დგანან — და შენც, ძმა, ასე:
არ დაივიწყო სახე მათი და წმინდა ფიცის
იყავ ერთგული! გესმის მათი ხმა ბოლმით სავსე:
„გახსოვდეს მარად ბუჭენვალდი, სიმკაცრე მისი!“

თარგმნა ზალვა შუბლაძემ.





ნილა პარზინა, ღაპით გორჩხაპი

ახმედის ქალიშვილი

დილით, როცა რძისფერი ნისლი მთის მწვერვალებიდან დაბლა ეშვება, ზვიადი მთე-
ბი, სოფელ მეკეიძეებს გარს რომ შემორტყმია, კიდეც უფრო ღამაში და დიადი ჩანან.
იღუმალეებით მოსილნი და მიმზიდველნი, ისინი წამდაუწმ იცვლიან ფერს — ხან უცნა-
ურად ლურჯი, ხან ცისფერი, ხან იისფერი გადაჰყავთ.

არაფინ იცის, რა ძალაა ისეთი უსაზღვრო სივრცეში, შეუსვენებლად რომ მიერეკება
ფუშფუშა ღრუბლებს, ისე მსუბუქს, რომ გგონია, საკმარისია სული შეუბერო და ისინი
მაშინვე დაიშლებიან.

მალა, მთებში, ცა უფრო ახლო გვეჩვენება, ვიდრე ბარში, უფრო ახლო და
უფრო კეთილმოწყალე. ალბათ, ასე ფიქრობდნენ დიდი ხნის წინათ ადამიანები, შიმშილსა
და სიკვდილს რომ გამოექცნენ და სასოწარკვეთილნი შეჩერდნენ აქ, ახლანდელი ზემო
აჭარის ამ ხეობაში, და იმედს არ კარგავდნენ, რომ ბედი მოწყალეებს გამოთიღებდა.

ეს ადამიანები იმერეთის სოფელ ვანის მკვიდრნი იყვნენ. გადმოცემით, იმხანად იმე-
რეთის მიწას არნახული სიციხე წვადა. ზედიზედ შვიდი წლის განმავლობაში გვაღვა
აოხრებდა მოსავალს. დაშრა წყაროები, მრავალი ოჯახი მთლიანად ამოწყდა, დაცარიელ-
და სოფლები. შიში და მომავლის იმედი ადამიანებს სხვაგან დენიდა პურისა და წყლის
საშოვნელად.

და აი აქ, ამ მკაცრ, მაგრამ მაღლიან მხარეში მათ იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ.

უბედურებას თავი რომ დააღწიეს, ლტოლვილები მშობლიური მიწის სევდამ შეიბ-
ყრო და ბევრი მათგანი უკან დაბრუნდა. ზოგიც დარჩა იმ იმედით, რომ მალე მოიკრებ-
დნენ ძალღონეს და განახორციელებდნენ ოცნებას. მაგრამ მათ გაუტრუვდათ იმის იმე-
დი, რომ ნახავდნენ ძვირფას და საყვარელ ადამიანებს, ფეხს დადგამდნენ მშობლიურ
მიწაზე. თურქმა დამპყრობლებმა, წლობით კი არა, საუკუნეობით მოსწყვიტეს აჭარა
დედა-საქართველოს.

მამიდან შვილზე, პაპიდან შვილიშვილზე გადადიოდა უკვე ლეგენდად ქცეული იმ
წინაპართა ისტორია, რომლებიც უარყოფდნენ ძალით მოხვეულ მუსლიმანურ სახელებს

და ამაყი სიკიუტით იმეორებდნენ: „ყველა, ვინც ვანიდან მოვიდა, — ვანაძეა...“
ნი გვარი!..“

მაგრამ უცხო ყოფა, უცხო ადათ-წესები დროთა განმავლობაში შეუმჩნევლად ქან-
ვით მთელად ადამიანთა გონებას, შეუცვალა შეხედულებები, ზნე-ჩვეულებები.

განსაკუთრებით ტრაგიკულად განიცადა ეს ცვლილებები ქალმა. როდის და როგორ
მოხდა, რომ მას ანგარიში აღარ გაუწიეს. სახეზე ჩამოაფარეს საშინელი ჩადრი და ოჯახ-
ში ყველაზე უმნიშვნელო ადგილი მიაკუთვნეს, — ამ კითხვაზე არავის შეუძლია დანამდ-
ვილებით გვიპასუხოს. მაგრამ ასე კი მოხდა — ქალი ქმრის მონა-მორჩილი, მისი ჩრდი-
ლი გახდა.

ახლაც, ამ შორეულ სოფელში, მერცხლის ბუდეს რომ მოგაგონებთ, აქა-იქ მაინც
წააწყდებით ასეთ სურათს: გზაზე მიდიან ორნი, წინ — მამაკაცი, სამიოდ ნაბიჯით უკან —
ქალი. ამ ქალის ბედს ჯერ კიდევ განაგებს ადათის წყველი კანონები. უყურებ მას და
გიკვირს — განა უცნაური არ არის ასეთი რამ ჩვენს დროში? ნეტა არ იცის, თუ არა სჯე-
რა მას, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალი თვითონაა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი? იცის,
როგორ არ იცის! როგორ შეუძლია არ დაიჯეროს: ყველასათვის თვალსაჩინოა მათი თა-
ნასოფელის — იშვიათი შემართების, განსაკუთრებული ნებისყოფისა და ნათელი გონე-
ბის ქალიშვილის თამარ ვანაძის მაგალითი.

* * *

ყოველ დღით ამ სოფლის ქალები თამარს წყაროსთან ზედებიან. თამარი ჩქარობს.
უნდა საოჯახო საქმე მალე მოითავოს და სკოლაში დროზე მივიდეს. ახალგაზრდა ქალები
მისჩერებიან მას გულწრფელი ბავშვური ცნობისმოყვარეობით. თამარიც მეგობრული
ღიმილით უპასუხებს.

თანატოლები, მისი ბავშვობის ამხანაგები, დროდადრო შეჩერდებიან, ვეღარ მალა-
ვენ აღტაცებას და კაბას შეუქებენ.

— თვითონ შეეკერე, — ეუბნება მათ თამარი. — თუ გინდათ, მოდით ჩემთან, თარგს
მოგცემთ, კერვაში მოგვხმარებთ. მე ინსტიტუტშიც ვსწავლობდი და ჭრა-კერვის კურ-
სებიც დავამთავრე...

ახალგაზრდა ქალები მადლობას უხდიან, თან ყოყმანობენ, ქმრები არ გამოგვიშვებენო.

— მაშინ მე მოვალ, — ეუბნება თამარი.

— არა, არა, ნუ შეწუხდები... ჩვენ ხომ მაინც არ ვიცვამთ ასეთ კაბებს...

მათ თვლებში შეკრთომა ჩანს და თამარი უკმაყოფილოდ იჩეჩავს მხრებს, ჯიუტი ნა-
ოკი წვება ხშირ წარბებს შორის.

ხანდახან წყაროსთან ხნიერი ქალებიც ზედებიან თამარს. ისინი უხერხულად იშვუშ-
ნებიან და ცდილობენ გვერდი აუარონ, მაგრამ თამარი თვითონ უხმობს მათ, წყლით სავ-
სე კოკას მიწაზე დგამს და მოუხრიდებლად მკაცრად ამბობს:

— რატომ არ უშვებ ქალიშვილს სკოლაში?

სოფელში ყველა იცნობს ახმედ ვანაძის ქალიშვილს. თავის დროზე ბევრი მითქმა-
მოთქმა იყო მასზე, მაგრამ არავის შეეძლო წარმოედგინა, რომ სულ მალე ასე, დამნაშა-
ვესაგით მოუწევდათ მის წინაშე დგომა და თავის მართლება. არავინ ელოდა, რომ ინს-
ტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მოისურვებდა მშობლიურ სოფელში დაბრუნებას.
მაგრამ თამარი დაბრუნდა. და აი გასული შემოდგომიდან ყოველ დღით — ვინ თავისი
სახლის ფანჯრიდან, ვინ ბოსტანში ან ბაღში მუშაობის დროს თვალს აყოლებს ქალი-
შვილს, მეორე სოფლისაკენ მიმავალ გზას რომ დასდგომია.

ტანადი და მოხდენილი, წიგნებით და რვეულებით ხელში, იგი მსუბუქი ნაბიჯით მიდის
ნაცნობი გზით ნაცნობი სკოლისაკენ, რომ ბავშვებს მისცეს ცოდნა, ასწავლოს ცხოვრება...

ოდესღაც თამარი თვითონაც ამ სკოლაში სწავლობდა. ის და მისი ძმა იოსებ სულ პატარები იყვნენ და ამ გზაზე მათ უფროსი და ესმა მიაცილებდა, რომელმაც ადრე გარდაცვლილი დედა შესცვალა. შემდეგ ესმა გათხოვდა და სოფლიდან წავიდა.

ოჯახში ახალი დიასახლისი — დედინაცვალი მივიდა. ჩუმი და შეუმჩნეველი, იგი ბავშვების ცხოვრებაში შევიდა ისე, რომ არაფერი შეუტყვლია. და ცხოვრებაც ასე ჩვეულებრივად, უშფოთველად გადიოდა, ყოველგვარი ცვლილების გარეშე...

მაგრამ სოფელში ჩამოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი და ახმელ ვანაძის სახლში დაბინავდა.

გოგონას ყველაფერი იზიდავდა ამ ქალში — სილამაზეც, გულითაღობაც, რომლითაც ის ეგებებოდა ყველა მასთან მისულს, ის კეთილი ღიმილიც, რომლითაც თითქმის ეუბნებოდა ადამიანებს: „მე თქვენთან მოვედი, რომ სიკეთე დავთვსო...“

გულისხმიერი, ყურადღებიანი თამარ სალუქეაძე მალე შეითვისეს და შეიყვარეს სოფელში, ახმელის ოჯახში.

ხანდახან, როცა მასწავლებელი თავის ოთახში ხმადაბლა მღეროდა ნაცნობ გურულ სიმღერებს, პატარა თამარი ფიქრობდა, რომ მასწავლებელს სევდა რამ შემოსწოლიათ და მის გასართობად თვითონაც აპყვებოდა ხოლმე. თამარ სალუქეაძე გამოცოცხლებოდა, გულიანად იცინოდა გოგონას შეუწყობელ სიმღერაზე, თანაც აქებდა: „იცი, თამარიკო, შენ კარგი ხმა გაქვს. აბა, ერთხელ კიდევ იმღერე...“

თამარ და ონისე თანდათან გამოიწაფნენ სიმღერაში, ცეკვაც ისწავლეს. მალე დაიწყეს გამოსვლა სასკოლო დიღებზე, სოფლის კლუბში. მათთან ყოველთვის იყო საყვარელი მასწავლებელი.

მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვებს ის უყვარდათ, როცა ხალიჩაგადაფარებულ სექეზე — კედლის გასწვრივ მიმაგრებულ ფართო ხის ნარეზე — ჩამომსდარნი, გასუსული უსმენდნენ მასწავლებელს, რომელიც მათ ხმამაღლა უკითხავდა. ხანდახან ახმელიც შემოვიდოდა ჩუმად და იქვე კარებთან ჩამოჯდებოდა. მთელი საათობით იჯდა ფეხმორთხმული და ოდნავ ირხეოდა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ახმელი, მასწავლებელს რომ უსმენდა. ალბათ, იმაზევე, რაზეც მისი შვილები — რომ სადღაც მშობლიურ მთებს იქით ჩქედს უტნობი მღელვარე ცხოვრება და მხოლოდ გაბედულთ და ბრძენთ ძალუძთ აპყვნენ მის დინებას.

მაგრამ მასწავლებელი სხვაგვარად მსჯელობდა. ერთ საღამოს, როცა დაამთავრა ა. ფადევის „ახალგაზრდა გვარდიის“ კითხვა, მან გულთბილად და უბრალოდ დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენს დროში სამშობლოს მოყვარულ ახალგაზრდებს ყოველთვის შეუძლიათ გამოადგნენ ხალხს, ქვეყანას. სამშობლოს სიყვარული — ეს იმას ნიშნავს, რომ მგზნებარედ გსურდეს, იყოს იგი უფრო მდიდარი, უფრო ბედნიერი, უფრო მშვენიერი.

მოულოდნელად საუბარმა კონკრეტული მიმართულება მიიღო.

— აი, მე რომ დავამთავრო საშუალო სკოლა და თქვენსავით მასწავლებელი გავხდები, — გამოვადგები თუ არა სამშობლოს?

თამარიკოს ამ მოულოდნელმა კითხვამ, რომელშიც იგრძნობოდა გოგონასათვის უჩვეულო სიფიცხე და რაღაც არაბავშვური სიმტკიცე, ოდნავ შეაშფოთა მასწავლებელი. მან ბავშვის აფაქლებული სახიდან მზერა ახმელზე გადაიტანა და, როცა შენიშნა, რომ ისიც ყურადღებით უსმენდა ქალიშვილს, მშვიდად უთხრა:

— უთუოდ გამოადგები. ალბათ, ღიდ სარგებლობასაც მოიტან, სწორედ აქ, მშობლიურ სოფელში... შენი ოცნება უბრალოა, მაგრამ მის განხორციელებასაც ცოტა გამბედაობა როდი უნდა... — უკანასკნელი სიტყვები მასწავლებელმა ფიქრიანად, ოდნავ შესამჩნევად ხაზგასმით უთხრა, რომლის მნიშვნელობა თამარიკოს, ალბათ, არც გაუვია.

იმ დამეს მხოლოდ სხეუდეს, ახმედის მეორე ცოლს, ეძინა ტკბილად. ის არ შედიოდა მასწავლებელთან და არც არაფერი იცოდა იმ საუბრისა.

თამარიკომ კი დილაშე ვერ მოხუჭა თვალი. თვალწინ ეხატებოდა თავისი მომავალი და არ იცოდა, რომ ცხოვრება თავისებურად შესცვლიდა ბევრ რამეს.

კედელს იქით ლოგინში დიდხანს ბრუნავდა ონისეც. მას თავისი, ვაჟური წარმოდგენა ჰქონდა გმირობაზე, ცხოვრების დედა-აზრზე.

ბევრ ხანს არ დაეძინა მასწავლებელსაც, რომელიც იგონებდა ბავშვებთან საუბარს და სიბნელეში უდიდოდა თავის ფიქრებს, სასიხარულო ფიქრებს. ასე ბედნიერია ადამიანი ყოველთვის, როცა დათესილი სიკეთის ყლორტებს ხედავს.

მაგრამ სახლში ვერაინ ხედებოდა რა საზრუნავი გაუჩნდა ახმედს. თავში დაჟინებით უტრიალებდა მეზობლის სიტყვები, ძალიან თავისუფლად ზრდი შვილებსო, ბიჭი და გოგოც სცნაზე გამოდიან, ეს კარგს არაფერს მოგიტანსო.

ახმედმა, რომელზეც მტკივნეულად იმოქმედა ამ დამცინავმა, გესლიანმა საყვედურმა, მეზობელს პირდაპირ მიახალა:

— ნეტე მაშინ სად იყავი, როცა სულ პატარები ჩემს ანაბრად დარჩენა? ერთი ხელში მეკავა, მეორე მხრებზე მაჯდა და არ ვიცოდი რა მექნა, როგორ მომეცლო მათთვის. ახლა კი მოხვედი და ჭკუას მასწავლი! თუ არ მოგწონს ჩემი ბავშვების ცეკვა-სიმღერა, ნუ უყურებ, აბა ვინ გაძალებს!

მაშინ ახმედს მეზობელთან წალაპარაკებისათვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია. იფიქრა, არაფერია, დრო გაივლის და დამავიწყდებაო. მაგრამ მასწავლებლის ოთახში საუბრის შემდეგ მიხვდა, ჯერ კიდევ ბევრი უსიამოვნება ელოდა წინ. სადღაც, სულის სიღრმეში, დაისადგურა სევდის მომგვრელმა, შემაშფოთებელმა გრძნობამ. თამარიკომ თქვა, საშუალო სკოლას დავამთავრებ და მასწავლებელი გავხდებიო. ახმედმა იცოდა, რომ ეს არც ისე იოლი იყო სოფელი გოგოსათვის, რომლის გარშემო ახალ ცხოვრებას ჯერ კიდევ ძირფესვიანად არ აღმოეფხვრა ძველი ადამიანების.

* * *

წლები გადიოდა. თამარიკოს სიყვარული მასწავლებლისადმი ორი ადამიანის სულიერ მეგობრობად იქცა და ამ მეგობრობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქალიშვილის ცხოვრებაში.

თამარიკო მათე კლასში იყო და მტკიცედ მიიღებოდა მიზნისაკენ. არაერთხელ სცადა ახმედმა ლაპარაკი ჩამოეგდო ქალიშვილისათვის იმის თაობაზე, რომ მეზობლები საშველს არ აძლევენ, შუაკაცებს უგზავნიან, რომ ასეა მიღებული, — როცა დრო მოვა, ქალიშვილი უნდა გათხოვდეს.

— არა, მე უმაღლეს სასწავლებელში მივდივარ, — იმეორებდა თამარიკო.

მაგრამ სოფელში ხან ერთი, ხან მეორე ხშირად უსაყვედურებდა ახმედს:

— რამ გაფიქრებინა ქალიშვილის სასწავლებლად გავზავნა! ჩვენს სოფელში შენზე მდიდრებიც არიან, შენ კი რაღაცას ჩემობ. გაათხოვე გოგო და მორჩი ამით.

მთაში ყველამ იცის: გაუჭირდება იმას, ვინც გაუქვალავ ბილიკს დაადგება. უძნელდებოდა ახმედსაც.

ერთხელ კოლმეურნეობის ფოსტალიონ ახმედ ვანაძეს ღორჯომში მიჰქონდა ახალი ფოსტა. გზაზე რაიკომის მანქანა წამოეწია. რაიკომის მდივანმა ახმედს დაუძახა, ხელი ჩამოართვა და, თითქმის შემთხვევით, მეგობრულად უთხრა:

— გავიგე, სოფელში ზოგი უკმაყოფილოა, ახმედო შვილებს ისე არ ზრდის, როგორც საჭიროაო. ნუ გჯერა მათი, ისინი შენი მტრები არიან. მე ვიცი, რომ კარგი ბავშვები გყავს. გახსოვდეს ჩემი სიტყვები: იმას, ვინც დღეს გისაყვედურებს, ხვალ შეშურდება შენი ბედნიერება.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ნათესავებმა და მეზობლებმა დაიყოლიეს ახმედი. მან ხელი

ჩაიქნია და დასტური თქვა: მოიყვანეთ საქმრო, მოვილაპარაკოთ... გულში ჰქონდა ჯიშნა, ჩემი ქალიშვილი ხომ არაა პირველი და უკანასკნელი!

ძნელია იმის თქმა, საიდან გაიგო ეს თამარმა. ქალიშვილი ალღოთი მიხვდა, რომ სულ მალე უნდა გადაწყვეტილიყო მისი ბედი. იგი აწრიალდა—ხან ბოსტანში შეიბენდა, ხან ბოსტელში, ხან სახლში... მამას თვალს არიდებდა. მერე სხვეფის შემოხვება და სთხოვა, მიშველე რამე, შენ ხომ კარგი, კეთილი ხარო...

— ალაპის სურვილი ასეთია, შვილო!

ქალიშვილმა იმ ოთახში შეიბრინა, სადაც წინათ მასწავლებელი ცხოვრობდა. „ის დამეხმარებოდა, ის მასწავლიდა რა უნდა მექნა!“ — შეშლილივით ჩურჩულებდა გოგონა; მაგრამ მასწავლებელი აღარ იყო. იგი წავიდა მათი სოფლიდან. შვიდი წელი დაჰყო ახმედის სახლში, ბევრ რამეზე აუხილა გოგონას თვალი. როცა მიემგზავრებოდა, ასე უთხრა: „ძალა ეძიე საკუთარ თავში და ყველაფერს მიაღწევ, რისკენაც მიისწრაფი...“

უცებ თამარს კიბეზე ლაპარაკი შემოესმა. მიხვდა, რომ სტუმრები და „საქმრო“ მოვიდნენ. სწრაფად მოიკრიბა ნებისყოფა, გასწორდა და მშვიდად გავიდა ოთახიდან.

— თამარიკო, სტუმრები მოვიდნენ... — შეეგება სხვეფი.

— ვიცი. — მოკლედ უპასუხა თამარმა. — წყაროზე წავალ, ახალ წყალს მოვიტან. — და კოკას დიაველო ხელი. დედინაცვალმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ არაფერი უთხრა.

...იმ დღეს სტუმრებმა წყაროს წყლის მოლოდინში დაღამეს. თამარი წავიდა და აღარ დაბრუნებულა. წყაროსთან დიდ ბრტყელ ქვაზე მხოლოდ ცარიელი კოკა ნახეს. ახმედი შემინდა, თავი ხომ არ დაიხრჩო, მაგრამ მეზობლებმა უთხრეს, თამარი ხულოს გზაზე ენახეთ, ვილაც მამაკაცს მიყვებოდაო.

გაცეცხლდა მოხუცი: არ იცნობდა იგი თურმე საკუთარ ქალიშვილს; მოატყუა, სახლიდან წავიდა; მალავდა, რომ შეყვარებული ჰყავდა, სწავლას კი მხოლოდ იმიზეზებდა თურმე...

იწრიალა, იღარდა და ბოლოს ბედს შეუერიდა. ყურმოკრით გაიგო, რომ თამარი რაიკომის მდივანთან ყოფილა და ახლა ხულოში სწავლობდა ინტერნატში, მზამზარეულზე, სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობდა.

* * *

სახლიდან წასვლა თამარმა მოულოდნელად გადაწყვიტა იმ წუთას, როცა შუამავლების ფეხის ხმა გაიგონა. „საკუთარ თავში ეძიე ძალა...“ — გაუელვა ფიქრმა. ჰო, ახლა მან იცოდა რა გზას დასდგომოდა.

კოკა წყაროსთან დატოვა და შარავზას გაჰყვა. სოფელს რომ გასცილდა, უცნობი მამაკაცი წამოეწია. იგი რაიონული ცენტრის მუშაკი აღმოჩნდა. თამარი ჩვეულებრივად ჩადრში მალავდა სახეს და უცნობს მაშინვე როდი გააცნო თავი. მაგრამ მერე ზიზლით მოიძრო სახეზე ჩამოფარებული რიდე და თქვა:

— ახმედ განაძის ქალიშვილი თამარი ვარ... — და დაუფარავად უამბო ყველაფერი.

— ახლავე, დაუყოვნებლივ მიდი რაიკომის მდივანთან.

თამარმა მიიღო ეს მეგობრული რჩევა.

და აი უკვე ერთი თვეა სკოლა-ინტერნატში ცხოვრობს. ყველანი ზრუნავენ მასზე, ყურადღებას არ აკლებენ. მაგრამ ქალიშვილს მაინც რაღაც აწუხებს. რაც დრო გადის, მით უფრო უმძიმდება გული. არ ჩანს მამამისი, არ ძეებს, არ აპატიო, ხელი აიღო შვილზე...

მაგრამ ახმედი მოულოდნელად გამოჩნდა. მამის დანახვაზე ქალიშვილი ატირდა. ახმედი კი ერთ ადგილზე გახევებული იდგა, თავი ჩაელუნა და დუმდა.

წასვლისას ეს უთხრა ქალიშვილს:

— შენ ისეთი რამ ჩაიდინე, რომ მე ახლა სოფელში აღარ გამომესვლება. ჩვენთან ასეთი არასოდეს მომხდარა...

ეს იყო ზამთრის არდადეგების დროს და მერე ახმედი აღარ გამოჩენილა. გამოცდე-

ში დამთავრდა. თამარს სიმწიფის ატესტატი ხელში უჭირავს. უნდა უხაროდეს, მაგრამ ბოლმა ახრჩობს. ეს საზეიმო დღე ჩაეშხამა.

მართალია, თამარი მარტო როდია. მკიდრო კომკავშირულ ოჯახში ყველა მისი მეგობარია. თანაკლასელებიც, მასწავლებლებიც, აღმზრდელებიც — ყველანი დაინტერესებული არიან მისი ბედით.

ლანჩუთიდან ხშირად მოდიოდა წერილები ყოფილი მასწავლებლისაგან. იგი თამარს სთხოვდა, ჩემთან ჩამოდიო, მაგრამ ქალიშვილმა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლა გადაწყვიტა. სკოლა, მეგობრები დაეხმარნენ მას და ყველაფრით მოამარაგეს, რაც სტუდენტს ესაჭიროებოდა. განათლების რაიონულ განყოფილებაში ერთდროული ფულადი დანხარება მისცეს და თამარი უმაღლეს სასწავლებელში გაემგზავრა.

სკოლაში ქალიშვილი კარგად სწავლობდა და ამიტომ არ გასჭირვებია მისაღები გამოცდების ჩაბარება. და აი, იგი უკვე სტუდენტია! ეყო ნებისყოფა, ძალა, შეუპოვრება დასახული მიზნის მისაღწევად. გული სიხარულს ველარ იტევდა. მიყუჩდა სევდა და შორეულ მოგონებად დარჩა წარსული წყენა, შიში, განცდები. იგი ახალი ცხოვრების ზღურბლზე იდგა...

თამარი აღარ ნაღვლობდა. ცხოვრებაში ყველაფერს ეშველება, სიკვდილის გარდა... იგი უკვე მომავალზე ოცნებობდა; გაივლის წლები, ინსტიტუტს დაამთავრებს, მოულოდნელად დაუბრუნდება მშობლიურ სოფელს, მასწავლებელი იქნება. მამა გაუგებს შვილს, დაუყვავებს და სიამაყით იტყვის: „ხედავთ, რა გოგო ჰყავს ახმედ ვანაძეს — პირველი ქალია ამ სოფელში უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით“.

ეს გულბრწყვილო ოცნება ეხმარებოდა მას ცხოვრებაში, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებაში. და მერე როგორი მეცნიერების — მათემატიკის!

ახმედი აღარ დალოდებია, სანამ გოგო უმაღლესს დაამთავრებდა. პირველსავე წელს, ზამთრის სესიებზე მორიგი გამოცდის შემდეგ თამარს უთხრეს, ვილაც კაცი გელოდებო. აღლითი მიხვდა, მამა იქნებოდა და გულმა რეჩხი უყო. ვესტიბიულში მართლაც ახმედი იდგა, ტანმორჩილი, სუსტი, უსაზღვროდ საყვარელი ადამიანი. მშობლის გული ქვა როდია! ახმედს ხელში პატარა ბოხჩა ეკავა და გაუბედავად ილიმებოდა.

თამარი კისერზე შემოეხვია.

სასაცილო და გულის ამაჩუყებელი იყო მათი შერიგება.

— ცოტა რამ მოგიკითხე, სხეფიემ გამოგიგზავნა.

ეს იყო მისი პირველი სიტყვები. შემდეგ შიშნარევი ხმით გაუბედავად კითხა:

— რას აპირებ, სახლში არ წამოხვალ? გავიგე, რომ თქვენც გაქვთ არდადეგები.

— წამოვალ, როგორ არა, წამოვალ! არდადეგებზე ყველა სტუდენტი სახლში მიდის. მეც ვაპირებდი...

არ უნდოდა მამისთვის ეწყენინებინა და იცრუა, თორემ თანაკურსელს რახანია დაპირდა, არდადეგებზე შენთან წამოვალო. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა.

— ოღონდ უნდა დამელოდო, — უთხრა მამას, — სანამ ყველა გამოცდას არ ჩაუბარებ.

და ახმედიც იცდიდა. დილიდან ქალაქს ათვალიერებდა, მის ცხოვრებას ეცნობოდა. შუადღისას ინსტიტუტის შენობას მიადგებოდა და ბავშვივით ღელავდა: ვინ იცის, როგორ ახარებს ახლა გამოცდას ჩემი გოგო.

მერე ერთად სამდე სასაუზმოდ წავიდოდნენ. მაღაზიებს დაივლიდნენ, სხეფიესა და ონისესათვის საჩუქრებს შეარჩევდნენ და საღამოს კინოშიც ერთად შედიოდნენ.

* * *

...და აი თამარმა დაამთავრა ინსტიტუტი და მშობლიურ სოფელს მასწავლებლად დაუბრუნდა.

ყურები დაეკვიტეს იმათ, ვინც წარსულს ჯერაც ვერ შელევია. წინანდელზე უფრო

მკაცრად უბარებდნენ ცოლებს, სახლიდან არსად გახვიდეთო. ზოგიერთებმა გოგონებო არ გაუშვეს ღორჯომის სკოლაში, სადაც თამარი მასწავლებლობდა.

ახალგაზრდა მასწავლებელი იბრძვის უმეცრებისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ყველა საშუალებით, რაც კი მას გააჩნია. მიუღ თაგის დროსა და ძალღონეს აღსაზრდელებზე ფიქრსა და ზრუნვას ანდომებს.

* * *

...მეშვიდე კლასში ალგებრის გაკვეთილია. უცხო პირის დასწრება გაკვეთილზე ყველა ბავშვისათვის ცნობისმოყვარეობის საბაბია... თითქოს ვერ ვამჩნევთ ჩვენცენ გამოპარებულ მზერას.

დაფასთანაა მოხდენილი ბიჭუნა მიშა ბერიძე. ზედვე ეტყობა, რომ პირველი მოწაფეა. ის ჩინებულად განმარტავს გავლილ მასალას — ფესვების ამოღების ცნებას.

მასწავლებელი იწყებს გამოკითხვას. გოგონები უფრო სუსტად უპასუხებენ. წინ მსხდომი ბიჭუნების რამდენიმე შეპარსული კეფა წამით გვერდიგვერდ აღმოჩნდა. უეცრად, ისინი ჩურჩულებენ იმაზე, რომ გოგონები მასწავლებელს უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ... ჩანს, იგი უყვართ ბავშვებს.

თამარმა შეამჩნია, რომ ერთ-ერთი გოგონა — ნაზი ირემიძე პასუხს ალაღბედზე იძლეოდა. დაფასთან გაიძახა იგი და, ვინ იცის, მერამდენეჯერ მოთმინებით აუხსნა ის, რაშიც ბავშვი ვერ ერკვეოდა.

გოგონა უხერხულად იშშუშნებოდა, წითლდებოდა. რაღაც იყო მასში არაბავშვური. მისი წითელი პიონერული ყელსახვევისათვის შეუფერებელი. ჩვენ უცებ ვერ მივხვდით რაში იყო საქმე. და ბოლოს... როგორ ამახინჯებს ცამეტი წლის გოგოს კოჭებამდე ჩაფართუნებული ტომარასავით გრძელი კაბა!

— ვერაფრით მივალწიეთ იმას, რომ გოგონებმა სკოლაში ფორმის ტანსაცმლით იარონ. — გვითხრა შემდეგ თამარმა. — ბიჭები უფრო ოღონად დავიყოლე. მაგრამ უნდა გენახათ, როგორი მოვიდნენ ჩემთან სასწავლო წლის დასაწყისში — უფროსების ძველ ქუთრუკებში, თმადუფარცხენლნი... კლასში ქუდებით ისხდნენ. მკაცრი ზომების მიღება დამჭირდა. მშობლებთან დავაბარე ყოველ მიზეზს გარეშე ეყიდათ მათთვის ფორმები, ბიჭებს თმა გადაეპარათ, გოგონებს დაეწნათ და სკოლაში უჩადროდ გამოცხადებულიყვნენ, ყველა პიონერს ეტარებინა ყელსახვევი.

თავდაპირველად სკოლას ბევრი მოსწავლე აცდენდა. ღირეჭტორმა საყვედურიც მიიღო. ჩვენ იმას ვცდილობთ, ბავშვები არ განითხვონ, შენ კი დააფრთხე მოსწავლეებიც და მათი მშობლებიცო.

მაშინ ღირეჭტორს ვუპასუხე, რომ ჩემი აზრით, ის მართალი არ არის. აღზრდის საუკეთესო საშუალება წესრიგის დაცვის სამართლიანი მოთხოვნაა. ამ დებულებას იცავდა და იცავს საბჭოთა სკოლა-მეტი. ცხოვრებამ ცხადყო, რომ მართალი ვიყავი. ცოტა ხნის შემდეგ ყველა მოსწავლე სკოლაში დაბრუნდა. მერე ღირეჭტორიც მხარში ამომიდგა და კომკავშირელ მასწავლებელთა კრებაზე პირველმა დამასახელა კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად.

უფრო გაჭირდა საქმე გოგონებთან. ფორმები სასოფლო მაღაზიებში არ იშოვება. მე შევთავაზე შეეძინათ ქსოვილი და დაეპირდი, რომ კაბების შეკერვაში დავეხმარებოდი. დიდი ბრძოლა გადამხდა ჩადრის გამოც. სკოლაში ბავშვები ბავშვებს გავდნენ, ქუჩაში კი — ხან ერთს, ხან მეორეს ჩადრში გახვეულს ვხედავდი. ერთხელ ნაზი ირემიძეს შევხვდი, აი იმას, დღეს რომ გამოვკითხე. გული მეტკინა. ჩამოვვლიჯე სახიდან რიდე, პირდაპირ თვალებში შევაქეპრდი და ვუთხარი, თუ გინდა ისე იცხოვრო, როგორც ბებიაშენი და ბებიის დედა ცხოვრობდნენ, მაშინ ატარე ჩადრი-მეტი, მეორე დღით, ვხედავ, ნაზი სკოლის კარებთან დგას და მელოდება. სახელოში ჩამავლო ხელი და მორცხვად მითხრა:

— პატივცემულო მასწავლებელო, ჩადრს აწი აღარ ვატარებ.

მას შემდეგ თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა მასში. გრძელი კაბით რომ დადიხარ, საც კი რტყვნიო. ნაზის პირველ რიგში სჭირდება სასკოლო ფორმა.

ასე გულწრფელად ვესაუბრეთ დიდხანს თამარს. შუა ოთახში (იმ ოთახში, სადაც წინათ მასწავლებელი თამარ სალუქვაძე ცხოვრობდა) გიზგიზებდა თუნუქის ღუმელი. კარებთან სექვზე ჩამოძვარი ოდნავ თვლებდა ახმელი იგი დაიღალა, მაგრამ მაინც არ მიდიოდა, ყველაფერი აინტერესებდა.

ახმელი დიდად ამაყობს თავისი ქალიშვილით. და მართლაც საამაყო ქალიშვილი ჰყავს ახმელ ვანაძეს.

მან ბევრი რამ გვიამბო თავის წინაპრებზე, საკუთარ თავსა და შვილებზე. ვაჟიშვილი ონისეც ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს. ოჯახში ორი მასწავლებელი იქნება.

— მასწავლებელი — ეს სინათლეა, — მშობლიური სიამაყით ამბობს ახმელი.

— ახლა მამას იმის გახსენებაც არ უნდა, ოდესღაც კინალამ რომ შეუშალა ხელი ამ „სინათლეს“ ენათებიან... — ღიმილით ჩაგვჩურჩულა თამარმა.


ახმელი ყურადღებით უსმენს ჩვენს საუბარს. მას ნამდვილად არ უნდა ჩვენ გავიგოთ იმ შავზნელ დღეებზე, რომლებსაც ის, ალბათ, სინარულით ამოშლიდა თავისი წარსულიდან. ჩვენც, თუმცა ყველაფერი ვიცოდით, მოხუცისათვის არაფერი შეგვიმჩნევინებინა.

ბოლოს მან ბოდიში მოიხადა, ძილი ნებისა გვისურვა და წავიდა. ჩვენ კი დიდხანს არ დავწოლილვართ.

— ალბათ, თქვენთვის, კალმონებისათვის, უფრო საინტერესო იყო გავეგოთ ჩვენი სოფლის წარმატებები. — გვითხრა თამარმა. — ეს წარმატებები ყველასათვის ნათელია. ბევრი რამ გვაქვს საამაყო, მაგრამ ამასთან, ჩემი აზრით, თვალი არ უნდა ავარიდოთ ნაკლოვანებებს. დაწერეთ იმაზეც, რაც გვიშლის ხელს ვიცხოვროთ ახლებურად. უნდა გამოვტყდეთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიცენებთ ხალხის საკეთილდღეოდ იმას, რასაც საბჭოთა სახელმწიფო გვაძლევს. აი, ჩვენთანაც, სახლში რამდენი რამაა შემორჩენილი ძველი ყოფიდან. თუნდაც ეს სექვა, მაგრამ სად ვიყიდოთ ამ მოშორებულ სოფელში ავეჯი? ანდა შენიშნეთ თუ არა, სხეფევი რომ თქვენთან არ გამოვიდა, თუმცა მამაჩემმა, თუ გახსოვთ, გითხრათ, ჩემი ცოლი გამოვა სტუმრებთანო.

დიახ, სხეფევი არ გამოსულა. უდავოა, რომ ახმელიც და თამარიც დიდხანს არააშენებდნენ, უხერხულია, სტუმრებს უნდა შეეგებოთ, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. სხეფევის ჯაამისოდ ძალა არ ეყო...

ჩვენ კარგად გვესმოდა თამარის. იგი გრძნობს, რა ძნელია სხეფევისათვის გადალახოს ის ზღუდე, რომლითაც ცხოვრებისაგან გამიჯნულია. თამარმა თვითონ გააკეთა ეს და ახლა ცდილობს სხვას დაეხმაროს.



კავშირის

საზოგადოებრივი კავშირის დინამიკის შესახებ

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი გზები დაუხატა კულტურის განვითარებას, კერძოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა პროგრესულ საზოგადოებრივ ლიტერატურაზე.

ოქტომბრის რევოლუციასთან განუყოფლად დაკავშირებული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი. ვ. ი. ლენინის იდეებმა მილიონობით მშრომელ ადამიანს ჩაუთვალა გამარჯვების, უკეთესი მშრომის ურყევი რწმენა. თავის ნარკვევებში „ლენინი“ იულის ფუჩიკს მოჰყავს მაგალითი საზოგადოების ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მთელი მწყემსისა, რომელსაც სმენოდა ლენინის სახელი და მას აღარებდა ხალხურ გმირს იანოშკის, რომელიც „მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა“. ფუჩიკისა არ იყოს, ლენინის სახელს ჯერ მილიონობით ადამიანი უნდა გაცნობოდა, სანამ იგი მიაღწევდა სლოვაკიის მივარდნილ მთის საძოვრებამდე.

* * *


ლენინის სახელმა თავიდანვე მიიპყრო საზოგადოებრივ მწერალთა ყურადღე-

ბა, მაგრამ იგი მათთვის განსაკუთრებით ცნობილი და ახლობელი გახდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

პირველი საზოგადოებრივი მწერალი, რომელმაც დასაველეს მოუთხორო სიმართლე დიდ ოქტომბრის რევოლუციაზე და გააცნო მას რევოლუციის გენიალური ბელადი ლენინი, იყო ცნობილი ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტი ჯონ რიდი.

„ათი დღე, რამაც შეძრა ქვეყანა“ — ჯონ რიდის ეს წიგნი იყო პირველი მართალი სიტყვა ოქტომბრის რევოლუციისა და ლენინზე.

ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში ჯონ რიდი პეტროგრადში იმყოფებოდა და გულმოდგინედ აღევნებდა თვალყურს ბოლშევიკების, ლენინის საქმიანობას. იგი დაესწრო საბჭოების II ყრილობას, სადაც სიტყვით გამოვიდა ლენინი, და მოგვცა მისი შესანიშნავი პორტრეტი. „ზუსტად 8 საათი და 40 წუთი იყო, როცა მისასალმებელი შეძახილების მქუხარე ტალღამ და, ტაშის ცემაში გვამცნო პრეზიდენტის წევრების და მათ შორის ლე-



ნინის, დიდი ლენინის გამოჩენა. დაბალ-დაბალი, ჩაფსკენილი ფიგურა მკიდროდ ჩამჯდარი დიდი მელიოტი თავით და ფართო შუბლით, პატარა თვალები, დიდი ცხვირი, ფართო კეთილშობილური პირი, მასიური ნიკაბი, სახეშეპარსული, წამო-ზრდილი წვერით, რომელიც ასე ცნობილია წარსულში და მომავალშიც; გაცრე-ცილი კოსტიუმი, სიმაღლესთან შედარე-ბით რამდენადმე გრძელი შარვალი. არა-ფერი არ აცხია ისეთი, რაც მოგვაგონებ-დეს ხალხისათვის სათაყვანებელ ადამიანს, უბრალო, ისედაც საყვარელი და პატივ-დებული, რაც წილად ხვდომია ისტორი-აში მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ბე-ლადს. არაჩვეულებრივი სახალხო ბელა-დი, ბელადი მხოლოდ თავისი ინტელექ-ტის წყალობით, ყოველგვარი მანქანა-გრე-ხის გარეშე, ბელადი, რომელიც არ ემო-ნება განწყობილებებს, არის მტკიცე და ურყევი, გარეგნულ ეფექტურობას მოკ-ლებული. მაგრამ იგი ფლობს საოცარ უნარს უბრალო სიტყვებით ახსნას ურ-თულესი იდეებიც კი, გონების გამჭრიახი მოქნილობითა და შემართებლური გა-ბედულებების შერწყმით მოგვცეს კონკრე-ტული ვითარების ღრმა ანალიზი“.

ჯონ რიდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლენინში თავი მოუყრია ახალი ადამიან-ის — ბოლშევიკის ყველა დამახასიათე-ბელ თვისებას. იგი აღტაცებულია იმით, რომ ლენინმა არ იცის რა არის მერყეობა. ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი, როცა იძულებული იყო ბრძოლა ეწარმოებინა არა მარტო საერთო მტრის, არამედ ზო-გიერთი ყოფილი თანამზრახველის წინა-აღმდეგაც, ლენინი არ შემდრკალა და მტკიცედ დაადგა რევოლუციის მღევა-მოსილი დამთავრების კურსს. ჯონ რიდი აღნიშნავს, რომ ლენინის მდიდარი ინტე-ლექტი, მისი რეინისებური ნებისყოფა განსაკუთრებით იჩენდა თავს ოქტომბრის რევოლუციის ყველაზე გადამწყვეტ ეტა-პზე. ლენინი მკიდროდ იყო დაკავშირე-ბული მასებთან, კარგად ესმოდა მათი და მასებიც კარგად უგებდნენ მას. ჯონ რი-დის აზრით, ლენინი არა მარტო ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მასებზე, არამედ

კიდევაც სწავლობდა მათგან. სწორედ ამა-ში უნდა მდგომარეობდეს მასობრივი ლე-ნინის მკიდრო კავშირის საწინდარიო, და-ასკენიდა ამერიკელი მწერალი.

ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ჯონ რიდი არაერთხელ შეხვედრია ლე-ნინს. 1917 წლის 13 ნოემბერს ლენინმა მას გადასცა მოკლე მიმართვა მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროლეტა-რიატისადმი, რომელიც დაიბეჭდა 1917 წლის 22 ნოემბერს ამერიკულ სოციალი-სტურ გაზეთში „ნიუ-იორკ კოლ“. ჯონ რიდის მეოხებითვე ამერიკელი მუშები გაეცნენ აგრეთვე ლენინის ცნობილ სტა-ტიას „წერილი ამერიკელ მუშებს“.

1919 წელს ჯონ რიდი კვლავ დაბრუნ-და რუსეთში და ლენინის ხშირი სტუმარი იყო. მისი ბიოგრაფის გრენვილ ჰიქსის გადმოცემით, „ლენინი მუდამ მოხარული იყო მისი ნახვისა და არა მარტო იმიტომ, რომ აინტერესებდა შეერთებული შტა-ტების მდგომარეობა, არამედ იმიტომაც, რომ მოსწონდა ახალგაზრდა ამერიკელის ცოცხალი ხასიათი. ლენინმა დაბეჯითებით ურჩია რიდს დასახლებულიყო მუშათა რაიონში და არწმუნებდა, რომ ეს რუსე-ბის შესწავლის, რუსეთის გაგების საუ-კეთესო საშუალებაა“.

ჯონ რიდს განზრახული ჰქონდა ეთარ-გმნა ლენინის თხზულებანი და შეუდგა კიდევაც მისი ნაშრომის „ემმარცხენეო-ბის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ თარგმანს ინგლისურ ენაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რე-ვოლუციის მართებული გაგება, ლენინი-სადმი ღრმა პატივისცემა ჯონ რიდთან ანათესავებს გამოჩენილ ამერიკელ მწე-რალს თეოდორ დრაიზერს. „მისი სსოვნა არა მარტო წმინდაა, არამედ ცხოვრები-სეულად აუცილებელია მთელი მეზობ-ლი მსოფლიოსათვის“, — წერდა ლენინის შესახებ დრაიზერი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში იგი გვიჩვენებს, თუ რა სიძნელეებს წააწყდა ლენინი ახალ სსოციალიზმის შექმნისათვის ბრძოლაში.

1927 წელს საბჭოთა კავშირში ყოფნის

დროს დრაიზერი ეცნობოდა ლენინის ნაწარმოებს. შემდეგ მან ხელი მოჰკიდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შესწავლას, რამაც იგი აიძულა გადაესინჯა თავისი ძველი შეხედულებანი. დრაიზერი მოუწოდებდა ამერიკის ახალგაზრდობას შეესწავლა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება. „ახალგაზრდებო, თქვენ უნდა იკითხოთ მარქსი და ლენინი და დაეუფლოთ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას“, წერდა იგი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის შთაბეჭდილებები დრაიზერმა გადმოგვცა თავის წიგნში „დრაიზერი უცქერის რუსეთს“. ამ წიგნში იგი აღტაცებით ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყნის მიღწევებზე და აქარწყლებს მტრების მონაწილს ნების შესახებ: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც შემოიღო ლენინმა, არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა უკანდახევა კაპიტალიზმის შემოტევის წინაშე, პირიქით, მის წინააღმდეგ ეკონომიური ბრძოლის ნამდვილი დასაწყისი იყო. იგი წარმოადგენდა ახალ იარაღს ახალი მიზნებისათვის“. დრაიზერი ასე ამთავრებს თავის წიგნს: „მშვიდად იძინე, ილიჩ“.

განსაკუთრებით საგულისხმოა დრაიზერის ნარკვევი „ლენინი“, რომელიც დაიწერა 1940 წლის აპრილში. იგი გამოირჩევა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმა გაგებით. დრაიზერი ამ ნარკვევში აღნიშნავს, თუ როგორ უყვარს საბჭოთა ადამიანებს თავისი ბელადი ლენინი, როგორ დიდ პატივს სცემენ მის ხსოვნას, როგორ ერთგულად ახორციელებენ მის იდეებს: „რუსი ხალხი, რომელიც გაათავისუფლა ლენინმა, არასოდეს არ დაუშვებს, რომ იგი ისევ დაიბნონ. იგი იბრძოლებს ლენინის სულისკვეთებით გამსჭვალული. ამ ბრძოლის ბოლო არ მეექვსება. ლენინი, მისი საბჭოთა სახელმწიფო გაიმარჯვებს“.

ასე ღრმად სწამდა დიდ ამერიკელ მწერალს ლენინისა და ლენინიზმის ძლიერი მოსილი იდეებისა.

* * *

გამოჩენილი ფრანგი მწერალი რომენ როლანი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გაცნობოდა ვ. ი. ლენინს. ამ დროს

სვე გაცნობია იგი ლენინის ზოგიერთ ნაწარმოებს, მაგრამ ლენინის იდეები ბოლომდე ვერ გაუგია. ლენინი იმ დროს შვეიცარიაში იმყოფებოდა. შვეიცარიაშივე შეაფარა თავი იმპერიალისტურ ომს რომენ როლანმა. რუსეთში გამოგზავრებისას ლენინმა წინადადება მისცა მას თან გაჰყოლოდა. ბერნიდან ქენევაში გილბოს სახელზე გაგზავნილ დეკლარაციაში ლენინი წერდა: „ჩამოიყვანეთ რომენ როლანი, თუ კი იგი პრინციპში თანახმაა“.

რომენ როლანი დიდი გულსყურით ადევნებდა თვალყურს უკვე რუსეთში ჩამოსული ლენინის რევოლუციურ საქმიანობას. იგი ლენინს „მთელი რევოლუციური მოძრაობის ტენის“ ეძახდა. დიდი პუშკინისტი მწერალი თავგამოდებით იცავდა ლენინს ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთისა და საერთაშორისო რეაქციის ცილისწამებისაგან. 1917 წლის 20 ნოემბერს რომენ როლანმა თავის დღიურში ჩაწერა, რომ ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ ძალუფლებას, ხოლო ლენინი და ლენინარსკი (რომელთანაც რომენ როლანი მეგობრობდა) სახალხო კომისრები გახდნენ.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რომენ როლანი სერიოზულად შეუდგა ლენინის შრომების შესწავლას და მათი ზეგავლენით გაამოიშვება რეალიზმის ახალი პროგრამა, რომელიც ახლო დგას სოციალისტური რეალიზმის მეთოდთან.

რ. როლანი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს მისი თანამედროვეობის ყველაზე დიდ ადამიანზე: „მე უდიდეს მნიშვნელობას ეანიჭებ გამოჩენილ პიროვნებებს და დიდად ვარ აღტაცებული ლენინის პიროვნებით. მე არ შეგულება უფრო მძლავრი პიროვნება თანამედროვე ევროპაში“, — წერდა იგი.

ლენინმა, როგორც პიროვნებამ და როგორც მასების ბელადმა, დიდმა მეცნიერმა და ფართო ერუდიციის ადამიანმა, გარკვეული ზეგავლენა იქონია XX საუკუნის გამოჩენილ ფრანგ მწერალ ანატოლ ფრანსზეც. ლენინი გულსყურით ადევნებდა თვალს ანატოლ ფრანსის სამწერ-

ლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და დიდად აფასებდა მას. ანატოლ ფრანსის ამბავობდა ლენინის ასეთი მაღალი შეფასებით. იგი აღტაცებული იყო ლენინის დაუშრეტელი ენერგიითა და ფოლადისებური ნებისყოფით. ფრანსი ლენინს თვლიდა „რუსეთის უდიდეს ადამიანად პეტრე დიდის შემდეგ“. „მე მუდამ აღტაცებული ვიყავი ლენინით“, წერდა ფრანსი თავის მეგობარ პიერ კალმეტს 1920 წლის 23 იანვარს. დანიის გაზეთ „პოლიტიკანის“ სტოკჰოლმელ კორესპონდენტს მან განუცხადა: „მე დიდ პატივს ვცემ ლენინს. იგი კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღვწის“.

1919 წელს პარიზში შეიქმნა დასავლეთ ევროპის პროგრესულ მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „კლარტე“, რომელშიც შევიდნენ ა. ფრანსი, რ. როლანი, პ. ვაიან-კუტიურიე, ო. პარდი, პ. უელსი და სხვ. ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ფრანგი კომუნისტი მწერალი ანრი ბარბიუსი. ავადმყოფი ლენინი მხურვალედ მიესალმა მას და უსურვა წარმატებანი.

1935 წელს მოსკოვში ყოფნისას ანრი ბარბიუსი წერს ლენინის მიერ მშობლებისათვის გაგზავნილი წერილების ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობას, რომელშიც იძლევა ლენინის დასამახსოვრებელ სახეს. ეს წინასიტყვაობა შედგება რამდენიმე თავისაგან: „ლენინი“, „პროფესიონალი რევოლუციონერი“, „პოლიტიკური მოღვაწე“, „ლენინი — თეორეტიკოსი“, „ლენინი — ფილოსოფოსი“. ანრი ბარბიუსი ყველგან ხაზს უსვამს იმ დიდ როლს, რაც რუსეთში შეასრულა ლენინმა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში მისი პირველი ნაბიჯებიდან რევოლუციის ძლევამოსილ დაგვირგვინებამდე. ლენინი „მუდამ რჩებოდა რევოლუციის ნამდვილ ხელმძღვანელად, სულისჩამდგმელად და ორგანიზატორად, რევოლუციისა, რომელმაც სახე უცვალა მსოფლიო ისტორიას 1917 წლის ოქტომბრიდან“, — წერდა ა. ბარბიუსი.

ანრი ბარბიუსს ლენინი აინტერესებდა არა მარტო როგორც დიდი რევოლუცი-

ონერი, თეორეტიკოსი და ჩაგრულადმი ანთა ბელადი, არამედ როგორც ადამიანიც, რომლის ცხოვრება, მისი სიტყვით, წარმოადგენს „ხვალისდელი დღის სოციალისტური ადამიანის დიდებულ მაგალიტს“.

* * *

დიდი გამოძახილი პოვა ოქტომბრის რევოლუციამ ინგლისში, სადაც ლენინს იღებმა, მისმა პირველებმა თავიდანვე მიიქცია ინგლისელ მწერალთა ყურადღება. ოქტომბრის პირველსავე დღეებში რეალისტმა მწერალმა ქალმა ოლივია შრეინერმა მაღალი შეფასება მისცა ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას: „ქარლ მარქსს თუ არ ჩავთვლით, ლენინზე უფრო დიდი გენია უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში არ გამოჩენილა“, — წერდა იგი.

1920 წელს პეტროგრადსა და მოსკოვში ხანმოკლე მოგზაურობის დროს გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი კრემლში მიიღო ლენინმა და მასთან გულითადი საუბარი ჰქონდა. თავის წიგნში „რუსეთი წყვდიადში“ უელსი მოგვითხრობს ლენინთან საუბარზე და ეს საქვეყნოდ ცნობილი ფანტასტიკოს მწერალიც კი გოელროს გეგმას უნერხეშლო ფანტაზიად თვლის: „მე პირადად არ შემძლია ასეთი რამ წარმოვიდგინო. მაგრამ კრემლში მყოფ ამ დაბალ კაცს შეძლება. იგი ხედავს დანგრეული რკინიგზები როგორ შეიცვლებიან ელექტრული გზებით. ხედავს, თუ როგორ დაიქსელდება მთელი ქვეყანა ასეთი გზებით და როგორ განვითარდება ახალი კომუნისტური მრეწველობა. იგი ისე აღგზნებით ლაპარაკობდა, რომ სანამ ვუსმენდი, თითქმის დავიჯერე ამის შესაძლებლობა“.

რამდენიმე წლის შემდეგ უელსი ისევ ეწვია საბჭოთა კავშირს და იძულებული გახდა ელიარებინა ლენინის — ამ „კრემლის მეოცნების“ გაბედულ გეგმათა რეალუბა. იგი აღტაცებული დარჩა ლენინის შეუდრეკლობით, ნებისყოფის სიმტკიცითა და თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლის ღრმა რწმენით. „ლენინის წყალობით ჩემთვის ნათელი გახდა, რომ კომუ-

ნიშნები შეიძლება იყოს შემოქმედებითი, ქმედითი ძალა“, — წერდა ჰერბერტ უელსი.

დიდად აღტაცებული იყო ლენინი XX საუკუნის უდიდესი ინგლისელი მწერალი-დრამატურგი ბერნარდ შოუს. მან ლენინს პირადად გაუგზავნა თავისი წიგნი „უკან მაფუსილისაკენ“ შემდეგი საბანსოვრო წარწერით:

„ნიკოლოზ ლენინს,

რომელსაც ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ერთადერთს აქვს ასეთ პასუხსავე პოსტზე მყოფი ადამიანისათვის აუცილებელი ნიჭი, ხასიათი და ცოდნა.

ბერნარდ შოუსავან.

1920 წლის 16 ივნისი“.

ბერნარდ შოუმ იცოდა, რომ „მომავალი ლენინთანაა“, რომ „ლენინი ამ საუკუნის დიდი გონება, სული და გულია“. 1921 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „საბჭოთა რუსეთის საშინელებანი“, ამხილვდა რა ბურჟუაზიული პრესის მოწაპორებს რუსეთის „საშინელებათა“ შესახებ. შოუ წერდა: „მოცემულ ვითარებაში მართლაც არის ერთადერთი საინტერესო სახელმწიფო მოღვაწე ევროპისა. მისი სახელია ლენინი“.

* * *

ლენინის სახელი ასევე ძვირფასი იყო ყველა ქვეყნის მოწინავე მწერლებისთვისაც.

ცნობილი გერმანელი მწერალი ჰაინრიხ მაინი სტატიაში „ხუთი წელი ლენინის გარდაცვალებიდან“ წერდა, რომ რუსეთის რევოლუციას დიდი ბედნიერება ჰქონდა წილად იმით, რომ მას ჰყავდა ყველას მიერ აღიარებული გმირი ბელადი. შემდეგ იგი აღნიშნავდა, რომ სხვა რევოლუციათა ბელადებზე თავიანთ წინამორბედთა ფიზიკური მოსპობით იმარჯვებდნენ, ხოლო ლენინი „დასაწყისი იყო და ამიტომაც დაუმარცხებელი“. სტატიაში „პასუხი რუსეთში“ პ. მაინი წერდა, რომ ლენინს „ადამიანები ისე უყვარდა, როგორც თავისი საქმე, და ამიტომაც იღვწოდა როგორც დიდი ადამიანი“. „ლენინ-

მა თავისი ხალხი ბედნიერი გახადა“, დაასკენდა მწერალი.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, 1917 წლის 8 ნოემბერს, გამოჩენილმა დანიელმა პროლეტარულმა მწერალმა მარტინ ანდერსენ ნექსემ თავისი და ამხანაგების სახელით ლენინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც იგი მხურვალე სიყვარულითა და დიდი ენთუზიზმით მიესალმა „რუსეთის გამარჯვებულ პროლეტარატს“.

1922 წელს ნექსე ჩამოდის საბჭოთა რუსეთში და წერს საბჭოთა სინამდვილისადმი მიძღვნილ პუბლიცისტურ წიგნს „ახალგაზრდა დღის შესახებ“. „რუსი ხალხის წინაშე სიტყვებით გამოუთქმელი მადლობისა და პატივისცემის გრძნობით გავუშურე „ლენინის ქვეყანაში“, — წერდა მარტინ ანდერსენ ნექსე ამ წიგნში. დიდი მღელვარებით იგონებს იგი ლენინთან შეხვედრას კრემლში კომინტერნის კონგრესზე. „ჩვენ, კომინტერნის მონაწილეებს, რომლებმაც თავი მოვიყარეთ დედამიწის ყველა მხრიდან, — გერმანელ და სკანდინავიელ მუშებს, ზანგებს, ეგვიპტელ ფელაქებს და ინდოელ ყულებს — ყველას გვჯეროდა ახალი სამყაროსი და ლენინისა. ლენინის სიტყვებში ჩვენს წინაშე წარმოსდგა კაცობრიობის ისტორია, კაცობრიობის კულტურის ისტორია“.

ლენინის, კომუნისტების საქმის სიყვარულითა შთაგონებული ჩეხი პროლეტარული მწერლის ივან ოლბრახტის წიგნი „ჩემი მოგონებანი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე“. ოლბრახტს ლენინი პირველად უნახავს 1920 წლის 16 მარტს მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც მიმდინარეობდა სამგლოვიარო სხდომა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვის ხსოვნის აღსანიშნავად.

„ეს შთაბეჭდილება არასოდეს არ დამავიწყდება“.

სხდომის გახსნამდე გვერდითი კულისიდან სცენაზე გამოვიდა ლენინი. დაბალი, ფართო მხრებით, მუქი ქერა-წითური წვერით, ჭელოტი თავით, არც ისე მაღალი, მაგრამ ძალზე ამობურცული, წინ წამოწეული შუბლით, რომელიც თი-

თქვას მზადაა ყველაფერი შეღწეოს, რაც კი წინ დახედება გზაზე, — იგონებს ოლბრახტი.

ჩები მწერალი ლენინს მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ადამიანად თვლიდა და „ისტორიაში უდიდეს ხუროთმოძღვარს“ უწოდებდა.

საბჭოების ქვეყანაში ყოფნისას ოლბრახტი არაერთხელ უნახავს და მოუსმენია ლენინსათვის. იგი აგვიწერს უბრალო დეტალს, რომელშიც თავი იჩინა ლენინის უაღრესად დიდმა ადამიანურობამ, უბრალოებამ. როგორც კი ლენინს გაუგია, რომ ჩები მუშების დელეგაციის წევრს ოლბრახტს ასანთი ვერ უშვია, თავისი ჯიბიდან ამოუღია ასანთი და გაუშვანია ოლბრახტისათვის. ოლბრახტი თურმე დიდხანს ინახავდა მისთვის ამ ძვირფას რელიქვიას.

ჩები ხალხის სახალხო გმირი, ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი იულიუს ფუჩიკი მუდამ ცდილობდა ყოველმხრივ გაეცნო ჩეხოსლოვაკიელი ხალხისათვის საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ბელადი ლენინი, შეექმნა მისი მხატვრული სახე. ნარკვევში „ლენინი“ ფუჩიკი ხაზს უსვამს ლენინის გასაოცარ გამჭირავებლობას, მის მოფიქრებულ, შეუცდომელ ნაბიჯებს. მაგრამ საიდან ჰქონდა ლენინს ასეთი მტკიცე, ურყევი რწმენა? „მარქსიზმიდან, რომელსაც იგი დაეუფლა, როცა სტუდენტი, როცა ჯერ კიდევ უცნობი პიროვნება იყო და როცა, ერთი სიტყვით, არ იყო ის სახელი, რომელსაც ამჟამად მთელი მსოფლიო იცნობს“, უბასუხებს ამ კითხვას იულიუს ფუჩიკი.

ფუჩიკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლენინის მოღვაწეობა მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარებაა. იგი ლა-

პარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდობლად ებრძოდა ლენინი ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, პარტიის მერყევ ელემენტებს. ფუჩიკი აღნიშნავს, რომ ლენინის სიკვდილმა მილიონობით ადამიანი დაამწუხრა, მუშათა კლასის მტრები კი გახარებული შეჰყურებდნენ დაობლებულ საბჭოთა კავშირს და ფიქრობდნენ, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი დაინგროვდა. „მაგრამ იქ, საბჭოთა ქვეყანაში, — წერდა ფუჩიკი, — გადმოისროლეს ლოზუნგი, რომელიც სრულებითაც არ ჰგავდა მგლოვიარე ლოზუნგს:

„ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი ცოცხლობს“.

მსოფლიოს ყველა ხალხის, ყველა მშრომელი ადამიანის ფიქრები და პარტიის ცემა დიდი ლენინისადმი შესანიშნავად გამოხატა ინდოელმა მწერალმა კრიშან ჩანდარმა:

„ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება გამოჩნდეს ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი აზრობლივი ხედვით გადაწვდეს მრავალ თაობას და მრავალ ეპოქას, იზრომოს მრავალი ხალხის კეთილდღეობისათვის, იცხოვროს მათი გულისათვის და მათი ინტერესებისათვის, ბრძოლას შესწიროს თავისი სიცოცხლე. როცა ასეთი ადამიანი გამოჩნდება, კაცობრიობა მაშინვე მაღლდება, კლდესავით აღიმართება ეს ადამიანი ქვეყნიერებაზე, მეხვიით დაიქუხება, ელვასავით გაანათებს, მზის მსგავსად გაათბობს მას თავისი სხივებით. ისტორია გადაუშლის მას თავის საიდუმლოებას და თვით ბუნებაც მაღლიერებით მუხლს მოიდრეკს მის წინაშე.

ასეთი ადამიანი იყო ლენინი!“



სოლომონ ჩხაიძე

ჩამდენიმე სვკიქონის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

დღემდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ზეღნაწერები, რომელთაგან სამ საუკუნეზე აღრინდელი არც ერთი არ არის, ერთიმეორისაგან განსხვავდებიან პოემის ცალკეულ ადგილთა სხვადასხვანაირი წაკითხვით. ამის გამო უმეტესად, რომ პოემაში ზოგიერთი სტროფი, სტრიქონი შეცვლას, ახსნას საჭიროებს (ქვემოთ წარმოდგენილია, ჩვენი აზრით, საეჭვო, დაზიანებული სტრიქონები „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან).

1. პოემაში ავთანდილის შესახებ ნათქვამია:

თვენი ესხნეს ორანილა, ამაღ
სულთქვამს, ამაღ იშობს (485).

„იშობს“ ნაწარმოებია იშ-ისაგან (სიხარულის გამოხატველი შორისდებული, ნახე: 334, 1206) და შეესაბამება წინამდგომ „სულთქვამს“ ზმნას. რუსთველური იქნებოდა, რომ „სულთქმის“ შემდეგ მოდიოდეს მეორე, აზრის უფრო გამაძლიერებელი სინონიმური სიტყვა.

„ვეფხისტყაოსანში“ „სულთქვამს“ ზმნასთან კანონზომიერად გამოყენებულია მასთან ახლო მდგომი აზრობლივი შესატყვისობანი: ატირდა, დაბნდა და უშ-ნა. მოსალოდნელია: ამაღ სულთქვამს, ამაღ უშობს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, რითმა

ირღვევა. ვფიქრობთ, ამ ადგილს სწორად კითხულობს XVII საუკუნის სამოცდაათიანი წლების „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ვრცელი ზეღნაწერი... „ამად სულთქვამს, არა იშობს“ (№ 757).¹ აქ დადებითი შინაარსის აღმნიშვნელ სიტყვას ერთვის უარყოფითი პარალელიზმი, რაც მკვეთრად გამოყოფს, ააშკარავებს მას და აღბეჭდილია რუსთველური ორიგინალობით.

2. ავთანდილისა და თინათინის შეხვედრისა და საუბრის შემდეგ რუსთველს აღწერილი აქვს მიჯნური რაინდის სატრფოსაგან განშორებით გამოწვეული მელანქოლიური გრძნობები. პოემაში ერთგან ვკითხულობთ:

ყმა მივიდა გულმოკლული, ცრემლი
ველთა მოედინა,

მარტ მისივე სიყვარული უარებდის
თვალთა წინა.

ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის,
ხელსა რადმცა დაეძინა (724).

1. „ვეფხისტყაოსანი“, ჩანართი და დანართი ტექსტებით, გამოცემა სოლომონ ყუბანეიშვილისა, აღ. ბარამიძის რედაქციით, 1956 წ., გვ. 262.

„ვეფხისტყაოსანში“ ცნობილია „რე-
ბა“, „წარება“ (წამაროს), შერება (შეე-
რა), მარები, სარებად, არება...
შორს უარებდეს სარანგნი, ხელთ

აქვს მათ აბჯარია (146)

ეს ნიშნავს — შორიდან უვლიდნენო
შეიარაღებული წესრიგის დამცველნი.

ზემოთ მოტანილი სტროფის მეორე
სტრიქონში „უარებდის“ მესამე ობიექ-
ტურ პირში უ-ნით ნაწარმოები ვნებითი
გვარის ზმნაა და აღნიშნავს უვლიდას
(შეადარე... თვალნი მთარა (192)—თვა-
ლი მთავლო). ზაზგასმულ სტრიქონში
ვლდებულობით — სიყვარული უვლიდა
თვალთა წინ. არა, ეს უაზრობაა. ცხადია,
რუსთველი დაწერდა: „მართ მისივე სა-
ყვარელი უარებდეს თვალთა წინა“ (შე-
ადარე: 140, 506, 725 სტროფები...), ე. ი.
ძილისა თუ ღაძინების წინ მიჯნურის სა-
ხება არ შორდებოდა რაინდს, შთაგონე-
ბულია მისით.

3. „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია ე. წ. ლი-
რიკული წილასვლა, სადაც რუსთველი
პირველი პირით გადმოგვცემს თავის გა-
წყობას ამა თუ იმ გმირისადმი, მოვლე-
ნისადმი, რაც შედარებით იშვიათია სხვა
ეპიკურ ძეგლებში. ავთანდილის თუ ავ-
თანდილისა და ფრიდონის შესახებაა ნა-
თქვამი ეს სტრიქონები:

მომკალ, ბაზარს სხვა მათებრი

ივაჭრონ რა, ან გაყიდონ (988).

შუა საუკუნეებისათვის ცნობილია და
განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეთა
საქართველოში კატასტროფული ვახდა
ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა. თუ ეს სტრიქო-
ნი რუსთველისაა, რაც საეჭვოდ მიგვაჩნია,
„ივაჭრონ“ აქ მაინც უაღვლიაო. „ვაჭრო-
ბა“ პოემით ხომ ყიდვასაც გულისხმობს
და გაყიდვასაც (შეადარე: 1079, 1062,
1067).

4. „ვეფხისტყაოსანში“ ძველი ქართუ-
ლი სიტყვიდან „სალუქი“, რაც „შემკო-
ბის მოყვარეს“ (საბა) ნიშნავს, ნაწარმო-
ებია „სასალუქო“, ე. ი. შემამკობელი.

ფატმანის შესახებ რუსთველი აღნი-
შნავს, რომ მას

ღია ელვა სასალუქო, დასაბურავ-
ჩასაცემელი (1074).

აქ მოსალოდნელია არა „ღია“ (შეცდო-
მალიან დიდად) ელვა, არამედ ღია ეც-
ვა||უა სასტუმრო, შემამკობელი ტანი-
სამოსიო.

5. შედარებით ვრცლად გვსურს შევე-
ხთ ერთ ცნობილ ადგილს „ვეფხისტყა-
ოსანში“, სადაც აშკარად დაზიანებული
სტროფი ჩანს.

ავთანდილი სახიფათო მოგზაურობიდან
დაბრუნდა არაბეთის სამეფოში. როსტე-
ვან მეფემ და სასახლის დიდებულებმა
ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს ჰერონ-
ხულ რაინდს, გასცეს მოწყალება, გაი-
მართა ნაღიმი. სასახლეში ავთანდილი
ჰყვება უცხო მოყმის ამბავს, ყველა მოხა-
რულია, რომ ტარიელის ვინაობა გაიცეს-
ამ ადგილას პოემაში იკითხება:

გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა
სმენითა,

მას დღე იხარებს სმითა და ჭამისა
არ მოწყენითა;

კვლა საწოლს დახვდა მის მზისა

მონა სიტყვითა ბრძენითა;

მისელა ებრძანა, — ეამა, თქმა არ
ეგების ენითა (692).

წარმოუდგენელია, რუსთველს დაეწე-
რა, რომ არაბეთის ხელმწიფე ქალი თი-
ნათინი ავთანდილის შინ დაბრუნების
დღეს ღვინის სმით ერთობოდაო. ცნობი-
ლია რუსთველური სტრიქონი „სმა-ჭამა-
დიდად შესარგო...“, მაგრამ აქ სიტუაცი-
ა, მოწყალების გაცემაზე, სიძულწისა და შე-
ნახვის უმეტესობაზეა მეტწილად საუ-
ბარი. „ვეფხისტყაოსანში“ სანადიმო-სა-
მხიარულო ეპიზოდები ბევრგანაა აღწე-
რილი, მაგრამ მასში ვერ ვნახავთ ვერც
ერთ ადგილს, სადაც რუსთველი საგანგე-
ზოდ მითითებდეს მხიარულების ღროს,
სხვათა შორის, „ჭამით არ მოწყენას“.
ცხადია, ეს უფრო საგონებელია ამ შეგ-
თხვევაში, როცა ილხენს არა მამაკაცი,
მოქიფე რაინდი, არამედ ქალი. ისიც
ისეთი ზნეფაქიზი, როგორიც თინათინია.

„ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი ფე-
რებითაა ნაჩვენები გულანშაროს სამეფოს
ვაჟართა წრე, ამ საზოგადოების უხუცე-
სი უსენი და მისი, თუმცა გულწრფელი,
მაგრამ მეტად მსუბუქი ყოფაქცევის მე-

ულღე ფატმანი. ფატმანს რომ ახასიათებს, რუსთველი შენიშნავს, რომ იგი არის „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი“ (1077). არა მარტო ფატმანი, არამედ საერთოდ დიდ ვაჭართა მეუღლენი (1127). ადამიანის დიდი მცოდნე რუსთველი დეტალურად მიგვანიშნებს გმირთა სხვადასხვაგვარ ბუნებას — თავისებურია მათი რიდე, მათი ფერი, თავისებურია მათთან შეხვედრა, გარისხება, მოწყენა, გაღიმება, სიარული, ხმა, საუბარი, ტანისამოსი, ლექსიცა, საქციელი, ხასიათი, მაგრამ ე. წ. ტიპოლოგიური გათანაბრებაც რომ შეინიშნებოდეს პოემაში, განა რუსთველი ერთგვარი ფერით შეამკობდა თინათინსა და ფატმანს?

ადვილი შესაძლებელია, ზემოთ მოტანილ საანალიზო სტროფში გადამწერთა უნებლიე შეცდომა იყოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ სტროფის მომდევნო აზრსაც. სახელდობრ ამ სტროფის მესამე სტრიქონში აღნიშნულია, რომ თინათინს „კვლა საწოლს დახვდა მის მზისა (ე. ი. ავთანდილის) მონა სიტყვითა ბრძენითა“. გამოდის, რომ ავთანდილმა თავისთან იხმო თინათინი, რაც ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ ყველა დანარჩენ ანალოგიურ ეპიზოდს. ჩვეულებრივად, პოემაში მიჯნური ქალი იხმობს თავისთან გამიჯნურებულ რაინდს და არა პირიქით.

ზოგიერთ ხელნაწერში დაზიანებული სტროფის მესამე სტრიქონი ასე იკითხება: „კვლა საწოლს დახვდა მას მზესა მუნცა სიტყვითა ბრძენითა“. ¹ ეს, რა თქმა უნდა, დამახინჯებაა. ამ სტრიქონის „მუნცა“ რომ „მონით“ შევასწოროთ, საქმეს მაინც არ შევლის. მონა კი დახვდა საძინებელ ოთახში თინათინს, მაგრამ ჩვეულებრივად მისი მოხმობის აღმნიშვნელი სტროფი, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში ყოველთვისაა ძირითად ტექსტში,

აქ არ ჩანს. ამის შედეგად იქმნება სწორეზი და კირს მოქმედების ბუნებრივი განვითარების შინაგანი აზრობლივი კანონზომიერების მოძებნა. გაუგებარია დაზიანებული სტროფის მეოთხე სტრიქონის როგორც პირველი ნაწილის — „მისვლა ებრძანა“ (ვის ებრძანა?), ისე მომდევნო მეორე ნაწილის — „ეამა, თქმა არ ეგების ენითა“ (ვის ეამა?) აზრი.

ისმება კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ ხსენებული სტროფის მესამე სტრიქონის პოეტური შესიტყვება „მის მზისა“?

ვფიქრობთ, სტრიქონში „კვლა საწოლს დახვდა მის მზისა მონა სიტყვითა ბრძენითა“ იგულისხმება ავთანდილი, რომელსაც საძინებელ ოთახში დახვდა „მის მზისა“ — თინათინის მონა, ე. ი. თინათინმა მიიხმო თავისთან ავთანდილი და არა პირიქით. ამის შემდეგ მეოთხე სტრიქონის აზრი გასაგები ხდება.

რომ მესამე სტრიქონში მართლაც ავთანდილი იგულისხმება, ამას ადასტურებს მომდევნო სტროფი, სადაც ნათქვამია „ყმა (ე. ი. ავთანდილი) წავიდა მხიარული“.

ერთი სიტყვით, დაზიანებულ სტროფში იგულისხმება არა თინათინი, რომელიც სატროფოს დაბრუნების დღეს „იხარებს სმითა და ჭამისა არ მოწყენითა“, არამედ ავთანდილი.

ავთანდილის დაბრუნებამ და ტარიელის ვინაობის გაგებამ გაახარა არაბეთის მეფე და დიდებულები. ავთანდილის სიხარული პოემაში ვაღმოცემულია ჯერ კიდევ იქ, სადაც აღწერილია მისი შეხვედრა დიდებულებთან თავის გამაგრებულ ციხექალაქში. ამბავი ისეა განვითარებული, რომ ძირითადია როდის შეხვედრა ავთანდილი თინათინს („მას ლომსა ნახე უხარის მის მზისა მოკამათისა“, 679). და აი ავთანდილი მივიდა სასახლეში, გაიმართა ნადიმი, რომლის შემდეგ როსტევეანმა დიდებულები სახლში არ გაუშვა. ისინი ავთანდილს ამკობენ, აქებენ.

მომდევნო სტროფში აღწერილია თინათინის მხიარულება ავთანდილთან ერთად. ერთი მომენტიდან მეორეზე ამგვარი გადასვლა სავსებით შეეფერება პო-

1 ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, ალ. ბარამიძის რედაქციით, 1956 წ., გვ. 25.

ემის სიუჟეტის გეგმაზომიერი განვითარების თავისებურებას.

განა შეიძლებოდა სახიფათო მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულ ავთანდილს, ისიც თინათინის პირდაპირ მყოფს, არ მოეღონა და ეს საგანგებოდ არ აღენიშნა პოეტს? გავისხენოთ რუსთველური აფორიზმი: „რა უამეა პირისპირ საყვარელი-სა ჳვრეტისა“. საგულისხმოა სხვა გარემოებაც.


„ვეფხისტყაოსნის“ სტროფი მეტწილად დასრულებულ აზრს გამოხატავს, მაგრამ იქ, სადაც პოეტი რამდენიმე სტროფში გადმოგვცემს ერთ ამბავს, ამას ზომიერად, მხატვრული ტაქტით აკეთებს ხოლმე. თუ საანალიზო სტროფს შეუღწოვრებელი სახით მივიღებთ, გამოდის შეუსაბამობა: წინა (691) სტროფში ამბავი ავთანდილს ეხება, მეორე მომდევნო სტროფში ორი დასაწყისი სტრიქონი, ვთქვათ, თინათინს, მესამე — ავთანდილს (1), ისიც ისე, რომ მისი სახელი ნახსენებიც არ არის. ეს დაუჯერებელია. ამგვარ კონკრე-

ტობას მოკლებული, გაუპირობებელი თხრობა რუსთველს არ ახასიათებს.

რაკი 692 სტროფი დაზიანებული ჩანს, რუსთველური მხატვრული მეტყველების თავისებურებების, პოემის პარალელური ტექსტის ჩვენების, ხსენებული ადგილის კონტექსტისა და ხელნაწერების (თუმცა ზოგან აქ შესაძლოა მეორე სტრიქონიდან თინათინი იგულისხმებოდეს) გათვალისწინებით შეიძლებოდა მიგვეღო ამგვარი წაკითხვა:

ავთანდილ მას დღე იხარებს
ლხენითა, არ მოწყენითა.

რა თქმა უნდა, სტრიქონის ამგვარი წაკითხვა სავარაუდოა. მთავარია ის, რომ სტროფი დაზიანებულია და საჭიროა იგი აუცილებლად შესწორდეს „ვეფხისტყაოსნის“ დაახლოებით ანალოგიურ ადგილებთან შეპირისპირებით, რუსთველური მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით ისე, რომ სტროფში, სტრიქონში, აზრობლივი სინათლე, შეერთებული განუმეორებელ მხატვრულობასთან, შენარჩუნებულ იქნეს.



იური სიხაულიძე

გზად აბუსეაჩისძის პინაოზის საკითხისათვის

XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალი ტბელ აბუსეაჩისძე, ან ძველი გამოთქმით, აბუსეაჩისძე ტბელი, აჭარის ერისთავთა სახლის შთამომავალი და მდინარე სხალთის სათავეების (ზემო აჭარა) მკვიდრი იყო. ჩვენამდე მოაღწია ამ მწერლის ორმა თხზულებამ, რომელთაგან ერთი რელიგიურ-ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია, ხოლო მეორე — კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი. ერთი-ცა და მეორეც შესანიშნავი ძეგლებია და უტყუვრად ადასტურებენ ავტორის დიდ განსწავლულობასა და ნიჭიერებას.

ტბელ აბუსეაჩისძემ და მისმა თხზულებებმა კარგა ხანია მიიპყრეს მეცნიერთა ყურადღება, ბევრი საინტერესო შეხედულება გამოითქვა მათზე, მაგრამ ეს მწერალი და მისი მემკვიდრეობა დღეს-დღეობით კიდევ არ არის შესწავლილი სათანადო სიღრმე-სისრულით. იმ მრავალ საკითხთან, რომელიც ტბელ აბუსეაჩისძეს უკავშირდება და სპეციალურ ძიებას ექვემდებარება, ეკუთვნის მწერლის ვინაობის საკითხი.

ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარი მას სასულიერო პირად თვლის, ზოგიც — საეროდ.

პირველი მეცნიერი, რომელიც ამ საკითხს შეეხო, აკად. მარი ბროსე იყო. მისი აზრით, ტბელ აბუსეაჩისძე სასულიერო პირი უნდა იყოს, რადგან იგი დიდი პატივისცემითაა გამსჭვალული რელიგიური საკითხებისადმი.

ამავე აზრს ავითარებდა აკად. კ. კეკელიძეც, მაგრამ ბროსესაგან განსხვავებით მწერლის საეკლესიო ხელსაც (ეპისკოპოსი) მიუთითებდა. განსვენებულ მეცნიერს, როგორც ჩანს, ამაში არწმუნებდა მწერლის გვარსახელის (აბუსეაჩისძე) გვერდით მოხსენიებული სახელი „ტბელი“, რომელშიც იგი ტბეთის (შავშეთშია) ეპისკოპოსს ხედავდა.

ამავე აზრს ადგა დოც. ლ. მუსხელიშვილი, თუმცა მას უტყუვრად ეჩვენებოდა, რომ მწერალი ტბეთში კი არა, „ხიხანში“ ზის და, როგორცა ჩანს, ხანგრძლივად, მაგრამ ეს მაინც არ მიაჩნდა საგულისხმო უარყოფველ ფაქტად, „რადგან ხიხანი და საზოგადოდ მთელი ზემო აჭარა, როგორც ვიცით, ტბეთის ეპარქიის ფარგლებში შედიოდა“.

მკვლევარი სწორად მიუთითებს, თუ ვის სამწყსოში ერთიანდებოდა მწერლის სამყოფელი ადგილი (ხიხანი), მაგრამ ეს

მინც არ კმარა საკითხის გასარკვევად. ტბელ აბუსერისძე თუ მართლაც ტბეთის ეპისკოპოსი იყო, რატომ უნდა მჯდარიყო ხიზანში (XIII საუკუნის 30-იან წლებში ის აქაა) და არა ტბეთში? საქმე ისაა, რომ ის უნდა იყოს არა საეკლესიო მოღვაწე, არამედ ერისკაცი, როგორც ამას ჯერ კიდევ 1941 წელს შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. რა საბუთებს ეყარებოდა მკვლევარი, არ ვიცით, რადგან მას ამ მოსაზრების დასაბუთება არ მოუცია. ჩვენი აზრით, ამ დებულების სისწორეს ადასტურებს შემდეგი საბუთები: ტბელი, რომლითაც იწოდება მწერალი, სადაურობის ან ხელის აღმნიშვნელი ტერმინი კი არ უნდა იყოს, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობდა, არამედ საკუთარი სახელი. ამას ადასტურებს „ტბელის“ მოხსენება გვარსახელ აბუსერისძის გვერდით, სწორედ იმ ადგილას, სადაც პირის სახელია აუცილებელი და არა მწერლის ხელის ან სადაურობის მანიშნებელი ტერმინი. ეს რომ ასეა, ამაზე საკმაო სიცხადით მიუთითებს თვით ეს ტერმინი („ტბელი“). ტბეთის ეპისკოპოსები იმ დროს, როდესაც ჩვენი მწერალი ცხოვრობდა, ჩვეულებრივ „მტბევარებად“ იწოდებოდნენ და არა „ტბელებად“.

საკუთარი სახელი „ტბელი“ ძველ ქართულ წყაროებში პირთა სახელებადაც ხშირად გვხვდება (მაგ. აკურას მამადავითის ეკლესიის IX ს. წარწერებში და სხვ.) და გვარსახელებშიც გვაქვს დადასტურებული. გვარსახელი ტბელისძე სწორედ ამ საკუთარი სახელისაგან („ტბელი“) მომდინარეობს.

სახელი „ტ ბ ე ლ ი“ „ტბ“ ძირად და „ელ“ სუფიქსად იშლება. უკანასკნელი აქ სადაურობას კი არ უნდა გამოხატავდეს, არამედ კინოზობითობის აღმნიშვნელი ფორმანტი ჩანს. კინოზობითობის მაწარმოებელი სუფიქსები განსაკუთრებული ვარიანტული სახესხვაობითაა მოცემული სვანურში. ესაა: ილ, ილდ, ულდ. პირველი ორი მაშინ გვაქვს, როცა ფუძეში ა, ე, ი ხმოვანებია, ხოლო სხვა დანარჩენ ხმოვანთა (უ, ო) ფუძისუფლობის შემთხვევაში ულდ, ულდ არის მოსალოდნელი.

აონიშნული ფორმანტები სვანურში მეტწილად სწორედ საკუთარ სახელებში გვხვდება. ასე, მაგალითად, პეტრე-პეტრილ, ივლითი — ივლით-ილ, ჯუღაბ-ჯუღაბ-ულ და ა. შ.

საკუთარ სახელთა ასეთი სუფიქსები არც საკუთრივ ქართული წარმოებისათვისაა უცხო. ამავე შინაარსით (კინოზობით) იწარმოება ქართულში, მაგალითად, საკუთარი სახელებიდან: გიორგი-გიორგ-ელ, ესიკა-ესიკ-ელ და სხვ.

ჩვენი აზრით, ეს საკუთარი სახელი „ტბას“ უნდა უკავშირდებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ თავდაპირველად ტბ კომპლექსში ან ო ივარაუდება და ან — ა. თუ ვიგულისხმებთ, რომ სახელი ტბელი სათანადო დასავლურ-ქართული (მეგრულ-ქანურ, სვანური) ზოგადი სახელისაგან „ტობა“ წარმოდგება, მაშინ აქ თავდაპირველად ო ხმოვანი უნდა გვექონოდა, ხოლო, თუ იგი იმავე მნიშვნელობის აღმოსავლეთ-ქართული საზოგადო სახელისაგან („ტაბას“) მომდინარეობს, მაშინ ჩვენთვის საინტერესო ადგილას ა ხმოვანი უნდა ვიგულისხმობთ. თუ პირველ ვარაუდს მივიღებთ და სუფიქსთან ერთად ძირსაც სვანურად მივიჩნევთ, მაშინ მისი თავდაპირველი ფორმა ტობ-ულდ-ის სახით აღდგებოდა. მაგრამ ეს საუკეთესო, რადგან ტობ-ულდ-იდან ტბ-ელ-ის მიღება შეუძლებელია.

უფრო საგულისხმებელია მეორე ვარაუდი. აქვე უნდა ითქვას, რომ როცა იგი ელ-ით გაფორმდა, სათანადო ფუძეს მაშინ შესაძლებელია „ტაბას“ ფორმა არც კი ჰქონდა, და იმ დროს ის უკვე იმავე ტბ კომპლექსით იყო მოცემული. ამაზე მიუთითებს გეოგრაფიული სახელი „ტბეთი“, რომელზეც უკვე ადრევე დიდუბრი ხანის ქართულ ძეგლებშია დადასტურებული. რაც შეეხება ამავე რიგის სახელს „ტაბახელა“, ეს ძველი ფორმა. იგი გადაარჩინა საკუთარ სახელად ქვევამ და ზოგად სახელში განვითარებული რედუქცია მას აღარ შეეხებია. საკუთარი სახელები (გეოგრაფიული თუ პირთა) ამ მხრით მეტ სიმტკიცეს იჩენენ.

საზოგადო სახელებიდან პირთა არაერთი სახელი წარმომდგარა (კლდე-კლდე-კლდია და ა. შ.). ამავე რიგის საკუთარი სახელი (ტბისაგან მომდინარე) ჩანს ტბელიც.

ტბელ აბუსერისძის ერისკაცობის საკმაოდ მტკიცე საბუთია აგრეთვე მისი ქორწინებაში ყოფნა. ეპისკოპოსი, როგორც კარგადაა ცნობილი, XIII საუკუნეში ცოლიანი შეუძლებელია ყოფილიყო. მწერლის ქორწინებაში ყოფნის ფაქტს თავის დროზე აკად. მ. ბროსეს ყურადღებაც მიუქცევია. მაგრამ, რადგან მწერალი რელიგიურ საკითხებს დიდი პატივისცემით ეკიდება და ასეთი გატაცებითა და საქმის ღრმა ცოდნა-სიყვარულით გადმოგვცემს, მისი აზრით, მკითხველს უნებლიეთ ექვს აღუძრავს მის ერისკაცობაში. თუმცა ამ ექვსს აქ საფუძველი არა აქვს, რადგან ძველ საქართველოში, როგორც ჩანს, არაერთი საერო პირი აქტიურად მონაწილეობდა საეკლესიო მწერლობაში, ღრმად იყო განსწავლული ღვთისმეტყველებაში და ქმნიდა კიდევ ამ ხასიათის თხზულებებს. ეს რომ ასეა, ამას კარგად ადასტურებს IX საუკუნის 40-იან წლებში ჯავახეთში გამართული საეკლესიო კრება, რომელსაც გვარამ მამფალიც ესწრებოდა. ერისკაცის მონაწილეობა საეკლესიო მწერლობაში ამ კრების ცხოველი განხილვის საგანი იყო, საკითხი დააყენა გვარამ მამფალმა. მან ეპისკოპოსთა კრებულს ჰკითხა: „წმიდანო ღმრთისანო, უკუეთუ ქუეყნისა ჩუენისა ერის-კაცი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათა-

ცა წურთილი, მიიწიოს იერუსალიმისა ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა, და იხილოს რაიმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შეუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს, გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულისხმა ყოს, და თავით თვისით ერსა უსწავლეოლსა აუწყებდეს, — კეთილ არს ანუ არა?“

ეპისკოპოსებმა ამაზე უარით უპასუხეს, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელმა განაცხადა: „უკუეთუ ახალი რაიმე კეთილი წესი ერის-კაცმან გულის ხმა ყოს, მსგავსად ბრძანებისა შენისა უმჯობეს დუმილი არს, ვითარცა თქუა იაკობ მოციქულმან, ვითარმედ „ნუ მრავალი ჰმოძღურებ ძმანო“. და უკუეთუ დუმილი ვერ ძალ ედევას, არა თავით თვისით ქადაგებდეს, არამედ აღწყოს თვისსა ეპისკოპოსსა, და თუ ჯერ იყოს—მან ასწავოს თვისსა სამწყსოს; უკუეთუ კულა სილადით წარმდებოდეს ერის-კაცი იგი და ერსა ახლად სხუასა წესსა დაუდებდეს, ეგევითარი იგი, ნაცვლად შესაძინელისა, მატილობელთა და წინააღმდეგობათა თანა დისაჯოს დიდებით უფლისა მოსლვასა“.

ჯავახეთის კრებაზე შეუჩვენებიათ საეკლესიო მწერლობაში ჩარეული საერო პირები, მაგრამ ამას მაინც ვერ აღუქვეთავს საბოლოოდ საერო პირთა ლტოლვა ამ მიმართულებით და შემდეგშიც არაერთ ერისკაცს შეუტანია ღირსეული წვლილი ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარებაში. ტბელ აბუსერისძეც ამ რიგის მწერალია.





რევოლუციის მფუნებარე მომღერალი

დემიან ბედნის დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო

ფართოდ, დიდი სიყვარულით აღნიშნა საბჭოთა ხალხმა გამოჩენილი პროლეტარული პოეტის დემიან ბედნის დაბადების ოთხმოცი წლისთავი, რომელიც მიმდინარე წლის 13 აპრილს შესრულდა. გაიმართა საიუბილეო საღამოები, გაზეთებმა მთელი გვერდები მიუძღვნეს პოეტის ხსოვნას, რადიოგადამცემთა რედაქციებმა მოაწყვეს სპეციალური გადაცემანი. ესოდენ დიდი ყურადღება და პატივისცემა დემიან ბედნიმ სავსებით დაიმსახურა თავისი მრავალი წლის უადრესად ნაყოფიერი და სასარგებლო რევოლუციური პოეტური მოღვაწეობით, ხალხის უანგარო და გულწრფელი სამსახურით.

დემიან ბედნი იყო მარქსისა და ლენინის დიდი საქმის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი, პოეტი — აგიტატორი, პოეტი — ტრიბუნი, რომელმაც თავისი შესანიშნავი სიმღერებით, იგავ-არაკებით, სატირიკული ფელეტონებით განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულა სამოქალაქო ომის პერიოდში. დემიან ბედნის პოეზია იმ დროს იყო მძლავრი იდეური იარაღი, რომელიც ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლეს განუშტკიცებდა გამარჯვების რწმენას, შთააგონებდა და აღაფრთოვანებდა მათ ლენინური იდეებით, ხოლო მეორე მხრივ, მახვილი პოლიტიკური სატირით სპობდა და ანადგურებდა ჩვენს კლასობრივ მოწინააღმდეგეებს — ყველა ჭურის კონტრრევოლუციონერებსა და მათს ავან-ჩავანებს.

„გაიხსენეთ, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის ისტორიულ სიტყვაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს, — თუ თავის დროზე როგორ მიიღო ჩვენმა ხალხმა იარაღად დემიან ბედნის პოეზია. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლაში წითელგვარდიელებიც, წითელარმიელებიც, პარტიზანებიც. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, გასაგები იყო თვითთელისათვის, უწიგნური გლეხებისთვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ“.

დემიან ბედნი (ეფიმ ალექსის-ძე პრიდვოროვი) დაიბადა 1883 წლის 13 აპრილს ხერსონის გუბერნიის სოფელ გუბოვკაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1890-1896 წლებში სწავლობდა სოფლის სკოლაში, შემდეგ კი, 1896-1900 წლებში, — კიევის სამხედრო-საფერწ-

ლო სკოლაში. სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე ჩააბარა გამოცდები სიმფეროპოლის ატესტატზე და 1904 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და წარმატებით დაამთავრა იგი 1908 წელს.

მომავალი პროლეტარული პოეტის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ 1905 წელს. თვითონ ღარიბი გლეხის შვილი, დემიან ბედნი მხურვალედ თანაუგრძნობდა რუსეთის მშრომელთა ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. იგი აღაშფოთა საშინელმა რეაქციამ, რომელმაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მოიცვა მთელი რუსეთი, და თავის იმდროინდელ ლექსებში შესანიშნავად გამოთქვა აღშფოთების ეს გრძნობა. სწორედ ამ ლექსებმა მოუპოვეს მას პოპულარობა რუს მკითხველთა შორის, თუმცა პირველი ლექსი პოეტმა გამოაქვეყნა 1899 წელს გაზეთ „კიევსკოე სლოვოში“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა დემიან ბედნის ლექსს „და გავიდა წელი...“, რომელიც 1909 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოში“. აქედან მოკიდებული, პოეტ იაკუბოვიჩ-მელშინის ხელშეწყობით იგი გახდა ამ ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი და ხშირად აქვეყნებდა დემოკრატიული მისწრაფებებით გაჟღერებულ პოეტურ ნაწარმოებებს.

მაღე დემიან ბედნი დაუკავშირდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ბოლშევიკ ჟურნალისტებს, რამაც გარდატეხა მოახდინა პოეტის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში. იგი გახდა მარქსისტ-ლენინელი და მისმა პოეზიამ მიიღო აშკარად გამოხატული რევოლუციური ელფერი. 1911-1912 წლების მანძილზე მან გაზეთ „ზვევდაში“ გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი, გამსჭვალული არა უბრალო დემოკრატიული მისწრაფებებით, არამედ პროლეტარულ-რევოლუციური სულისკვეთებით, მათ შორის თავისი პირველი იგავ-არაკი „გუგული“.

1912 წელს დემიან ბედნი შევიდა პარტიის რიგებში და გახდა ახლად შექმნილი ბოლშევიკური გაზეთის „პრადა“ აქტიური თანამშრომელი მისი პირველივე ნომრიდან. თავის პოეტურ ნაწარმოებებს იგი აქვეყნებდა აგრეთვე ჟურნალ „პროსვეშჩენიში“, რომელიც დიდი პროლეტარული მწერლის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის რედაქტორობით გამოდიოდა და ბოლშევიკურ ორგანოდ ითვლებოდა. ამიერიდან დემიან ბედნიმ მთელი შემოქმედება განუყრელად, მჭიდროდ დაუკავშირა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა და ექსპლუატირებულთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, გახდა რევოლუციონერი პროლეტარული პოეტი, პარტიის იდეების მგზნებარე აგიტატორი და პროპაგანდისტი.

თავისი ფესვებით დემიან ბედნის რევოლუციური პოეზია უკავშირდება რუსულ კლასიკურ ლიტერატურას და წარმოადგენს მისი უაღრესად პროგრესული ტრადიციების შემოქმედებითს განვითარებას ახალ ისტორიულ ეტაპზე, ახალ ისტორიულ ვითარებაში. მან ახლებურად ააყდრა იგავ-არაკის ქანრი, გამოიყენა რა დიდი რუსი იგავთმწერლის ი. ა. კრილოვის მდიდარი ტრადიციები. მასასადამე, არა წარსულის მექანიკური უაწყობით, არამედ შემოქმედებით გამოყენებით გახდა დემიან ბედნი ნოვატორი იგავთმწერალი და თავისი იგავ-არაკებით შეძლო მიექცია დიდი ლენინის ყურადღება. ერთ-ერთ წერილში, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი დადებითად აფასებდა პოეტის იგავ-არაკების კრებულს, რომელიც 1913 წელს გამოვიდა, და ურჩევდა მ. გორკის ვაცცნობოდა ამ წიგნს. ასევე შემოქმედებითად განავითარა დემიან ბედნიმ დიდი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის, აგრეთვე კუროჩკინისა და სხვ. მოწინავე ლიტერატურული ტრადიციები. განსაკუთრებით დავალებულია დემიან ბედნი რუსული ხალხური ზეპირსიტყვიერებით. მან შესანიშნავად იცოდა რუსული პოეტური ფოლკლორი და უხვად იყენებდა ისეთ ხალხურ ჟანრებს, როგორიცაა სიმღერა, შაირი, ზღაპარი, თქმულება და მისთანანი. ყოველივე ამან, მაღალ იდეურობასთან ერთად, განსაზღვრა დემიან ბედნის პოეზიის პოპულარობა ხალხის სულ სხვადასხვა ფენაში.

ძლიერ პოპულარული გახდა დემიან ბედნის პოეზია სამოქალაქო ომის პერიოდში მისი სიმღერები, შაირები, ზღაპრები, იგავ-არაკები ყველგან გაისმოდა და მასებში, განსაკუთრებით გლეხობაში, შეჰქონდა რევოლუციური იდეოლოგია, მარქსისა და ლენინის ყოვლისმძლე იდეები. თვითონ პოეტმა ეს წლები ფორტზე გაატარა, სადაც წითელარმიელებს უკითხავდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს და შთააგონებდა მათ ლენინური იდეებით, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების რწმენით. თუ რა ნაყოფიერად მუშაობდა დემიან ბედნი სამოქალაქო ომის პერიოდში და რა რიგ უყვარდათ მშრომელებს მისი პოეზია, ამის ნათელსაყოფად საქმარისია ითქვას, რომ ამ წლებში გამოვიდა მისი ლექსების ათობით კრებული რამდენიმე მილიონი ცალი ტირაჟით. დემიან ბედნის წიგნებს პირდაპირ იტაცებდნენ მკითხველები, ისინი ხელიდან ხელში გადადიოდნენ. მის სიმღერებს მღეროდნენ მილიონები, უპირველეს ყოვლისა კი სიმღერას „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“.

დაახასიათა რა დემიან ბედნის შემოქმედების ეს პერიოდი, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„იმ დროს ყველაზე პოპულარულ სიმღერაში „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“ აღბეჭდილია ხალხის ფიქრები. პოეტი რევოლუციისათვის მებრძოლთა საბრძოლო მწყობარში იყო და მთელი თავისი უდიდესი ნიჭი მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს“.

აი რა ამღვავდა დევგმირულ ძალას დემიან ბედნის პოეზიას — ხალხურობა და პარტიულობა, მარქსისტულ-ლენინური იდეების ერთგულება, ხალხის, პარტიის ინტერესებით, რევოლუციის ინტერესებით გამსჭვალვა!

დემიან ბედნის პროლეტარული პოეზია თავისი რევოლუციური შინაარსითა და ცოცხალი, ფართო მასებისათვის გასაგები ფორმით იზიდავდა მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენას, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას რუსი გლეხობის მრავალმილიონიანი მასებისათვის, რომლებიც გადაიმწყვეტ ძალას წარმოადგენდნენ რევოლუციაში. იმაზე, თუ ვის მიემხრობოდნენ, ვის მხარეს დაიჭერდნენ გლეხები — მუშათა კლასისა თუ მისი კლასობრივი მტრებისას — ბევრად იყო დამოკიდებული რევოლუციის ბედი რუსეთში, რადგან რუსეთი იმ დროს არსებითად გლეხური ქვეყანა იყო. ამიტომ გლეხებისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. დემიან ბედნის დამახსურება ამ საქმეში ის არის, რომ თვითონ გლეხის შვილი, უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებული გლეხობასთან, შესანიშნავად იცნობდა ამ სოციალურ ფენას, მის ფსიქოლოგიას და თავისი ლექსებით ეხმარებოდა რუს გლეხებს მიეგნოთ სწორი გზისათვის, განუმარტავდა რა მათ, რომ ისინი მიწას, თავისუფლებას, ბედნიერებას მოიპოვებდნენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით, მხოლოდ და მხოლოდ რუსი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და მასთან განუყრელი რევოლუციური კავშირით.

„დემიან ბედნის, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს, — ჰქონდა მშრომელი გლეხის სულში ჩაწვდომის გასათავარი ნიჭი. მხატვრული ოსტატობის რა გავებითა და ძალით დაგვანახვა მან გლეხის სულიერი ორჭოფობა. სამოქალაქო ომის პერიოდის ნაწარმოებებში პოეტმა დამაჯერებლად გვიჩვენა გლეხის ფსიქოლოგია მაშინ მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ერთი მხრივ, გლეხი მეტად კმაყოფილია, რომ ახალმა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მისცა მიწა, რომელზეც იგი ოცნებობდა და რომლისთვისაც წარმოებდა მაშინ შეიარაღებული ბრძოლა. მეორე მხრივ, ზოგიერთ გლეხს, რომლებმაც მიწა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, არ ესმოდა, რომ სახალხო ხელისუფლება, რევოლუციის მონაპოვარი იარაღით ხელში უნდა დაეცვა.“

დემიან ბედნის ნაწარმოებთა უდიდესი აღმზრდელითი მნიშვნელობა ის არის, რომ პოეტი რევოლუციური პოზიციებიდან გულისწყრომით გამოხს გლეხის მერყეობას და

ამასთანავე განუმარტავს მას, რომ ეს მერყეობა დამლუბველია თვით გლეხობის ინტერესებისათვის. პოეტი ეხმარება გლეხს შეიგნოს, რომ მისი ინტერესებისათვის სწორია განუყოფელი კავშირი ჰქონდეს მუშათა კლასთან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

დამთავრდა თუ არა სამოქალაქო ომი, საბჭოთა ხალხი შეუდგა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას, სოციალიზმის მშენებლობას. დემიან ბედნიმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა მაშინვე გარდაქმნა ახალი ამოცანების ყაიდაზე და 1921-1941 წლებში გამოაქვეყნა არაერთი ლექსი, სიმღერა, პოემა, იგავ-არაკი, პამფლეტი, ფლეტონი და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც გამოხატა სოციალიზმის მშენებლობის პათოსი, გვიჩვენა მასების შემოქმედებითი შრომის სიდიადე, ამასთან მწვავე სატირით ამხილა შინაური და გარეშე მტრები, მომაკდინებელი ლახვარი ჩასცა ყველას, ვინც კი ხელს უშლიდა ხალხს ახალი, სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებაში.

დემიან ბედნის პოეზიის უმთავრესი ნიშანი მუდამ იყო პოლიტიკური სიმწვავე და აქტუალობა. პოეტი დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა ცხოვრების მოვლენებს და განმარტავდა მათ ხალხის, პარტიის თვალსაზრისით. იგი წერდა ახალ მშენებლობებზეც და ახალი ადამიანის ფორმირებაზეც; ყველაფერზე, რაც კი ხელს უწყობდა სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში. ამავე დროს დემიან ბედნი ამხილებდა იმპერიალისტთა მაქინაციებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, გმობდა ბუიროკრატიზმს, წარსულის სხვადასხვა გადმონაშთს ცხოვრებასა და ადამიანთა შეგნებაში. ამ პერიოდის დემიან ბედნის ნაწარმოებებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია პოემა „მთავარი ქუჩა“, „ტემპები“, „შაითან-ურემი“, „მუშკორ გრიგოლ მაღინოვსკის ხსოვნას“, „შრომა“, „ბრძოლა“, „კომუნისტური მარსელიოზა“. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ნაწარმოებები „ვანდერველდე მოსკოვში“, „ვაშინგტონის განიარაღება“, „საუბარი რედაქტორთან შანხაის გამო“ და ბევრი სხვა, რომლებშიც დემიან ბედნი ილაშქრებდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამხილებდა მის მხეტურ ბუნებას.

დიდი სამამულო ომის პერიოდშიც დემიან ბედნი დაუღალავად შრომობდა და თავისი პატრიოტული ლექსებით საკუთარი წვლილი შეჰქონდა გერმანული ფაშიზმის განადგურების საყოველთაო-სახალხო საქმეში. გარდა ლექსებისა, მან გამოაქვეყნა პოემა „სტეფანე ზავგოროდნი“, რომელშიც გამოხატა მხურვალე სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი.

დემიან ბედნი აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, მუდამ ილაშქრებდა სხვადასხვა „მოდერნისტულ“-ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ და მტკიცედ იცავდა ხალხურობისა და პარტიულობის ლენინურ პრინციპებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ჯერ კიდევ ათიან წლებში მან გადაჭრით დაგმო ყბადაღებული თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და სიმბოლიზმი, როგორც ანტირეალისტური, ანტიხალხური მიმდინარეობა. ოციან წლებში დ. ბედნიმ გამოაქვეყნა არაერთი ნაწარმოები, რომლებშიც მკვეთრად ამხილა უსაგნო ესთეტიზმი, აპოლიტიკურობა და ნატურალიზმი.

განუხრელად არის რა დაკავშირებული ხალხთან, ხალხის ცხოვრებასთან, დემიან ბედნის პოეზიაა დღესაც ცოცხლობს და იცოცხლებს, როგორც ხალხისადმი უანგარო სამსახურის, ლიტერატურაში მებრძოლი პარტიულობის შესანიშნავი და მისაბამი ნიმუში.

„ახლაც, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ჩემი თაობის ადამიანები, თმანეთს ხედებიან სადღესასწაულო ვითარებაში, კმაყოფილებით იგონებენ თავიანთ წარსულს სამოქალაქო ომის წლებში და მღერიან დემიან ბედნის სიმღერებს იმიტომ, რომ ეს სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ჟღერს. მათი სიმშვენიერე ის არის, რომ მოგვაგონებენ თუმცა ძნელ დროს, მაგრამ კარგ და ლამაზ დროს, იმათთვის სიამაყით აღგვივსებენ გულს, ვინც უძნელეს პირობებში გმირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შრომის ადამიანთა განთავისუფლებისათვის, ხალხისათვის, სოციალიზმისათვის და გაიმარჯვა ამ ბრძოლაში“.

და სწორედ იმიტომ, რომ დემიან ბედნის „სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ჟღერს“, სწორედ იმიტომ, რომ მისი ლექსები, სიმღერები, იგავ-არაკები და სხვ. არის იმის დამაჯერებელი მაგალითი, „თუ რა ძლიერ და კეთილშობილურ გრძნობებს იწვევს ადამიანებში ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები“ (ნ. ს. ხრუშჩოვი), დემიან ბედნის მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ქვეყნად ამკვიდრებენ მშვიდობასა და კომუნიზმს, ახორციელებენ კაცობრიობის ყველაზე სასურველ ოცნებებს.

მ. შავჭულაძე.



გამოჩენილი ქართველი პოეტი

არჩილის დაბადების 250 წლისთავის გამო

1713 წლის აპრილის მზიანი დღე იწურებოდა. სოფ. ვესესიაცკოეში დონის მონასტრის ზარების გუგუნე სამშობლოდან გადახეწილი ქართველების ქვეთინს უერთდებოდა. ხალხით გაქედლ მონასტრის ეზოში ძაძაშემოვლებული ბაგრატიონთა სამეფო დროშა დახრილიყო. საკურთხეველში ესევნა ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) უფროსი ვაჟის — იმერეთის მეფის არჩილის ცხედარი, რომელსაც დიდი რუსეთის მფარველობის მაძიებელი ქართველები მოსკოვის მიწას აბარებდნენ. მწუხარებით ღონემიხდილი ქეთევან დედოფალი და მეფის ასული დარეჯანი გარინდებული იდგნენ და ისმენდნენ ლავრენტი არქიმანდიტის წესის აგების ლიტურგიას. გვერდით მოჩანდნენ არჩილის განსვენებული შვილების ალექსანდრეს, მამუკასა და დავითის საფლავები.

„დიდ მწუხარებას თითქოს ხმა გაეზარა არქიმანდიტისათვის. იგი თვალცრემლიანი კითხულობდა ლოცვას. წესის აგება დამთავრდა. დარეჯანმა და ქეთევანმა ამოიგმიენს და ცხედარს დაემკვნენ. ბოლოს, არქიმანდიტმა დედა-შვილი მორიდებით წამოაყენა, ანუ-გეშა და კუბოს განაშორა.

კვლავ აგუგუნდა ზარები და ცხედარი სამეფო აკლდამაში ჩაუშვეს. ამ დროს კენესა და გოდება ისმოდა მეფე არჩილის სამშობლო საქართველოშიც. ქართლ-კახეთში ირანელი დამპყრობლები დათარეშობდნენ, იმერეთს კი თურქი დამპყრობლები შესეოდნენ. მტერს დაეპყრო აჭარა-ახალციხე, აფხაზეთი და ფოთი თავის ციხე-სიმაგრედ გავხადა. იმერეთის სამეფო ტახტზე სულთნის ყურმოჭრილი მონა ალექსანდრე იჯდა და უნიათოდ შეჰყურებდა სტამბოლის ბაზარზე გასაგზავნად გამზადებულ ქართველ გოგო-ბიჭებს.

არჩილ მეფემ გაერთიანებულ საქართველოზე ოცნება სამარეში ჩაიტანა. ბევრი იბრძოლა მეფემ, ბევრი იწვალა. თოთხმეტი წლისამ იმერეთის ტახტი ჩაიბარა, ცოტა ხანს კახეთშიც იმეფა, იძულებით მაჰმადიანობაც მიიღო, რამდენიმეჯერ იმერეთის ტახტიც დაიბრუნა, მაგრამ ოსმალეთის სულთანმა 1698 წელს საბოლოოდ ძლია და იძულებული გახადა თავისი ამალით — 162 კაცით ერთმორწმუნე რუსეთს შეეცდლებოდა. რუსეთთან კავშირში ეძებდა იმედდაკარგული მეფე სამშობლო ქვეყნის ხსნას, მაგრამ ოცნება არ აუხრულდა. მისი პირადი ოჯახური ცხოვრებაც უკუღმართად მოეწყო: უფროსი ვაჟი ალექსანდრე, პეტრე პირველს განუყრელი მეგობარი, ნარვის ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა მეფე კარლოსს. არჩილმა რამდენიმე წლის შემდეგ ძლივს გამოიხსნა შვილი, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ალექსანდრეს სიცოცხლე. იგი გაცივდა და 1711 წელს გარდაიცვალა. მოსკოვშივე დაკრძალა არჩილმა უმცროსი ვაჟებიც — მამუკა და დავითი.

იმედგაცრეხულმა მეფემ სულიერი სიმშვიდე პოეტურ მოღვაწეობაში პოვა. პოეტური იდეებით გამსჭვალული არჩილი თავგამოდებით ცდილობს მოსკოვში სტამბის გახსნას. ამის გამო იგი მთავრობის წევრს ალექსანდრე გოლიცინს თხოვნას უგზავნის. თხოვნამ გასჭრა. 1703 წელს მოსკოვში გაიხსნა ქართული სტამბა. არჩილის თაოსნობით სტამბაში იბეჭდება „დავითიანი“, „ბიბლია“ და სხვა თხზულებანი. აი, რას ვკითხულობთ 1884 წელს თბილისში გამოცემული „დაბადების“ წინასიტყვაობაში, რომელშიც რედაქციას მოჰყავს უფლისწულ ბაქარის სიტყვები: „ვიგულვე და ვიგულისმოვდგინე სულთა და გონებათა განმანათლებლისა ამის წმიდის დაბადებისა დაბეჭდვად რამეთუ პირველად ფრიადისა სასიებოთა ჰნებებოდა ნეტარ ხსენებულსა მეფესა არჩილს, რათამცა შეეკრიბა და შეესრულებინა დაბადება, რამეთუ ქუეყანათა ჩუენთა არღარა იპოვებოდა ერთად შეკრებილინი“...

სამეფო საქმეებს ჩამოცილებული მეფე ფიქრებით საყვარელ სამშობლოსთან იყო, რომლისადმი უანგარო სიყვარული მან თავის უკვდავ „არჩილიანიში“ ასახა.

„არჩილიანი“ პოეტმა ძირითადად ემიგრაციაში შექმნა: თავისი პოეტური მსოფლმხედველობით იგი მჭიდროდ უკავშირდება იმ ლიტერატურულ გზას, რომელიც რუსთველის ეპოქაში გამოუმუშავდა. არჩილი პირდაპირ, კატეგორიულად მოითხოვდა რუსთველის მიბაძვას:

ვინც ვერ მოჰყვეს რუსთველის თქმულს, გადმოზრჩანდით ასე აქეთ,
მელექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქეთ!

„არჩილიანიში“ წამყვანი ადგილი უკავია პოეტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს „გაბაასება მეფისა თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელიც 1681-1683 წლებში დაიწერა. ეს თხზულება ქართული ლიტერატურის ისტორიაში მრავალმხრივია საინტერესო. უპირველეს ყოვლისა იგი მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ისტორიული ამბების ასახვით. მასში არჩილმა ერთმანეთს დაუპირისპირა თამარ მეფის ეპოქა და თეიმურაზის დროინდელი საქართველო. ამ შემთხვევაში არჩილი, თეიმურაზ პირველის შემდეგ, გვევლინება ეროვნულ-ისტორიული ლიტერატურის ღირსეულ დამამკვიდრებლად.

ეროვნულ-პატრიოტული მოტივი და „მართლის თქმის“ სულისკვეთება იმდენად ძლიერია არჩილის შემოქმედებაში, რომ პოეტი თვით რუსთველსაც კი ედავება. არჩილი იწუნებს რუსთველისა და თეიმურაზის გატაცებას გამოგონილი, „მოჭორილი“ და არა სინამდვილის ამსახველი ამბებით. პოეტი აღიარებს და პატივს სცემს რუსთველის გენიალობას, თეიმურაზის დიდ ნიჭს, მაგრამ მათგან მოითხოვდა წმინდა ეროვნული და მართალი ამბების თხრობას. არჩილის აზრით, ლიტერატურამ უნდა ასახოს ცოცხალი სინამდვილე, გამოიყენოს რეალური და არა ფანტასტიკურ-ზღაპრული სიუჟეტები.

ეროვნულ-პატრიოტული იდეების აღიარებას არჩილი მიჰყავს პურჩიზამდე ქართული ენის სიწმინდის დაცვაში. იგი იწუნებს თეიმურაზის „მაჯამას“, რომელშიც ჭარბადაა ნახშირი სპარსული სიტყვები. რა თქმა უნდა, პოეტი სავსებით წინააღმდეგი არ არის უცხო სიტყვების ხმარებისა, მაგრამ მისი აზრით, ეს არ უნდა წარიმართოს ქართული ენის საზიანოდ. ასეთი პურიზმი ენის საკითხში არსებითად ნიშნავდა ფეოდალურ მაღალ ფენებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს.

პატრიოტულ-რეალისტური პრინციპები არჩილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ისტორიული ამბების ასახვისას. პოეტი ღრმა განცდებით ხატავს გიორგი სააკაძის თავგანწირულ ბრძოლებს შაჰ აბასის წინააღმდეგ, იგი აღფრთოვანებულია სააკაძის გმირობით, მისი თავდადებათი სამშობლოსათვის და ქართველობას მოუწოდებს მიბაძოს მას.

ესე საქმე მოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირვალო...

აწ ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძივით შვილს ეტყოდეთ...

ეროვნულ-პატრიოტული მოტივები მკაფიოდ ჩანს არჩილის მეორე თვალსაჩინო ნაწარმოებშიც „საქართველოს ზნეობანი“, რომელიც 1684 წელს დაწერა ასტრახანში. პოეტი წუხს საქართველოში ზნეობრივი საფუძვლების შერყევის გამო, რაც გაუთავებელი ომებისა და არევ-დარევის პირდაპირი შედეგი იყო, და დანადვლიანებული წერს:

ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ქაშში რამდენი ავი რამ იქნა,
რა ცრუ ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა რამ იქნა.

არჩილი ცდილობს იმ კლასს, რომლის წარმომადგენელიც თვითონაა, ღრმად ჩაახედოს ცხოვრებაში, კიცხავს მის უარყოფით მხარეებს და სურს გაუძლიეროს ეროვნული თვითშეგნება. შეაგნებინოს თავადაზნაურობას, რომ ურთიერთქმედობამ, შურმა და გაუტანლობამ ქვეყანა ფიზიკურ გაჩანაგებამდე მიიყვანა, გლეხობა ამოწყდა, მხენელ-მთესველი განადგურდა და საქართველო დაღუპვის კარამდე მივიდა. „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“, — ეუბნებოდა ფეოდალებს არჩილი.

„სოფლისა და კაცის გაბაასება“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. მასში არჩილი არკვევს ადამიანის დანიშნულებას, მის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. ნაწარმოებში დიდი ადგილი უკავია სწავლა-აღზრდის საქმეს. პოეტი გაცილებით მაღლა აყენებს ბრძენ მონას, ვიდრე უგნურ მეფეს:

სჯობს მონა ბრძენი უგნურსა მეფესა მოხუცებულსა.

არჩილ მეფე უაღრესად ეროვნული შეგნების პოეტია. მისი შემოქმედების გავლენა დიდად განიცადეს იმდროინდელმა პოეტებმა იოსებ ტფილელმა, ფეშანგმა და სხვ. ამ გავლენის კვალი ჩანს დ. გურამიშვილის პოეზიაშიც.

ქართველი ხალხი სიყვარულთ იგონებს არჩილს, როგორც პატრიოტ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც ფეოდალური დაქსაქსულობის ხანაში, სპარსი და თურქი დამპყრობლების განუკითხავი თარეშის დროს ქართულ პოეზიაში წინ წამოსწია ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, იქადაგა სამშობლოსათვის თავდადება და მომავალ თაობას უჩვენა ეროვნული მთლიანობის მიღწევის გზა. ეს გზა მან სამართლიანად დაინახა ქართველი ხალხის მეგობრულ კავშირში დიდ რუს ხალხთან, რუსეთთან საქართველოს შეერთებაში და მომავალმა მთლიანად გაამართლა პოეტის იმედი, მისი რწმენა.

დ. ნაცვალაძე.





ქართული თეატრის სინაგუე

მიმდინარე წლის 3 აპრილს ზეიმიტ აღინიშნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო (ნუცა) ჩხეიძის დაბადების ოთხმოცი და სასცენო მოღვაწეობის სამოცდახუთი წლისთავი.

ნუცა ჩხეიძე ქართული თეატრის იმ ვარსკვლავთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ბრწყინვალეობასა და სიკაშკაშეს, ეშხსა და მიმზიდველობას არასოდეს არ კარგავენ. ნუცა ჩხეიძის ტემპერამენტი, ეშხი, სიბო, სინაზე და მიმზიდველობა, ხავერდოვანი მუსიკალური ხმა, გარდასახვის დიდი უნარი შორდება ქართული ეროვნული თეატრის ჩარჩოებს. შემთხვევითი არაა ნინო ჩხეიძის შედარება სცენის ისეთ დიდოსტატებთან, როგორიც იყვნენ ერმოლოვა და კომისარჟევსკაია. ოპერის მსახიობზე იტყვიან, სამი რამ სჭირდება, ხმა, ხმა და ხმაო. არანაკლებადაა სჭირო ხმა დრამატული მსახიობისთვისაც. ვისაც მოუსმენია, დამეთანხმება, რომ ნუცას ხმა იშვიათი მოვლენა იყო ქართულ სცენაზე. რამდენი სილამაზე, სინაზე და მდიდარი ნუანსი იყო მისი ხავერდოვანი ხმის ტემბრში. თითქმის მუსიკალურ გამას ისმენსო, ისეთი მომხიბლავი მელოდიურობით ატკობდა ადამიანის ყურთასმენას ნუცა ჩხეიძის ხმა. მისი ყოველი ბგერა გარკვევით აღწევდა მაყურებელამდე. ამასთან იგი დაჯილდოებული

იყო შინაგანი სიბოთით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით, მომხიბვლელი სცენური გარეგნობითა და მიმზიდველობით. როდესაც უყურებდით მის მედვას თუ ზეინაბს, კრუჩინინას თუ მარგარიტა გოტიეს, გრძნობდით, რომ იგი სცენაზე იწვოდა თავისი გმირის შინაგანი ცეცხლითა და ტემპერამენტით. ის ხან აბოზოქრებულ ზღვის ტალღასავით ეხეთქებოდა კლდოვან ნაპირს, ხან კი ნაზი და მოაღერსე იყო, თითქმის საამო ნიავმა დაუბერაო. ყველაფერი ეს ზუსტად გააზრებული იყო არსებული ეპოქისა და გარემოს ღრმა ცოდნით.

ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ და მადლიერმა მაყურებელმა ნუცა ჩხეიძე ბევრი ეპითეტით შეამკო. ხშირად გაიგონებთ, რომ იგი არის დიდი ტრაგიკული მსახიობი, ქართული თეატრის მზრუნველი დედა, ქართულ სცენის ჯადოქარი, დიდი მეოჯახე და შვილების შესანიშნავი აღმზრდელი და მისთანანი. მართლაც, ნუცა ჩხეიძე არის სინილისი ქართული თეატრისა, დიდი მორალისა და ეთიკის ადამიანი, და ამის გამო არ შეიძლება მას პატივი არ სცე, არ შეიყვარო და მისაბამ მაგალითად არ დაისახო მისი უმწიკვლოება და სიუაქიზე.

პირადად მე მეგობრული ურთიერთობა მაქვს ქართული თეატრის ამ მოვლენა-

მასთან. ეს იყო 1945 წლის 4 ნოემბერი. ბათუმს ესტუმრა ნუცა ჩხეიძე. თეატრი ვერ იტევს მოზღვავებულ მაყურებელს. ეს ბუნებრივით არის. ნუცა ჩხეიძისათვის ბათუმი ისევე მშობლიური ქალაქია, როგორც თბილისი, ქუთაისი. მას არაერთხელ გაუხარებია ბათუმელი მაყურებელი თავისი მაღალი ნიჭიერებით, მაგრამ ახლა იგი გამოდიოდა არა ესტრადაზე, არამედ ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეში“ უნდა განესაზიერებინა კრუჩინინას როლი. ეს აღელვებდა მაყურებელსაც და ჩვენც, მის ახალგაზრდა პარტნიორებს.

სპექტაკლის დაწყებამდე მთელი ერთი საათით ადრე მზად ვიყავი — გრიმავითებული და ჩაცმული. მღელვარებით ვლოდებოდი სცენის ჯაღოქარსა და კრუჩინინას როლის უბადლო შემსრულებელთან პირველ შეხვედრას. დიდხანს არ შეწყვეტილა ოვაცია, როდესაც ნუცა ჩხეიძე სცენაზე გავიდა. ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი. დგას იგი ამაყად, ყოველი მისი ნაბიჯი მოფიქრებული და გააზრებულია. გრძნობთ, რომ თქვენს წინაშეა გამწარებული დედა, რომელიც მოცულობით უსაზღვრო დარღობა და გულისწყრომით. აი იგი ხვდება ღუღუკინს. მოხუცი არშოი ხელზე ეამბორობა მას. ჩხეიძე-კრუჩინინა თავჯანაღი ითავისუფლებს ხელს და თავდაპირველი სიმკაცრით მიმართავს: „საამურია ფიქრი, რომ ის (ე. ი. შვილი—მ. ხ.) ცოცხალია და ხშირად სულგანაბული, რაღაც ყრუანტელმოშვარელი შიშით ველი, რომ აგერ შემოვა“. მან ისეთნაირად წარმოთქვა ეს სიტყვა — „ყრუანტელმოშვარი“, რომ მაყურებელს და მასთან ერთად ჩვენც, მსახიობებსაც, მართლაც ყრუანტელმა დაგვიარა. როდესაც ჩხეიძე-კრუჩინინა ხელს გაიშვერდა 'შვილის მოლოდინში, მაყურებელი მზად იყო მასთან ერთად ემებნა მისთვის დაკარგული შვილი.

ჭკუაშერყეულ გალჩინასთან სცენა — ეს იყო ნამდვილი ცხოვრება მწარე სინამდვილით. იგი გულში იკრავდა ჭუჭყიან

დედაკაცს და ევედრებოდა ემენა-შეპოქიან რგული შვილის ამბავი, გადაეშალა დიდი ხნის წარსული. გალჩინასთან სცენის დასასრულს ჩხეიძე-კრუჩინინას აღმოხდა რაღაც ყრუ გმინვა, რაშიც იგრძნობოდა ევედრებაც, იმედით და ბრალდებაც იმათ მიმართ, ვინც უდანაშაულო დედასე გააუბედურა.

დადგა სცენაზე ჩემი გასვლის დრო. გაგდივარ სცენაზე და ყვირილით, აბუჩად ავდებოთ და ზიზლით ვახლი კრუჩინინას: „დღეს მეორედ მოვდივართ“. ჩხეიძე-კრუჩინინამ თავი ნელა ასწია, ალერსიანად შემომხედა. მისმა მზერამ შემაკრთო. ვეღარ გავუძელი მისი წყლიანი თვალების შექს და თავი დავხარე. ნუნამოვს ხომ აღამიანური სიტყვა და ალერსი არასოდეს უგრძნია და მისმა დედაშვილურმა მოპყრობამ უნებლიეთ ამატირა. ცრემლები დაპაღუპით ჩამომდიოდა და სიტყვებს ძლივს ვამბობდი. ყოველივე ეს არც პიესით და არც რეჟისორის მითითებით არ იყო გათვალისწინებული. შესვენების დროს ნუცამ გამამხნევა: „ნუ დედავ, ტირილი არ არის საჭირო; ნუ მერიდები. მე სცენაზე ნუცა ჩხეიძე კი არა ვარ, არამედ კრუჩინინა და ისე მომეჭედი, როგორც კრუჩინინას“.

სცენაში, როდესაც მუროვი ხელს თხოვდა მას, უნდა გენახათ, რა მტკიცედ და მრისხანედ მოითხოვდა ჩხეიძე-კრუჩინინა მისგან პასუხს კითხვაზე: „სად არის ჩემი შვილი?“ მის სახეზე ერთდროულად იგრძნობოდა უსაზღვრო სიყვარული შვილისადმი და სიძულვილი მისი გამაუბედურებლის — მუროვისადმი.

ბოლო სცენაში, როდესაც ნუნამოვი წარმოთქვამს საღვებძელის, „სადა ხარ, დედა, სად ნეტარებ, ხმა გაემეც“ და გულისიდან მოიგლეჯს დედის სახსოვარ მედალიონს წარწერით „ატარებდე და მიგონებდეთ“, ჩხეიძე-კრუჩინინა ზეადი-მართა, მაგრამ ძალა აღარ ეყო, ოდნავ გასაგონი კენესა აღმოხდა და გულწასული დაეცა. გონს მოსვლის შემდეგ გულში ჩამიკრა, დამიწყო ხვევნა და კოცნა. ასე ჩახუტებული წამოდგა იგი, ამდენი ტანჯ-

ვის შემდეგ გამარჯვებული და შვილის
პოვნი ბედნიერი.

მაყურებლები იმდენად მოხიბლული
დარჩნენ სპექტაკლით, რომ მათი თხოვ-
ნით კვირას, 11 ნოემბერს, დილით და სა-
ღამოს, ნუცა ჩხეიძემ განმეორებით შეას-
რულა კრუჩინინას როლი.

პოეტმა ნესტორ მაღაზონიამ თავისი
აღფრთოვანება გამოხატა ნუცა ჩხეიძი-
სადმი მიძღვნილი ლექსით, რომელიც გა-
მოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“:

სინათლე ჩაქრა. ჩურჩულიც კი

შეწყდა ოდნავი.

უხმოდ შეირხა უხმაუროდ ახდილი
ფარდა.

შენ კი დარდები მოგრიოდა

გულდამკოდავი;

თვალში ცრემლი და უსასრულო

ნაღველი ჩანდა.

უგულო იყო შენს გარშემო ბრბო და
უხეში,

ხშირად გტოვებდა შვილის პოვნის
იმედი ღითქოს...

იქით მურადი — ნეზნამოვი იდგა
კუთხეში,

ალერს ნატრობდა, დედის კალთას,
მშობლიურ სითბოს!

იბოვნე შვილი და გაისმა ტაშის
გრილი.

გაჩნდა დარბაზში სიხარულის
მრავალი ცვარი.

შვილმაც იბოვა მშობლიური სითბო
გვიანი,

და ჩემს თვალებსაც წვეთი მოსწყდა
ორიოდ ცალი!

დამიდგა თვალწინ ოდინდელი ჩვენი
ოცნება:

შენ — საქართველო, და აჭარა —

ნაპოვნი მურად!

და თქვენს ხვეწნაში ზეიმობდა

ამ დღის მოსწერება —

დედას რომ შვილი ჩაეკონა

დედაშვილურად!

თეატრალური მსახიობის ბედი რამდენა-
დმე თავისებურია. მისი შემოქმედება ცო-
ცხლობს მხოლოდ დროის იმ მონაკვეთ-
ში, ვიდრე სპექტაკლი მიმდინარეობს.
უშუალოდ მაყურებლის თვალწინ. სპექ-
ტაკლის შემდეგ რჩება მხოლოდ აზრი
და მოგონებები ამა თუ იმ მსახიობის
მიერ განსახიერებულ გმირზე. არიან მსა-
ხიობები, რომლებიც თავიანთი უბადლო-
ნიჭის წყალობით ქმნიან წარუშლელ სცე-
ნურ სახეებს. სწორედ ასეთი მსახიობია
ნინო ჩხეიძე, რომელსაც არავითარი თე-
ატრალური სკოლა არ გაუვლია. მისი
სკოლა იყო ფრიად განათლებული ოჯახი
და ქართული სცენა, ამ სცენის უჭკნობი
ვარსკვლავები: ლ. მესხიშვილი, კ. მესხი,
ვ. გუნია, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა, ე. აბა-
შიძე და სხვები.

დაუფიწყარი სახეები შექმნა ნინო ჩხე-
იძემ კინოსურათებში „საქანი № 79“,
„არსენა“, „დარიკო“ და სხვ. პირველი-
ზეინაბი ქართულ სცენაზე ეფემია მესხი
ასე მიმართავდა ნინო ჩხეიძეს: „მინდა
ახალგაზრდებმა მისდიონ ნუცას მაგა-
ლითს, მინდა ბევრი გამოუჩნდეს ჩვენს
სამშობლოს სცენას ნუცასთან სამაგალი-
თო მშრომელი; მინდა შეიყვარონ სას-
ცენო ხელოვნება ისე, როგორც ნუცას
უყვარდა და უყვარს დღესაც, დაივიწყონ
პირადი ანგარიშები, დაივიწყონ თავი ისე,
როგორც ნუცამ“.

მ. ხინიკაძე.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტთა





ჯეჰალ ნოლაიდალი

ფ ე შ ხ უ მ ი

„საბჭოთა ხელოვნების“ გასული წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნებულია მიხეილ კედელიძის პატარა წერილი—„უძველესი მატერიალური კულტურის ერთი ნიმუში“. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით მთის მცხოვრებლებმა შემოინახეს გვაროვნული წყობილების დროინდელი სუფრა, რომელიც ჩვენს დრომდე ხმარებაში იყო“.

ამ სუფრის დამზადების პროცესი საქმაოდ რთული ყოფილა და კოლექტიურ შრომას მოითხოვდა. მას წნავდნენ იმ ხეების ჯოხებისაგან, რომელთაც მღრღნელი არ უჩნდებათ და მაგარ, გამძლე მასალას წარმოადგენენ. იქვე დასახელებულია ეს მაგარი ჯიშის ხეები: ბზა, შინდი, შინდაწალა, ურძენა, კოწახური, გრაკლა, უცვეთელა... ერთი სიტყვით, როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ საქართველოში სუფრა რომელიმე ხის წნელისაგან იწნებოდა.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში წნელის სუფრა ფორმით ოთხკუთხედი ყოფილა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გურიისაშიც ოთხკუთხა სუფრა მზადდებოდა, მაგრამ ერთი მთლიანი ფიცრისაგან და ოთხი ფეხი ჰქონდა.

ამჟამად მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო აჭარაში სუფრის, ანუ ე. წ. ფეშხუმის დამზადების წესზე.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად მთის მოსახლეობაში, წნელით ნაქსოვი, ოთხკუთხედი სუფრა გვხვდება და ჩვენს მეზობელ გურიაშიც ოთხკუთხედ სუფრას ამზადებდნენ ერთი მთლიანი ფიცრისაგან, აჭარული სუფრა, ანუ იგივე ფეშხუმი, მრგვალი ფორმისაა, ისეთი, როგორი ფორმაც თვითონ ხის ტანს აქვს სისქეში.

სუფრის დამზადების ეს ფორმა აჭარაში დღემდე შემონახულა. მართალია, მაგიდამ ძველი ფეშხუმი თანდათანობით შეცვალა, მაგრამ შინაურებაში სადილვახშამს ბევრგან ახლაც ფეშხუმში მიირთმევენ.

ფეშხუმის დასამზადებლად ყველა ხე არ გამოდგება. ძირითადად ფეშხუმს წაბლის, ცაცხვის, წიფლის მასალისაგან ამზადებდნენ. როგორც ცნობილია, წიფელა მსხვილი იზრდება და სუფრაც დიდი გამოდის. პირადად მინახავს სისქეში გამოთლილი წიფლის სუფრა, რომლის გარშემო თორმეტი კაცი მოთავსებულია. აჭარაში სუფრას ფიცრების მობრგვა-

ლებითაც ამზადებდნენ, მაგრამ იგი მალე ფუჭდებოდა. ზის სისქეში გამოთლილი სუფრა კი თაობიდან თაობის ხელში გადადიოდა, დიდხანს ძლებდა.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ტომებიდან გურულები და აჭარლები ერთმანეთთან ძლიერ ახლოს არიან, სუფრის დამზადება და გაფორმება მათ სხვადასხვანაირად იციან. აჭარულ სუფრას ფეშხუმი, ალბათ, იმიტომ ეწოდება, რომ მას მრგვალი ფორმა აქვს. ვფიქრობ, ტერმინი „ფეშხუმი“ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ გადავიდა ეკლესიაში.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სუფრა სპარსთა ენაა, ქართულად ტაბლა ჰქვია, ფეშხუმის თაობაზე კი სულხან-საბა ორბელიანი ასეთ განმარტებას იძლევა: ფეშხუმი — ბეფში.

როგორც ჩანს, სანამ ქართველები სპა-

რსეთიდან სიტყვა „სუფრას“ შეიტყობდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში ცოცხალა ყოფილა გავრცელებული, ხოლო დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ „ფეშხუმი“ ეკლესიაში გადავიდა და სამოქალაქო ურთიერთობაში მისი ადგილი „სუფრამ“ დაიკავა.

აჭარულმა ყოფამ კი ორივე სიტყვა შემოგვინახა — ფეშხუმიც და სუფრაც. ფეშხუმი ისეთივე ფორმისაა, როგორც გობი, განსხვავება იმაშია, რომ გობი ამოღრმავებულია, ხოლო ფეშხუმი გლუვი ფორმისაა.

ფეშხუმი, ისევე როგორც გობი, გვაროვნული წყობილებიდან უნდა იყოს გადმოსული.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ფეშხუმი“ თედო სახოკიას აქვს მოხსენიებული (იხ. მისი „მოგზაურობანი“, თბილისი, 1950 წ., გვ. 124).



ბესიკის თხზულებათა ახალი გამოცემა

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ახლან გამოსცა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) თხზულებათა სრული კრებული.

კრებული გამოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის სახელგანთქმული მკვლევარების ალ. ბარამიძისა და ვ. თოფჩიას რედაქციით.

ახლანდელი კრებული წარმოადგენს მეექვსე გამოცემას. მესამე აკადემიური გამოცემა განხორციელდა 1932 წელს მათივე რედაქციით. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და ძალზე ივარძნობდა ბესიკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის საჭიროება. ამ ოცდაათი წლის მანძილზე ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმემ დიდად წაიწია წინ. დაიწერა მრავალი კრიტიკული წერილი, გამოვლინდა პოეტის რამდენიმე ახალი ნაწარმოები, აგრეთვე ბიოგრაფიული მასალები. ამიტომ სამართლიანად წერენ რედაქტორები, რომ კრებული წარმოადგენს „მწერლის დღემდე უცნობი ლექსებით და მისი ცხოვრების დოკუმენტებით“ შევსებულ გამოცემას.

ბესიკის თხზულებათა ამგვარ გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბესიკი ქართული პოეტური სიტყვის კლასიკოსია. მისი ცხოვრება და შემოქმედება ღრმად არის განხილული აკად. ალ. ბარამიძის წერილში, რომელიც წინ უძღვის ბესიკის ნაწერებს. როგორც მეცნიერი ამბობს, „ბესიკი იყო ქართული პოეზიის მშვენიერება. მის შემოქმედებითს მემკვიდრეობაზე იზრდებოდა და იწაფებოდა ქართველ პოეტთა მთელი თაობები“ (გვ. 28).

თავისებურია ბესიკის ბიოგრაფიაც: ბევრი ტანჯვა და სიხარული, განდიდება და პოლიტიკური დევნა და, ბოლოს, შორეულ მხარეში დასაფლავება. „როგორც ვიცით, ბესიკის ნეშტი მიიბარა რუმინეთის მიწაში.... ჩვენს დროში ბესიკის საფლავი ქართველთაგან პირველად იხილეს და შესაფერი პატივი მიაგეს ნ. ბერძენიშვილმა და გიორგი ლეონიძემ. ბესიკის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბუქარესტსა და იასში იმართება ქართველი პოეტის ხსოვნის საღამოები. მისი ლექსები ითარგმნება რუმინულ ენაზე. ბესიკი თავისებური სიმბოლოა ქართველი და რუმინელი ხალხების ძმობა-მეგობრობისა“ (იქვე, გვ. 28).

ასეთი კლასიკოსი მწერლის თხზულებათა სრული კრებულის სრულყოფილად გამოცემისათვის რედაქციას დიდი მუშაობა გაუწევია. დამატებით გამოუყენებია შემდეგი მასალები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადში) ქართულ ხელნაწერთა ფონდი, კერძოდ, ამ ფონდის ხელნაწერები E-23, თეიმურაზ ბატონიშვილის კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნა-

წერთა ინსტიტუტის საკუთარი კოლექციის (Q) ხელნაწერების ფონდი, ბესიკ ლექსები, გამოვლენილი იასე ცინცაძისა და სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, დოკუმენტური მასალები ბესიკის შესახებ, რომლებიც გამოავლინეს რუსეთისა და საქართველოს სიძველეთსაცავებში ალ. ბარამიძემ, ი. ლორთქიფანიძემ, ქ. სანიკიძემ, შ. ბურჯანაძემ და ა. იოსელიანმა (გვ. 215-217) და სხვ., სულ რვა დასახელების მასალა. ამან შესაძლებელი გახადა გაცხრილულიყო ბესიკის ლექსების განყოფილება. გამოირკვა, რომ სადავო ლექსების მოზრდილი ჯგუფი ეკუთვნის არა ბესიკს, არამედ იმერთა ბატონიშვილ გიორგის.

რედაქციის მუშაობა ასახულია წერილში, რომელიც ბესიკის ნაწერების შემდეგ მოდის და ეწოდება „ტექსტისათვის“. იგი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ეს ახალი გამოცემა რამდენადღაც შეიძლება უფრო სრულყოფილია. მთელი ტექსტი ხელახლა შედარებულია მანამდე ცნობილ და შემდეგ მოძიებულ ხელნაწერებთან და მათზე დაყრდნობით დაზუსტებულია რიგი ადგილები, გათვალისწინებულია შემდგომი კვლევა-ძიების შედეგები“ (გვ. 230). გაწეული სარედაქციო მუშაობა აქ შეჯამებულად არის მოცემული. მთელი გამოცემა იმის თვალნათლივი მაჩვენებელია, თუ რამდენად მძიმე და რთული მუშაობა უწარმოებიათ რედაქტორებს. საილუსტრაციოდ ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტზე შევჩერდებით.

რედაქტორებს დაუზუსტებიათ ზოგიერთი ტექსტის რიგი ადგილები. მაგალითად, ბესიკის ლექსში „ცრემლთა ისარნი“ ერთი ტაეპი ასე იკითხებოდა: „ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით“ (იხ. „ბესიკი“, მესამე გამოცემა, 1932 წ., გვ. 12). რედაქციას ახლა ამ ტაეპში „ისარნი“ შეუცვლია სიტყვით „ისხარნი“ და ტაეპი ასე გაუმართავს: „ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით“ (გვ. 228). რედაქცია შენიშნავს, რომ „ეს წაითხვა სწორია ფორმითაც და შინაარსითაც“ და იძლევა ამის შემდეგ მეცნიერულ დასაბუთებას: „ისხარნი“ შინაგანად ერთიმემა სიტყვას მოსისხარნი. ამიტომაც ხანნი („ისხარნი“) ტექსტისათვის საჭიროა. სიტყვის ამ ფორმას სავეებით ამართლებს მისი შინაარსი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ისხარნი ეწოდება ადრე მომდარებელ ჩქარ წვიმას. გამოდის მშვენიერი მეტაფორა. აღდგენილი ტექსტი უნაკლოა აზრობრებლად და ფორმითაც. საგულისხმო ისიცაა, რომ ლექსის ბოლო ტაეპი არსებობდა იმიორებს ამავე პოეტურ ფიგურას: „მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ“. მაშასადამე, ტექსტი იხსნება და იხურება ერთნაირი მეტაფორით. ახლებურ წაითხვას მხარს უჭერს ლექსის კომპოზიცია“ (გვ. 229).

იმდენად არგუმენტირებულია ეს დასკვნა, რომ არ შეიძლება არ დაეთანხმო მას. აქ განსაკუთრებით ის არის მოსაწონი, რომ „ისხარნის“ შემოტანა დასაბუთებულია ლექსის როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით. მართალია, „ისხარნი“ უფრო ეფფონურად არის ალიტერირებული „მოსისხარნთან“ და ამიტომ ისინი გარეგნულად, ფორმით გვანან ერთმანეთს, მაგრამ პოეზიას არ ქმნის მხოლოდ ალიტერაცია. ამასთანავე საჭირო და აუცილებელია შინაარსობლივი, აზრობლივი მოტივაცია და სწორედ ამ მომენტმა გადაწყვიტა „ისხარნის“ უპირატესობა: ისხარნი, თურმე, „ადრე მომდარებელ ჩქარ წვიმას“ ეწოდებოდა და ეს უსუტად შეესაბამება ლექსში შექმნილ სიტუაციას. ამას ჰქვია ნამდვილი მეცნიერული არგუმენტაცია, რაც ახასიათებს ბესიკის ამ მთელ ახალ გამოცემას.

კრებულს დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც შედგენილი და დამუშავებულია აკად. ვ. თოფურიას მიერ. ლექსიკონს წამძღვარებელი აქვს მისივე მოკლე შესავალი წერილი, რომელშიც მითითებულია ბესიკის თხზულებათა ლექსიკონის შედგენის სირთულესა და იმ თავისებურებებზე, რომლებიც ქმნიან ამ სირთულეს. როგორც მეცნიერი წერს, ბესიკის ენის სირთულეს ქმნის „ლექსიკის მრავალფეროვნება, სიტყვათა ნაირგვარი წარმომადგობა და მნიშვნელობის შეცვლა“ (გვ. 283). აკად. ვ. თოფურია იძლევა იმ ფაქტების ღრმა მეცნიერულ დახასიათებას, რომლებიც განაპირობებენ ბესიკის ენის თავისებურებას.

პოეტის ლექსიკის მრავალფეროვნება იმით არის გამოწვეული, რომ ბესიკი „ფარ-

თოდ განსწავლული მწერალია; იცნობს ანტიკური ფილოსოფოსების ნაშრომებს, ბერძნული, ქართული და სხვა მწერლობის ნაწარმოებები, პერსონაჟები, ღრმად სწავლილი ძველი სასულიერო მწერლობა. მწერალი „შესანიშნავად ერკვევა ბუნების სამყაროში“. ბესიკის ნაწარმოებთა უხვი ლექსიკა უმთავრესად განპირობებულია მისი შემოქმედების თემატიკის მრავალნაირობით. მწერალი ადამიანის სულის ინიჩენრია და ამ ფუნქციის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმად ცოდნას მოითხოვს.

ამიტომ სამართლიანად წერს მკვლევარი, რომ „ბესიკი დაკვირვებული და ძლიერი ემოციის პოეტი. იგი დიდი უშუალობით განგვაცდევინებს თავის სულიერ განწყობილებას, სატრფოსადმი ღრმა სიყვარულს... ასევე მწვავედ გვაგრაძნობინებს სამშობლოს ეთილმდგომარეობასაც და მომხდურ მტრისაგან მოსალოდნელ განსაცდელსაც“ (გვ. 284).

ბესიკი ხშირად სარგებლობს „პოეტის უფლებით“. „შოთა რუსთაველის შემდეგ, — სამართლიანად წერს აკად. ვ. თოფურია, — პოეზიაში ბესიკი პირველია, რომელიც უხვად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოების მრავალგვარ შესაძლებლობებს და ქმნის ახალ, თუმცა ზოგჯერ უმართებულო სიტყვებს, აწარმოებს კომპოზიტებს, კვეცს სიტყვებს, ურთავს ანალოგიით დაბოლოებებს და ამით მრავალფეროვანს ხდის ლექსიკას“ (გვ. 286). აქ მითითებულია იმ ჩრდილოვან მხარეზეც, რომელიც ზოგჯერ ვლინდებოდა ბუნდოვანი და ძნელად გასაგები ადგილების სახით. სწორედ ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის ვრცელი ლექსიკონის შედგენას, რაც ბრწყინვალედ არის შესრულებული აკად. ვ. თოფურიას მიერ.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ წინა გამოცემასთან შედარებით ბესიკის ახალი გამოცემის ლექსიკონი მნიშვნელოვნად გაზრდილია. მასში სიტყვების მეტი რაოდენობაა წარმოდგენილი. ამის საილუსტრაციოდ მივუთითებთ, რომ პირველ გამოცემაში ასო ა-ზე შეტანილი და განმარტებული იყო 121 სიტყვა, ხოლო გამოცემაში 171 სიტყვაა განმარტებული, ე. ი. 50 სიტყვით მეტი. ასეთი დამატებით განმარტებული სიტყვებია: აარე, აბს, ალანელი, არაკნი, ატადის კალო, აშეთებს და სხვა მრავალი. „ვ“ ასოზე დამატებულია შემდეგი სიტყვები: ვიმუფარახე, ვპრქვენო, ვარდნაზრობათ, ვეფხფრთოვანად და სხვ. ზოგიერთი სიტყვა უფრო ვრცლად არის განმარტებული. მაგალითად, პირველად „ყორე“ განმარტებული იყო, როგორც „უეიროდ და უტალახოდ ნაგები ქვის ზღუდე, ღობე“ (გვ. 230). ახლა ნათქვამია: „ყორე — მშრალად (უეიროდ, უტალახოდ) ნაგები ქვის კედელი, ზღუდე“ (გვ. 347). განმარტებაში სიტყვების „მშრალად“ და „ქვის კედლის“ შეტანამ, აგრეთვე სიტყვა „ღობის“ ამოღებამ ხელი შეუწყო „ყორის“ ცნების დაუსტებას და უფრო ვრცლად და ღრმად გააზრებას.

ისიც კარგია, რომ ლექსიკონში ასახსნელი სიტყვები შეტანილია „იმ სახით, როგორად ის გვხვდება ტექსტში“. ეს გარემოება მართლაც აადვილებს სათანადო სიტყვების მონახვას, რაც ერთობ შეეფერება აკადემიურ-პოპულარულ გამოცემას.

არა მარტო ლექსიკონი, არამედ მთლიანად ბესიკის ეს ერთტომეული ყოველმხრივ გამართლებულია როგორც აკადემიურ-პოპულარული გამოცემა. იგი ჩვენი სამამულო ლიტერატურის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დოც. ალ. ჩაპლიევილი.



3. თორღია

ოცდამეოთხე მგზავრი

თვითმფრინავში ოცდაოთხი აღვილი იყო და ოცდასამი მგზავრი. ბათუმიდან თბილისში ძირდაუშვებლად რომ გავფრენილიყავით, ერთი მგზავრი კიდევ უნდა შემოგვმატებოდა.

ჩვენ ძალიან გვინდოდა ძირდაუშვებლად გაფრენა. ვჩქარობდით, ძალზე ვჩქარობდით. სამუშაო დღე იყო და თავდაპირველად თითქოს არავის ახსოვდა, რომ დღეს თბილისის „დინამო“ ხვდებოდა მოსკოვის „სპარტაკს“. მაგრამ წვიმისა და ჭექა-ქუხილის გამო თვითმფრინავმა აფრენა რომ დაავიანა, მგზავრები აწრიალდნენ. ჩუმჩუმად დასცქეროდნენ საათებს. გახშირდა შეკითხვები:

— მალე გამოიდარებს?

— რამდენ ხანში ჩავალთ?

— არ შეიძლება ძირდაუშვებლად გადავფრინდეთ?

ამინდმა თითქოს მოიღო მოწყალება, ხოლო ფრენის ხანგრძლიობა დამოკიდებული იყო ოცდამეოთხე მგზავრის გამოჩენაზე. თუ არა, მაშინ მახარაძეში ან ქუთაისში მოგვიხდებოდა დაშვება. ეს, სულ ცოტა, ზედმეტ ნახევარ საათს წაიღებდა, ნახევარი საათი კი მთელი ტაიმი, ხოლო ერთი ტაიმი ნამდვილი გულშემატკივრისათვის ნახევარი ცხოვრებაა...

ღრუბლებიდან მზემ გამოაჰყიტა. გრგვინვაც აღარ ისმოდა.

აერობორტის უფროსი გამოვიდა მეტეოსამსახურის ჯიხურიდან.

— მივფრინავთ, — გამოგვიცხადა მან.

ოცდაოთხადგილიან თვითმფრინავში ოცდასამი მგზავრი ჩავსხედით.

ის თავისუფალი სავარძელი ჩემს გვერდით აღმოჩნდა.

ავფრინდით და რამდენიმე წუთში წვიმით გაჟღენთილ ღრუბლებს ზემოდან მოვაჯექით. თვითეული ჩვენგანი, ალბათ, გუნებაში ერთმანეთზე ამრავლებდა წუთებსა და კილომეტრებს.

— მართლა ხუთზე იწყება? — ვეღარ მოითმინა მელოტმა, პორტფელიანმა კაცმა, ერთ-ერთი ტრესტის მმართველმა, რომელიც მისივე სიტყვებით, „თათბირზე მიფრინავდა“.

— ჰო, — ერთდროულად ამოიხვნეშა მთელმა თვითმფრინავმა და ყველამ ერთდროულად დახედა საათებს.

ჩვენ ახლა ვევედრებოდით ღმერთს, რომ ის ოცდამეოთხე მგზავრი არ დაგვხვედროდა არც მახარაძეში და არც ქუთაისში — მაშინ არც ძირს დავეშვებოდით.

უცებ სიმაღლის მაჩვენებელმა ისარმა უკან იწყო ბრუნვა.

— ნამდვილად ვეშვებით!.. — ისეთნაირი ხმით წარმოთქვა ვილაცამ, თითქოს ფრთამოტეხილი თვითმფრინავით შუა ატლანტის ოკეანეში ვვარდებოდით.

მართლაც, ქვემოთ გამოჩნდა მახარაძის აეროდრომი.

მაღლიდან შეევამჩნიეთ ტიალ მინდორზე ერთადერთი კაცი.

ოცდასამი კაცი დაავფრინდით და შემოვიმატეთ წვიმაში მთლიანად გაწუწული ოცდამეოთხე მგზავრი.

ჩემს გვერდით მოთავსდა. ასე, შუახნის იქნებოდა; თმაშეჭალარავებული, ცხვირკეხიანი.

როგორც იქნა, ისევ ავფრინდით ჰაერში.

— მგზავრებო, შემოირტყით სარტყლები, — ბრძანების კილოთი გვიჩვენეს სტიუარდესა მარო.

ჩემი მეზობელი გაკვირვებით მიყურებს, რადგან მე სარტყლის შემოჭერა არც კი მიფიქრია.

— რეიზკ არ უჯერებ მაგ ქალს?

ისედაც გულზე ვიყავი გამსკდარი და უკმეხად მივუგე:

— არ მეშინია და იმიტომ.

— კი მარა, აბა, რატომაა აქ აი სარტყელი?

ოჰო! ვატყობ, ახალბედა თვითმფრინავში, გავიფიქრე და გადავწყვიტე ბრაზი მეყარა.

— ვინც ათასჯერ მჯდარა თვითმფრინავში, ის სარტყლის შემორტყმოდან თავისუფალია.

მეზობელმა რაღაც ჩაიბურღლუნა და სარტყელი მაგრად მოიჭირა.

შემდეგ ყველაფერი თავისი რიგით წავიდა.

როგორც კი ოდნავ გადაიხრებოდა თვითმფრინავი, მე შეშინებული გყვიროდი:

— მეგობარო, ცოტა აქეთ მოიწი, ხომ ხედავ, თვითმფრინავი გადაიწონა!..

მეზობელიც მესუტება.

აქა-იქ სიცილი გაისმა.

— სადაური ხარ, ბიძია? — ეკითხე.

— ფამფალეთიდან, ისიდორე ღლონტი გახლავარ, — მიპასუხა და ფანჯრიდან პროპელერზე მიმითითა, — არ ბრუნავს თუ არ ჩანს?

— გაფუჭებულია, ისიდორე ბიძია, ცალი პროპელერით მივფრინავთ.

— მერე, არაა მაი საშინი?

— მაგ არაფერი. „პაკრიშეებმა“ თუ დაუშვა, მაშინ რა გვეშველება!

ისიდორე თავს აქნევს და დამფრთხალი გასცქერის ფრთას.

ჩვენს გარშემო დაუფარავად ილიმებიან.

თვითმფრინავი ნისლში შეცურდა.

— ა, ხომ გეუბნებოდი, — შეშინებული ვეუბნები ისიდორეს, — დავილუბეთ, გაჩერდა თვითმფრინავი, ვეღარ მივუსწრებთ თამაშს!

— თამაშის თავი გაქვს, ყმაწვილო, რომ ჩავეარდეთ?!

— ბედი გვქონია, ბიძაჩემო, ბედი, წვიმიან ღრუბელს შევაჯექით. ყოჩაღ, პილოტო!.. კიდეც კარგი, ღრუბელი ძაან გაჟღენთილია წვიმით, თუ არა...

მგზავრები უკვე თავშეუკავებლად იცინიან.

ისიდორე კი არავის არ აქცევს ყურადღებას, ფანჯრიდან გასცქერის გარეთ.

თვითმფრინავი სურამის უღელტეხილს გადაევლო და დაშვება დაიწყო.

ვხედავ, ისიდორე წამდაუწუმ ყურებზე იკიდებს ხელს.

— ხომ არ გიწვივს ყურებში? — ეკითხები.

— ნამეტარს.

— პირით ჩაისუნთქე, ბიძია ისიდორე, და გაგივლის.

ისიდორეც სუნთქავს პირიდან, მაგრამ ეტყობა, არ უშველა ჩემმა რჩევამ.

— მასე კი არა, შე კაი კაცო, ჩაისუნთქე და ორ-სამ წუთს გაუძელი.

ისიდორემ ღრმად ჩაისუნთქა და თვალებიც დახუჭა.

ჩვენს ირგვლივ მგზავრები მოგროვდნენ. ერთი წუთით ყველას მიავიწყდა ფეხბურთი. ზოგიერთი თავს აქნევს: „არ ვარგა კაცის ასე გამასხრება“.

ისიდორე თვალებს არ ახელს.

— ე, ბიჭო, ამოასუნთქე!

— არ დაიღრჩვეს კაცი!

— გეყოფა, ბიძია, ჩავედით თბილისში!

თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე დაფრინდა.

მგზავრები ხმაურით წამოიშალნენ. ყველა ჩქარობდა. თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათილა რჩებოდა, მაგრამ ერთხელ კიდევ უხედავდნენ ისიდორეს. ის კი იჯდა ჩუმად თავის ადგილზე და კვლავ ფანჯარაში იცქირებოდა. ალბათ, ჯერ კიდევ კარგად ვერ მოსულიყო გონს.

პორტფელიანმა მელოტმა, ერთ-ერთი ტრესტის მმართველმა, ჩასვლისას მისაყვედურა:

— ასე კაცის მასხრად აგდება როგორ შეიძლება! რა ვუყოთ, რომ პირველადაა თვითმფრინავში!

ცოტათი თავი დამნაშავედ ვიგრძენი და, მართალია, ძალზე ვჩქარობდი, მაინც დაველოდე ისიდორეს. ერთად ჩამოვედით თვითმფრინავიდან.

ორი კაცი ელოდებოდა ისიდორეს.

— კიდევ კარგი, რომ გადმოფრინდი, ისიდორე! მატარებლით ვეღარ მრგვესწრებდი. — შეეგება ერთი მათგანი და გადაეხვია.

მე ცოტა შევანელე ნაბიჯი. გულში მეცინება: „თვითონ ისიდორე ახლა, ალბათ, ნანობს, რატომ მატარებლით არ ვიმგზავრეო“.


— როგორ იმგზავრე? ვარგა ამ თვითმფრინავით ფრენა? — კითხა მეორემ და ხელი გამოდო მკლავში.

— რა უჭირს, — უპასუხა ისიდორემ და ჩემზე მიუთითა, — ამ ყმაწვილმაც ცოტა გამართო და აღარაფერი მიგრძნია...

კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ მე აღარ გამიგონია. შორს ცარიელი ტაქსი შევამჩნიე და მისკენ გავიქეცი.

ფეხბურთელები მოთელვას ამთავრებდნენ, სტადიონზე რომ შევვარდი. „დინამო“ მოიგო... მეორე დღეს სასტუმრო „საქართველოს“ შესანიშნავ რბილ საწოლში ვნებევრობდი, როცა დამლაგებელმა ქალმა ახალი გაზეთი მომიტანა. სიამოვნებით ჩავიკითხე გუშინდელი შეხვედრის ანგარიში, შემდეგ წინა გვერდები შევათვალიერე და... უცებ ყურები გამიხურდა და, ალბათ, წნევამაც ამიწია... მეორე გვერდიდან ოცდამეოთხე მგზავრის სახე შემომცქეროდა... მფრინავ ისიდორე ღლონტის მკერდს ექვსი საბრძოლო ორდენი და ამდენივე მედალი ამშვენებდა. სამამულო ომის დროს ავიგამანადგურებელს მართავდა თურმე და თვრამეტი „მესერშიდტი“ და „ჰაინკელი“ ჩამოუგდია.

თბილისში ომის ვეტერანთა შეკრებაზე მიუწვევიათ.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV, 1963 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 3741, ემ 00617. ქაღალდის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600.

* * *

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკულ-ბიბლიოლოგიკულ
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22)

0-1133

ფან 40 333.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ლიტერატურული აფჯარა“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ